

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტი

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტები

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტი

დამკვეთი: *დაცული ტერიტორიების სააგენტო*

ფინანსური მხარდაჭერა: *შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)*

შემსრულებელი: *შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“*

პროექტი: *საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტები*

თბილისი, 2023

სარჩევი

1 წინასაპროექტო კვლევა 6

1.1 შესავალი 6
1.2 ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერება 6
1.3 დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის მოძიება/ გაცნობა და ანალიზი 7

2 გენერალური გეგმის შემუშავება 7

2.1 გენერალური გეგმის შემუშავება და აღწერილობითი ნაწილი 7
2.2 განმარტებითი ბარათი 7
2.2.1 გენერალური გეგმის შემუშავების საჭიროების ანალიზი 7
2.2.2 მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო 9
2.2.3 გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი 9
2.2.4 გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების არეალი 10
2.2.5 გენერალური გეგმის მიზნები და ამოცანები 11
2.2.6 საპროექტო არეალის განვითარების ხედვა 11
2.2.7 გენერალური გეგმის მოქმედების პერიოდი 13
2.2.8 გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანისა და განახლების პროცესი 13
2.2.9 გენერალური გეგმის შესრულების მონიტორინგი 13

3 დაცულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი 14

3.1 ზოგადი სიტუაციური ანალიზი 14
3.1.1 ადგილმდებარეობა და ფართობი 14
3.1.2 არსებული ზონირება 15
3.1.3 დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზანი და მისი ისტორიული განვითარება 16
3.1.4 ლანდშაფტები 16
3.1.5 ბიომრავალფეროვნება 17
3.1.5.1 ფლორა და მცენარეული საფარი 17
3.1.5.2 ფაუნა 18
3.1.5.3 ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები 18
3.1.6 კლიმატური პირობები 19
3.1.7 ჰიდროლოგიური პირობები 19
3.1.8 ზოგადი გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური აღწერა 19
3.1.9 ზოგადი სეისმოლოგიური მდგომარეობის აღწერა 20
3.1.10 მიწათასარგებლობის არსებული პრაქტიკა 20
3.1.11 არსებული ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა 21
3.1.11.1 იჯარით გაცემული ტერიტორიები და ინფრასტრუქტურა 21
3.1.11.2 ეკოტურისტული ბილიკები 23
3.1.12 არსებული კომუნიკაციების ქსელი 25
3.1.13 მომიჯნავედ არსებული დასახლებები 26
3.2 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის აღწერა 27
3.2.1 ტურიზმის განვითარების არსებული მიმართულებები 27
3.2.2 ისტორიულ-კულტურული ობიექტები, ძირითადი დაინტერესებული მხარეები, განვითარების პერსპექტივები 28
3.2.3 ტურისტული და რეკრეაციული ობიექტები, განვითარების პერსპექტივები, არსებული მოსარგებლეები და სხვა დაინტერესებული მხარეები 29
3.2.4 ტრადიციული საქმიანობებით და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალი, განვითარების პერსპექტივები, დაინტერესებული მხარეები 30
3.2.5 ეკოსისტემური სერვისები, დაინტერესებული მხარეები და განვითარების პერსპექტივები 31
3.2.6 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივები 33
3.3 დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის შედეგები 33

4 სარეკომენდაციო ნაწილი - პერსპექტიული (საპროექტო) ეკოტურისტული ლოკაციები 36

4.1 საპროექტო არეალის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია 36
4.2 შეთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციები 36
4.2.1 ალტერნატივა 1 – „მაწიმის ეკოტურისტული ლოკაცია“ 40
4.2.1.1 ადგილმდებარეობის აღწერა 40
4.2.1.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 41
4.2.1.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 42
4.2.1.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 46
4.2.1.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 46
4.2.2 ალტერნატივა 2 – „რაჭისუბნის ეკოტურისტული ლოკაცია“; 47
4.2.2.1 ადგილმდებარეობის აღწერა 47
4.2.2.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 49
4.2.2.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 49
4.2.2.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 52
4.2.2.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 52
4.2.3 ალტერნატივა 3 - „ლაგოდეხის ეკოტურისტული ლოკაციები“ 53
4.2.3.1 ადგილმდებარეობის აღწერა 53
4.2.3.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 55
4.2.3.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 56
4.2.3.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 60
4.2.3.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 60
4.2.4 ალტერნატივა 4 – „შრომის ეკოტურისტული ლოკაცია“ 61
4.2.4.1 ადგილმდებარეობის აღწერა 61
4.2.4.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 62
4.2.4.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 63
4.2.4.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 67
4.2.4.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 67
4.2.5 ალტერნატივა 5 - „ხიზას ეკოტურისტული ლოკაცია №1“. 68
4.2.5.1 ადგილმდებარეობის აღწერა 68
4.2.5.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 69
4.2.5.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 70
4.2.5.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 73
4.2.5.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 73
4.2.6 ალტერნატივა 6 - „ხიზას ეკოტურისტული ლოკაცია №2“. 74
4.2.6.1 ადგილმდებარეობის აღწერა 74
4.2.6.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 75
4.2.6.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 75
4.2.6.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 79
4.2.6.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 79
4.2.7 ალტერნატივა 7 – „გურგენიანის ეკოტურისტული ლოკაცია №1“ 80
4.2.7.1 ადგილმდებარეობის აღწერა 80
4.2.7.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 81
4.2.7.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 81
4.2.7.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 85
4.2.7.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 85
4.2.8 ალტერნატივა 8 – „გურგენიანის ეკოტურისტული ლოკაცია №2“ 86

4.2.8.1 ადგილმდებარეობის აღწერა 86
4.2.8.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 87
4.2.8.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 87
4.2.8.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 91
4.2.8.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 91
4.2.9 ალტერნატივა 9 – „გურგენიანის ეკოტურისტული ლოკაცია №3“ 92
4.2.9.1 ადგილმდებარეობის აღწერა 92
4.2.9.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 93
4.2.9.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 93
4.2.9.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 97
4.2.9.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 97
4.2.10 ალტერნატივა 10 – „თელიანის ლოკაცია“ 98
4.2.10.1 ადგილმდებარეობის აღწერა 98
4.2.10.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 99
4.2.10.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 99
4.2.10.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 102
4.2.10.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 102
4.3 ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასება 103
4.4 კონსერვაციის პრინციპების დაცვა და უსაფრთხოება 110
5 დასკვნები და რეკომენდაციები 111
6 გამოყენებული ლიტერატურა 113

1 წინასაპროექტო კვლევა

1.1 შესავალი

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე განვითარებულია ეკოტურიზმი, როგორც სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე მოგზაურობის ფორმა, რომელიც გვთავაზობს ბუნებისა და კულტურის ინტერპრეტაციასა და გამოცდილების მიღებას და გარემოზე დაბალი ზემოქმედებით ხასიათდება. ეკოტურიზმი ხელს უწყობს მოგზაურთა მიერ ბუნების აღქმასა და შემეცნებას და ამასთან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საკუთარი ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების დაფასებას. ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტს. გენერალური გეგმის პროექტი შემუშავებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, 2022 წელს დაწყებული საგრანტო პროგრამის საფუძველზე, რომელიც ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით.

გენერალური გეგმის პროექტი განსაზღვრავს მიზნებს, რომელთა მიღწევას ცდილობს დაცული ტერიტორიების სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და სხვა სახელმწიფო უწყებები ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის. წინამდებარე დოკუმენტი, ასევე, ასახავს შესაძლო მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად. საერთაშორისოდ დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების პერიოდი მოიცავს უახლოეს 10 წელს. დოკუმენტი განსაზღვრავს გრძელვადიან ზოგად ხედვას, ხოლო მასში მოცემული მიდგომების და რეკომენდაციების იმპლემენტაცია რეკომენდებულია ეფუძნებოდეს დეტალურ მართვის გეგმებს, რომელიც უფრო მოკლევადიან პერიოდზე იქნება გათვლილი.

1.2 ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერება

ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერების დაგეგმარების პირველ ეტაპზე განისაზღვრა სავალე სამუშაოებში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფი. დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა საველე სამუშაოების ძირითადი მიზნები, დაიგეგმა ველზე მუშაობის გეგმა-გრაფიკი და გადაადგილების მარშრუტები და ა.შ. საველე კვლევა-დათვალიერების პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტის, GIS-ის სპეციალისტისა და ეკოლოგისგან.

პერსპექტიული ლოკაციების კვლევამ მოიცვა არსებული ბუნებრივი პირობების (ბიომრავალფეროვნების კომპონენტები, რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, გეოდინამიკური პროცესები და ა.შ.) შეფასება, არსებული საგზაო და საინჟინრო კომუნიკაციების ანალიზი, ფოტოგრაფირება. მოხდა ინფორმაციის შეგროვება მიმდებარედ მაცხოვრებლების და რეინჯერების ინტერვიუების გზით. არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა პერსპექტიული ლოკაციების ექსპერტული შეფასება, შემდგომში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობის მხრივ.

დეტალური მეთოდოლოგია და შეფასების ანალიზი აღწერილია დოკუმენტის შემდგომ პარაგრაფებში.

1.3 დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის მოძიება/ გაცნობა და ანალიზი

დოკუმენტის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა არსებული ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს. პირველ ეტაპზე მოხდა არსებული დოკუმენტაციის შეგროვება დაცული ტერიტორიების სააგენტოდან და სხვა ორგანიზაციებიდან, რომლებიც მუშაობენ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების განვითარების მიმართულებით. წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში გაანალიზებული იქნა საჯარო ინფორმაცია, მათ შორის ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა, 2022; საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია, 2020-2030; ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2017 და სხვა.

გარდა ამისა, მოხდა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან უახლესი ინფორმაციის გამოთხოვნა წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით. მათ შორის ადმინისტრაციის მხრიდან მოწოდებული იქნა ტურისტული ნაკადების სტატისტიკური მონაცემები, ინფორმაცია ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების, მათ ინტერესის ძირითადი სფეროს შესახებ. ასევე მოწოდებული იქნა ინფორმაცია ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ და ა.შ. გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სხვა დაინტერესებულ პირებთან.

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა ექსპერტული ჯგუფის მიერ და აისახა დოკუმენტში.

2 გენერალური გეგმის შემუშავება

2.1 გენერალური გეგმის შემუშავება და აღწერილობითი ნაწილი

გენერალური გეგმის პროექტის შემუშავება განხორციელდა ტექნიკური დავალების შესაბამისად, წინასაპროექტო კვლევის შედეგებზე და მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. გენერალური გეგმის პროექტი შედგება აღწერილობითი (ტექსტური) და გრაფიკული ნაწილებისგან.

გენერალური გეგმის აღწერილობითი ნაწილი მოიცავს სამიზნე დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული კვლევების შედეგებს და ლიტერატურული/საფონდო მასალებიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს. ასევე წარმოდგენილია საველე კვლევისას შერჩეული პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაციების აღწერა და მათი განვითარების კონცეფციის მიმოხილვა. გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი მომზადებულია წინასაპროექტო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე და მოიცავს აღწერილობითი ნაწილის დარუკებას.

2.2 განმარტებითი ბარათი

2.2.1 გენერალური გეგმის შემუშავების საჭიროების ანალიზი

ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმების პროექტების მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია იმ დაცული ტერიტორიებისათვის, სადაც დაშვებულია რეკრეაციული აქტივობები და ვიზიტორთა მიერ აქტიურად ხდება აღნიშნული ტერიტორიებით სარგებლობა. ასევე მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე იმ დაცული ტერიტორიებისათვისაც, სადაც ჯერ-ჯერობით არ არის განვითარებული ეკოტურიზმი, თუმცა კანონის შესაბამისად წარმოადგენს დაშვებულ აქტივობას.

ეკოტურიზმის განვითარებამ, მათ შორის ახალი ეკოტურისტული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობამ შესაძლოა გაზარდოს დაცულ ტერიტორიების ქაოტური განვითარების რისკები, ამით დაიკარგოს დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური და საინვესტიციო ღირებულება და საფრთხის წინაშე დადგეს დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნების მიღწევა. შესაძლოა ამ რეალობით დაცული ტერიტორიები გახდეს ნაკლებად მიმზიდველი ვიზიტორებისთვის და შესაბამისად სხვადასხვა სახის ეკოტურისტული სერვისების განვითარებისთვის.

აუცილებელი პირობაა, რომ დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარება და მართვა განხორციელდეს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მდგრადი განვითარების პრინციპების და არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნების მიღწევას. ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება აქ არსებული ბუნებრივი კომპონენტების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება და დაცვა, რაც თავის მხრივ შეინარჩუნებს და გაზრდის ვიზიტორების დაცული ტერიტორიებით დაინტერესებას.

ამავე დროს ვიზიტორების დაცული ტერიტორიებით დაინტერესების ზრდამ არ უნდა გამოიწვიოს ის უარყოფითი შედეგები, რომელიც ზოგადად მასობრივი ტურიზმის თანმდევია. ამიტომ ეკოტურიზმის განვითარების პროცესში საინტერესო სერვისების დივერსიფიცირებას, შესაბამის რეგულიაციებსა და კონტროლს სათანადო ყურადღება სჭირდება.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტერიტორიას წარმოადგენს, როგორც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით, ასევე საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს ტურისტულ-რეკრეაციული ღირებულებები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ვიზიტორებში.

ბოლო წლებში, მსგავსად საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიებისა, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებში გატარდა სხვადასხვა ღონისძიება ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მათ შორის განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, ნაბიჯები გადაიდგა დაცული ტერიტორიის ეფექტურად მართვის მიმართულებით (მათ შორის შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წელს დამტკიცებულია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა, 9 წლიანი მოქმედების პერიოდით). ასევე უნდა აღინიშნოს 2017 წელს შემუშავებული ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

მიუხედავად ამისა, გამოწვევად რჩება რიგი საკითხები - სრულად არ არის გამოყენებული დაცული ტერიტორიების ისტორიულ-კულტურული და ლანდშაფტური პოტენციალი. დაცულ ტერიტორიებზე არსებობს არაერთი, ვიზუალურ-ლანდშაფტური თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი, რომელთა ცნობადობა არ არის მაღალი, თუმცა გააჩნია ეკოტურიზმის არაერთი მიმართულებით განვითარების საკმაოდ კარგი პოტენციალი. საჭიროა ასეთი ადგილების პერსპექტივების წარმოჩენა და დაცული ტერიტორიების საზღვრებში უკვე არსებულ სხვა ეკოტურისტულ ლოკაციებთან ჰარმონიული კავშირის ხელშეწყობა. მეორე მხრივ დაცული ტერიტორიების საზღვრებში ეკოტურისტული პროდუქტების სივრცითი დივერსიფიცირება უზრუნველყოფს უკვე ცნობადი და ტურისტულად დატვირთული ლოკაციების ბუნებრივ თუ სოციალურ კომპონენტებზე ნეგატიური წნეხის შემცირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მდგრადი ხედვის ჩამოყალიბება. ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავების და შემდგომში მისი დეტალიზაციით შესაძლებელი იქნება საკმაოდ მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღება. მნიშვნელოვანია, ეკოტურიზმის განვითარება მოხდეს არსებული ეკოსისტემური სერვისების პოტენციალის ეფექტური გამოყენებით, თუმცა მათი შენარჩუნებისა და გაძლიერების გზით.

2.2.2 მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

გენერალური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სამართლებრივი დოკუმენტები მოცემულია ცხრილში 2.2.2.1.

ცხრილი 2.2.2.1. დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სამართლებრივი დოკუმენტები

მიღების/ დამტკიცების წელი	კანონის/ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
1996	საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ.“	360.050.000.05.001.000.127
2003	საქართველოს კანონი „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“	360.050.000.05.001.001.233
2007	საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ.“	360.050.000.05.001.003.060
1996	საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ.“	360.000.000.05.001.000.184
2018	საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.“	330090000.05.001.019104
2007	საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.“	450.030.000.05.001.002.815
2014	საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი.“	360160000.05.001.017608
2017	საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.“	360160000.05.001.018492
2014	საქართველოს მთავრობის №17 დადგენილება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი.“	300160070.10.003.017608
2016	საქართველოს მთავრობის №475 დადგენილება. ტექნიკური რეგლამენტი - „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე.“	300160070.10.003.019541
2019	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-4 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.	360050000.22.023.016564

დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული საერთაშორისო კონვენციები, რომელზეც მიერთებულია საქართველო:

- ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია (ბერნის კონვენცია, 1979 წ.);
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რიო დე ჟანეირო, 1992 წ;
- კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
- კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

2.2.3 გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი

დოკუმენტის შემუშავების პროცესი მოიცავდა ორ ძირითად ეტაპს: საოფისე სამუშაოებს, რაც ითვალისწინებდა არსებული მასალების მოძიებასა და დამუშავებას და სამიზნე ტერიტორიებზე საველე კვლევებს, მათ შორის დაინტერესებულ მხარეებთან (დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობა, მცირე მეწარმეები და სხვა) შეხვედრებსა და დისკუსიებს.

მოძიებული იქნა ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შემუშავებული დოკუმენტაცია (მათ შორის არსებული მენეჯმენტის გეგმა, ეკოტურიზმის განვითარების

სტრატეგია და სხვა), გაანალიზებული იქნა მათში წარმოდგენილი ძირითადი ასპექტები და პრიორიტეტები, რაც შემდგომში, დაცული ტერიტორიების საზღვრებში სამიზნე ტერიტორიების შერჩევის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

გარდა ამისა, მოძიებული და გაანალიზებული იქნა შესაბამისი საფონდო მასალა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც შეეხება დაცული ტერიტორიის საზღვრებში ბუნებრივი კომპონენტების (ლანდშაფტური მახასიათებლები და ბიომრავალფეროვნება, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები და ა.შ.) არსებულ მდგომარეობას. ასევე მოხდა არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ორგანიზაციების საჯარო წყაროებზე დაყრდნობით.

გარკვეული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი გახდა ადგილზე მომუშავე პერსონალისგან (რეინჯერები და სხვა). გათვალისწინებული იქნა მათი წარსული გამოცდილება და მოსაზრებები პოტენციურ სამიზნე ტერიტორიებთან, ადგილობრივი მოსახლეობის მთავარ გამოწვევებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

საოფისე სამუშაოების საფუძველზე დაიგეგმება საველე კვლევების მეთოდოლოგია. წინასწარ მოინიშნა შესაბამისი ადგილები და მარშრუტები. ამ მხრივ აქცენტი გაკეთდა დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ ტერიტორიებზე. მომზადდა შესაბამისი (საველე კვლევის პროცესში გამოსაყენებელი) კარტოგრაფიული მასალები (ელექტრონული და ბეჭდური სახით). საველე სამუშაოები შესრულდა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტის მიერ.

სამიზნე ტერიტორიების კვლევა-დათვალიერების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგი კომპონენტების შესწავლაზე:

- ადგილმდებარეობა, სამიზნე ტერიტორიების ხელსაყრელი განლაგება არსებული და პოტენციური ტურისტული მარშრუტების მიმართ;
- განაშენიანება, არსებული შენობა-ნაგებობები და საინჟინრო კომუნიკაციები, მათი ფუნქციური დატვირთვა. არსებული შენობა-ნაგებობების დიზაინი და ა.შ.;
- რელიეფური და გეოლოგიური პირობები, მათ შორის მიმდინარე გეოდინამიკური და ჰიდროლოგიური პროცესები და მათთან დაკავშირებული საფრთხეები;
- ბიომრავალფეროვნების (ლანდშაფტები, მცენარეული საფარი, ცხოველები და მათი პოტენციური საბინადრო ადგილები, ნიადაგი) არსებული მდგომარეობა და ხარისხობრივი შეფასება. არსებული და სამომავლოდ მოსალოდნელი ზემოქმედება, მათი მგრძნობელობა და ა.შ.;
- ისტორიულ-კულტური მემკვიდრეობის ძეგლები;
- სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, მათ შორის: მიწათსარგებლობის არსებული პრაქტიკა; მიმდებარედ არსებული დასახლებული ზონის მოსახლეობის კავშირი და დამოკიდებულება სამიზნე ტერიტორიებზე და ა.შ.

2.2.4 გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების არეალი

ტექნიკური დავალებიდან გამომდინარე გენერალური გეგმის მოქმედების არეალი მოიცავს მხოლოდ დაცული ტერიტორიების საზღვრებს, კერძოდ კი აქცენტირებულია ლაგოდეხის აღკვეთილზე, რომელიც აქ წარმოდგენილი ჰაბიტატების და სახეობების მართვის ტერიტორიას წარმოადგენს. შესაბამისად მკაცრი კონტროლის პირობებში მის საზღვრებში დაშვებულია გარკვეული საქმიანობა.

გენერალური გეგმის პროექტი ორიენტირებულია კვლევის შედეგად შერჩეულ პერსპექტიულ ეკოტურისტულ ლოკაციებზე, ეკოტურისტულ მარშრუტებზე და მათ ფარგლებში არსებულ ან დაგეგმილ სხვადასხვა ეკოტურისტულ სერვისებზე. ყველა შერჩეული ლოკაცია ლაგოდეხის

სახელმწიფო ნაკრძალის საზღვრებს გარეთ მდებარეობს. მხოლოდ რამდენიმე მათგანი უშუალოდ ემიჯნება ნაკრძალის საზღვრებს. შესაბამისად წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულ რეკომენდაციები ნაკლებად შეეხება სახალმწიფო ნაკრძალის საზღვრებს და მოიცავს მხოლოდ სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულებებს.

2.2.5 გენერალური გეგმის მიზნები და ამოცანები

გენერალური გეგმის მიზნებს წარმოადგენს:

- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის პოპულარიზაცია და ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების დაინტერესების შენარჩუნება. ამავე დროს იმ ლოკაციებით დაინტერესების გაზრდა, რომელიც ნაკლებად ცნობადია დღეისათვის. ასეთი მიდგომით ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირების ხელშეწყობა და ამჟამად მეტ-ნაკლებად განვითარებულ ლოკაციებზე ანთროპოგენური წნეხის შემცირება ან ასეთი წნეხის სამომავლო ზრდის პრევენცია;
- ეკოტურიზმის განვითარების ისეთი მიდგომების შეთავაზება, რომელიც შესაბამისობაში იქნება დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნებთან. ეკოტურიზმის სწორი დაგეგმვა და განვითარება, რაც ძირითადად ეფუძნება ბუნებრივი გარემოს შემეცნებას, მისი მაქსიმალური შენარჩუნების და ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციის პირობის დაცვით;
- ადგილობრივი თემების, მცირე მეწარმეების და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობის ზრდის ხელშეწყობა, რათა მათ ისარგებლონ ეკოტურიზმის პოტენციალით, გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და გაზარდონ თავიანთი შემოსავლები;
- მსხვილი და საშუალო ბიზნესის დაინტერესება ინვესტირებისთვის, განსაკუთრებით იმ ლოკაციებზე, რომელიც ნაკლებად ცნობადია დღეისათვის). ამავე დროს დაცული ტერიტორიების საზღვრებში კერძო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის ქაოტური განვითარების პრევენცია;
- დაცული ტერიტორიების მართვის მექანიზმების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ქვეყნის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ძირითადი ამოცანებია:

- ეკოტურიზმის განვითარების პროცესში ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების გათვალისწინება;
- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და დოკუმენტის შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ეკოტურისტული სერვისების იდენტიფიცირება (საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება და პერსპექტივების დასახვა);
- დეტალური გენერალური გეგმების შემუშავებისთვის სამიზნე აუდიტორიის, პერსპექტიული საინვესტიციო ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- დაცული ტერიტორიის საზღვრებში სივრცითი დაგეგმარების კონცეფციის შემუშავება (ეკოტურისტული სერვისები, მარშუტები, ბილიკები, ღირსშესანიშნაობები, ზიპლაინი, კლდეზე ცოცვა და ა.შ.).

2.2.6 საპროექტო არეალის განვითარების ხედვა

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების, მათ შორის შერჩეული პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაციების განვითარების ხედვა ეფუძნება მდგრადი ტურიზმის განვითარების პრინციპებს და ითვალისწინებს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიას, საერთაშორისო და რეგიონულ

სტანდარტებს. მაქსიმალური აქცენტი გაკეთებულია ე.წ. „მწვანე ტურიზმის“ - ეკოტურიზმის განვითარებაზე, რომელიც წარმოადგენს დაბალი ზემოქმედების მქონე, სტანდარტული, მასობრივი ტურიზმის ალტერნატივას.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით დაცული ტერიტორიების საზღვრებში ეკოტურიზმის განვითარებისას პრიორიტეტი ენიჭება არსებული ბუნებრივი გარემოს და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვას, შენარჩუნებას და მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვას. საჭიროა ეკოტურიზმის განვითარების ყველა ეტაპი უზრუნველყოფდეს დაინტერესებულ პირთა მაქსიმალურ ჩართულობას, რის საფუძველზე გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი ტრადიციები, ცხოვრების წესი და კულტურული ღირებულებები.

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის მიხედვით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოტურიზმის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგს:

- მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით ეკოტურისტული სერვისების დანერგვა და არსებულის განვითარება, მათ შორის:
  - სხვადასხვა სიგრძის ბილიკების მოწყობა რელიეფის თავისებურებების გათვალისწინებით, სადაც უზრუნველყოფილია ეკოლოგიურად მგრძნობიარე გზით (ფეხით, ველოსიპედით ან ცხენით) გადაადგილება;
  - ეკოტურიზმის მახასიათებლებთან შეუსაბამო პროდუქტების ჩანაცვლებას ეკოტურისტული პროდუქტებით;
  - სპეციფიკური და კრეატიული პროდუქტების შეთავაზება, რომლებიც მოიცავს ინტერპრეტაციას, გადასახედ წერტილებს, გიდის თანხლებით გასეირნებებს, ველური ბუნების დათვალიერების შესაძლებლობებს, სპეციალურ ღონისძიებებს და ა.შ;
- არსებული და პერსპექტიული ეკოსისტემური სერვისების ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა. უნდა მოხდეს ისეთი რეკრეაციული და საგანმანათლებლო აქტივობების და ახალი ტურისტული პროდუქტების გამოვლენა, რომლებიც ეფუძნება ადგილობრივ ბუნებრივ-კულტურულ ფასეულობებს, კონსერვაციის მიზნებს და ამავე დროს წარმოადგენს შემოსავლის დამატებით წყაროს, მათ შორის:
  - დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისთვის (იგულისხმება პირდაპირი შემოსავლის გამომუშავება დაცული ტერიტორიების კონსერვაციული მიზნების მისაღწევად და ეფექტური მართვისთვის);
  - ადგილობრივი მოსახლეობისთვის (იგულისხმება ადგილობრივი თემების პირდაპირი და არაპირდაპირი შემოსავლის ზრდის ხელშეწყობა, რაც დაცული ტერიტორიის ბუნებრივი კომპონენტების კონსერვაციის დამატებით სტიმულს წარმოადგენს);
- ბუნებრივი გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
- დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- ადამიანური რესურსების განვითარების უზრუნველყოფა;
- ეფექტური მარკეტინგი და ინფორმაციის მიწოდება ეკოტურისტული პროდუქტების მომხმარებლებისთვის (მათ შორის ვიზიტორები, ადგილობრივი და საერთაშორისო ტურ-ოპერატორები). ამისთვის ბეჭდური და ციფრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მონიტორინგის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს: უკუკავშირს ეკოტურისტული პროდუქტების მომხმარებლებთან გაწეული მომსახურებით კმაყოფილების დონის დადგენის მიზნით; ადგილობრივ გარემოზე და თემებზე ზემოქმედების დონის განსაზღვრას; მონიტორინგის შედეგების გამოყენებას გამოსწორების და შემდგომი სარეკომენდაციო ღონისძიებების შემუშავებისთვის.

საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის ზემოთჩამოთვლილი ძირითადი პრინციპები ინტეგრირებულია საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების ინდივიდუალურ სტრატეგიებში, მათ შორის ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ინდივიდუალურ გეგმაში გათვალისწინებული იყო საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის ძირითად პრინციპები, თუმცა აქცენტი გაკეთებული იყო კონკრეტულ საკითხებზე, მათ შორის: მართვის უკეთესი მოდელის დანერგვის მიზნით მენეჯმენტის საჭიროებებზე, ლანდშაფტური გარემოს სპეციფიკასთან შესაბამის ეკოტურისტული სერვისების შეთავაზებაზე და ა.შ.

დღეისათვის ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ინდივიდუალურ გეგმაში არსებული ძირითადი მიმართულებები აღარ არის აქტუალური ან არსებული რეალობის გათვალისწინებით მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს. მიუხედავად ამისა, წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში გაანალიზებული იქნა აღნიშნული გეგმის ძირითადი პრიორიტეტები.

2.2.7 გენერალური გეგმის მოქმედების პერიოდი

გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების პერიოდი მოიცავს უახლოეს 10 წელს და არის სარეკომენდაციო ხასიათის.

2.2.8 გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანისა და განახლების პროცესი

დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და განახლება უნდა მოხდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, საჭიროებისამებრ. გენერალური გეგმის პროექტი მომზადებულია ზოგადი კვლევების საფუძველზე და წარმოადგენს „ცოცხალ“ დოკუმენტს. ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს ხელახლა განხორციელებული დეტალური კვლევების საფუძველზე.

შერჩეული ლოკაციების საზღვრების კორექტირებას ან მის ფარგლებში შემოთავაზებული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის ცვლილებების გადაწყვეტილებას, რეკომენდებულია, წინ უძღოდეს დაინტერესებულ მხარეებთან დამატებითი დისკუსიები და საჯარო განხილვები.

2.2.9 გენერალური გეგმის შესრულების მონიტორინგი

წინამდებარე გენერალური გეგმის პროექტის მონიტორინგი მიზნად უნდა ისახავდეს დოკუმენტში ასახული ტურისტული და ინფრასტრუქტურული განვითარების ზოგადი ხედვების და პრინციპების გათვალისწინებას/ასახვას დაცული ტერიტორიებისთვის მომზადებულ დეტალურ დოკუმენტებში/პროექტებში (მაგ. მენეჯმენტის გეგმა, საინვესტიციო პროექტები, სხვადასხვა კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტები და სხვ.). გენერალური გეგმის პროექტის პრინციპების გათვალისწინებას მონიტორინგს გაუწევს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ და ტერიტორიული ადმინისტრაცია.

3 დაცულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი


3.1 ზოგადი სიტუაციური ანალიზი

3.1.1 ადგილმდებარეობა და ფართობი

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე, საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. დაცული ტერიტორიები მოქცეულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. დაცული ტერიტორიების ჯამური ფართობია 24 255 ჰა.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მდებარეობა ნაჩვენებია ნახაზზე 3.1.1.1.

ნახაზი 3.1.1.1. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობა




ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების Ia კატეგორიას). ფართობი - 19 755 ჰექტარი. ნაკრძალი მოიცავს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობის მდინარეების აუზების ზემო წელს. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვრები ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ზოლს რუსეთის ფედერაციასთან და აზერბაიჯანთან.
- ლაგოდეხის აღკვეთილი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას). ფართობი - 4 500 ჰექტარი. აღკვეთილი ორი ნაწილისაგან შედგება: სამხრეთი ნაწილი წარმოადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დასახლებებსა და ნაკრძალს შორის არსებულ ტყეს, ხოლო აღკვეთილის ჩრდილოეთი ნაწილი საზაფხულოდ გამოყენებული ალპური საძოვრებია.

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის და ლაგოდეხის აღკვეთილის საზღვრები დატანილია ნახაზზე 3.1.1.2.

ნახაზი 3.1.1.2. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის და აღკვეთილის საზღვრები



3.1.2 არსებული ზონირება

როგორც ზემოთ აღინიშნა მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად დაცული ტერიტორიები მოიცავს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალს და ლაგოდეხის აღკვეთილს. მათ საზღვრებში დაშვებული საქმიანობები განსაზღვრულია „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად. მენეჯმენტის გეგმის მიხედვით ლაგოდეხის აღკვეთილის საზღვრებში გამოყოფილია მხოლოდ

ერთი ტრადიციული გამოყენების ზონა. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისთვის სხვა ფუნქციონალური ან დამხმარე (ბუფერული) ზონები განსაზღვრული არ არის.

3.1.3 დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზანი და მისი ისტორიული განვითარება

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის მიზანია ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნება და დაცვა; მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო საქმიანობების წარმოება. ლაგოდეხის აღკვეთილი შექმნილია იმ ბუნებრივი პირობების დაცვის მიზნით, რომელიც აუცილებელია ეროვნული მნიშვნელობის ცოცხალი ორგანიზმების და არაორგანული ბუნებრივი ფორმაციების შესანარჩუნებლად, ასევე ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების აღდგენისა და დაცვის პროპაგანდის მიზნით.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ისტორია 1903 წლიდან იწყება, როდესაც ხეობა იჯარით გადაეცა რუსი დიდგვაროვნის დემიდოვის ოჯახს. აიკრძალა ხეების ჭრა, ძოვება და სხვა სამეურნეო საქმიანობა. 1912 წელს ხეობის ნაწილი (3500 ჰა) რუსეთის იმპერიის მიერ ნაკრძალად გამოცხადდა და იგი მთლიანად კავკასიის რეგიონში პირველ დაცულ ტერიტორიად იქცა.

1929 და 1945 წლებში დაცული ტერიტორია გაფართოვდა და მიემატა სუბალპური და ალპური საძოვრები. მოსახლეობას უფლება ეძლეოდა ნაკრძალის ქვედა პერიფერიული ზონები რეკრეაციული მიზნებისა და ტყის არამერქნული პროდუქტების შესაგროვებლად გამოეყენებინათ.

თანამედროვე სახით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები 2003 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც საქართველოს კანონით „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ მისი ფართობი 24 258 ჰა-მდე გაიზარდა. გამოიყო ორი კატეგორია - ნაკრძალი და აღკვეთილი.

2007 და 2013 წლებში კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე იცვლებოდა ფართობები - თავდაპირველად ნაკრძალის ფართობი შემცირდა 22 296 ჰა-მდე, ხოლო აღკვეთილის გაიზარდა 2 156 ჰა-მდე. შემდგომ ნაკრძალის ნაწილი გადავიდა აღკვეთილის საზღვრებში. აღკვეთილის ფართობმა 4500 ჰა შეადგინა.

საბოლოო განახლება განხორციელდა 2017 წელს – გაიმიჯნა აღკვეთილისა და ნაკრძალის საზღვრები, ასევე დაზუსტდა გარე საზღვრებიც.

გარდა ამისა, 2006 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნა 20-მდე მცირე ცვლილება, რომელიც ძირითადად კანონის რეგულირებას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიებში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხებს შეეხებოდა.

3.1.4 ლანდშაფტები

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები გამოირჩევა მნიშვნელოვანი სიმაღლებრივი სხვაობით და შესაბამისად ლანდშაფტური მრავალფეროვნებით. ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი ტიპის ლანდშაფტები[1]:

- ვაკე-დაბლობის აკუმულაციური ლანდშაფტი მუხნარი და მუხნარ-ძელქვნარი ტყეებით (ლანდშაფტი 30). ძირითადად ვრცელდება ლაგოდეხის აღკვეთილის სოფლებისპირა ტერიტორიებზე, ასევე ნაკრძალის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში;

[1] წყარო: მონოგრაფია „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი“ (დალი ნიკოლაიშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. - [თბ.], 2009 წელი

- ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი, ზოგან წაბლნარი ტყეებით (ლანდშაფტი 75). ძირითადად წარმოდგენილია ნაკრძალის აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე აღკვეთილის ზოგიერთ მონაკვეთზე;
- საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარი ტყეებით, რცხილის, იშვიათად წაბლის მონაწილეობით (ლანდშაფტი 84). ძირითადად ნაკრძალის ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, ზ.დ. 900-1900 მ სიმაღლეებს შორის;
- მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით (ლანდშაფტი 137). ვრცელდება ნაკრძალის უკიდურეს ჩრდილოეთ ზოლში, ასევე აღკვეთილის ჩრდილოეთი ნაწილის ფარგლებში;
- მაღალი მთის პალეოგლაციალურ-დენუდაციური ლანდშაფტი ალპური მდელოებით, დეკიანებთან კომპლექსში (ლანდშაფტი 147). წარმოდგენილია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემური ნაწილის ვიწრო ზოლში, ალაგ-ალაგ (3000 მ სიმაღლემდე).

3.1.5 ბიომრავალფეროვნება

3.1.5.1 ფლორა და მცენარეული საფარი

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კუთხით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი კავკასიის რეგიონში. დაცული ტერიტორიებზე გავრცელებულია 1000-ზე მეტი მცენარის სახეობა, საიდანაც 7 შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“. 154 სახეობა დაცულია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) „წითელი ნუსხით“. 13 სახეობა წარმოადგენს კავკასიის ენდემს.

წიფლნარი ტყე *(Fageta, Fagus orientalis)* ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი და ფართოდ გავრცელებული მცენარეულობის ტიპია ნაკრძალში და გვხვდება ზ.დ. 450-2150 მ-მდე ზონაში სხვადასხვა ექსპოზიციაზე. წიფლნარი ტყეები ნაკრძალში წარმოდგენილია სხვადასხვა სახესხვაობით.

რცხილნარი ტყე *(Carpineta, Carpinus caucasica)* გვხვდება მდინარეების შრომისწყლის, ლაგოდეხისწყლისა და მაწიმისწყლის ქვემო წელის ვაკეებსა და შუაწელის ფერდობებზე. დამახასიათებელი სახეობებია ჩვეულებრივი წაბლი *(Castanea sativa),* ქართული მუხა *(Quercus iberica)* და ქორაფი, ნეკერჩხალი *(Acer laetum)* და სხვა.

ქართული მუხის ტყე (Querceta, Quercus iberica) შეზღუდული არეალით,პატარ-პატარა ნაკვეთების სახით სამხრეთის ექსპოზიციის ძლიერ დაქანებულ (20-35°) ფერდობებზეა წარმოდგენილია. აღსანიშნავია რცხილა *(Carpinus caucasica),* ცაცხვი *(Tilia begonifolia)* და მაღალი იფანი *(Fraxinus excelsior).*

შერეულფოთლოვანი ტყე განვითარებულია მდინარეების ნინოსწყლის, შრომისწყლის, ლაგოდეხისწყლისა და მაწიმისწყლის ქვემო წელის პროლუვიურ ტერასებსა და შუაწელის ფერდობებზე. მასში მონაწილეობენ აღმოსავლეთის წიფელი *(Fagus orientalis),* რცხილა *(Carpinus caucasica),* კავკასიური ცაცხვი *(Tilia cavcasica)* და სხვ.

მაღალმთის და სუბალპურ ზონაში წარმოდგენილია ნეკერჩხლის ტყე *(Aceretum, Acer trautvetteri),* ზოგან მაღალმთის მუხნარი ტყე *(Quercetum, Quercus macranthera)* და არყნარი ტყე *(Betuleta, Betula litwinowii).* ეს ზონა ხშირად დაფარულია დეკიანი ბუჩქნარებით *(Rhododendretum, Rhododendron caucasicum)* და სუბალპური მაღალბალახეულობით. ზოგან წარმოდგენილია სუბნივალური კლდე-ნაშალების მცენარეულობა.

3.1.5.2 ფაუნა

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფაუნა საკმაოდ მაღალი სახეობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ნაკრძალში წარმოდგენილია დაახლოებით 235 სახეობის ხერხემლიანი სახეობა. 60 სახეობა არის ენდემური ან/და დაცული სახეობა, მათ შორის საქართველოს წითელი ნუსხის 26 ს ახეობა. IUCN წითელი ნუსხიდან აქ გვხდება 9 სახეობის ცხოველი.

ძუძუმწოვრებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ჩლიქოსანი სახეობები: აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი *(Capra cylindricornis),* კეთილშობილი ირემი *(Cervus elaphus),* არჩვი *(Rupicapra rupicapra),* ევროპული შველი *(Capreolus capreolus),* გარეული ღორი *(Sus scrofa).* მსხვილი მტაცებლებიდან მურა დათვი *(Ursus arctos),* ფოცხვერი *(Lynx lynx).* ასევე მრავალფეროვანია ხელფრთიანები: ევროპული მაჩქათელა *(Barbastella barbastellus),* გიგანტური მეღამურა *(Nyctalus lasiopterus), გრძელყურა მღამიობი (Myotis bechsteinii) და სხვა.*

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე, წლის სხვადასხვა დროს შესაძლოა დაფიქსირდეს დაახლოებით 139 სახეობის ფრინველი. მათგან 34 არის მიგრირებადი სახეობა. 15 სახეობა წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხის სახეობას. ხუთი სახეობა – ბექობის არწივი *(Aquila heliacal),* დიდი მყივანი არწივი *(Clanga clanga),* ველის არწივი *(Aquila nipalensis),* ფასკუნჯი *(Neophron percnopterus),* ბარი *(Falco cherrug)* შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში. კავკასიური როჭო *(Lyrurus mlokosiewiczi)* და კავკასიური შურთხი (*Tetraogallus caucasicus)* კავკასიის ენდემებს წარმოადგენენ.

ქვეწარმავლებიდან აღსანიშნავია ხმელთაშუაზღვისპირეთის კუ *(Testudo graeca)* და დინიკის გვე ლგესლა *(Vipera dinniki),* რომლებიც შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. აღწერილია 9 სახეობის ამფიბია, რომელთაგან ორი სახეობა – კავკასიური გომბეშო *(Bufo verrucosissimus)* და კავკასიური ჯვარულა *(Pelodytes caucasicus)* –წარმოადგენენ კავკასიის ენდემებს.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე გამდინარე მდინარეები ძირითადად მცირეწყლიანია. შესაბამისად წყლის ობიექტები იქთიოფაუნის განსაკუთრებული სიმრავლით არ გამოირჩევა. თუმცა შესაძლოა დაფიქსირდეს ოთხი სახეობის თევზი, მათგან მნიშვნელოვანია მდინარის კალმახი *(salmo fario).* აღრიცხულია უხერხემლო ცხოველების 1702 სახეობა.

3.1.5.3 ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს ფარავს ზურმუხტის ქსელის ტერიტორია - ლაგოდეხი (GE0000001).

ზურმუხტის ქსელის ტერიტორია „ლაგოდეხი“:

სარეგისტრაციო კოდი: GE0000001;
ფართობი: 24451 ჰა;
ბიოგეოგრაფიული რეგიონი: ალპური (100%);
ბოლო განახლების თარიღი: 01.2019;

ზურმუხტის ქსელის ტერიტორიის ფარგლებში წარმოდგენილია რეზოლუცია #4-ის ჰაბიტატების 4 ტიპი („სტანდარტული მონაცემთა ფორმის“ მიხედვით). მათ შორის ფართო გავრცელება აქვს ტყის ტიპის ჰაბიტატებს: G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე და G1.6 წიფლნარი ტყე. D4.2 ტიპის ჰაბიტატები (მაღალმთის ფუძე წყალსატევთა და მდინარეთა ნაპირები მდიდარი არქტიკულ-ალპური ფლორით) ძირითადად წარმოდგენილია ზედაპირული წყლის ობიექტების ზემო წელის გასწვრივ. მდინარეთა ქვემო წელში დომინანტურია F9.1 ტიპის ჰაბიტატი (მდინარის პირა ბუჩქნარი).

„სტანდარტული მონაცემთა ფორმის“ მიხედვით ზურმუხტის ქსელის ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებულია რეზოლუცია #6-ის შემდეგი მნიშვნელოვანი სახეობები: ძუძუმწოვრებიდან უნდა აღინიშნოს მურა დათვი (*Ursus arctos)*, წავი (*Lutra lutra),* ფოცხვერი *(Lynx lynx),* მგელი

(Canis lupus). ფრინველებიდან გამოსარჩევია ისეთი მტაცებლები, როგორიცაა: სვავი (Aegypius monachus), მთის არწივი (*Aquila chrysaetos*) და სხვა. სიმრავლით გამოირჩევა ტყის მცირე ზომის ფრინველები. ქვეწარმავლებიდან და ამფიბიებიდან უნდა აღინიშნოს ხმელთაშუაზღვისპირეთის კუ *(Testudo graeca)* და ტრიტონი (*Triturus karelinii).* იქთიოფაუნის წარმომადგენლებიდან გამოყოფილია ჭანარი *(Barbus capito).*

3.1.6 კლიმატური პირობები

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრითა და ცხელი ან თბილი ზაფხულით. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მოდის აპრილიდან სექტემბრამდე პერიოდში, ხოლო მინიმალური – დეკემბერსა და იანვარში. დამახასიათებელია ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები, რომლებიც ძირითადად ზამთარსა და შემოდგომაზეა.

3.1.7 ჰიდროლოგიური პირობები

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მთავარი მდინარეებია: კაბალი, ბაისუბნისხევი, ნინოსხევ ი, შრომისხევი, ლაგოდეხისხევი, სალესავისხევი და მაწიმისწყალი. ყველა ეს მდინარე სათავეს დიდი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფზე იღებს და განეკუთვნება მდ. ალაზნის აუზს. მდინარეები საზრდოობენ თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. მათი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით, შემოდგომის წყალმოვარდნებით, ზაფხულის და ზამთრის წყალმცირობით. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბევრია მინერალური წყაროები (განსაკუთრებით ლაგოდეხისხევის ხეობაში). ასევე აღნიშვნას საჭიროებს მაღალ ალპურ ზონაში მყინვარული წარმოშობის მრავალი ოლიგოტროპული ტბა. მათ შორის ყველაზე დიდია შავი კლ დეების ტბა.

3.1.8 ზოგადი გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური აღწერა

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები რთული მთიანი რელიეფითა და გეომორფოლოგიური სტრუქტურით ხასიათდება, რომლის ფორმირებაში მთავარი როლი მდინარეულ ეროზიას მიუძღვის.

აღკვეთილის სამხრეთი საზღვარის გასწვრივ რელიეფი შედარებით რბილია. მდინარეების კალაპოტები განიერია და ფერდობები ზომიერად დაქანებული. ქვედა მთის ლანდშაფტურ ზონაში გაბატონებულია ეროზიულ-დენუდაციური, ზოგან აკუმულაციური, საშუალო და ციცაბო ფერდობებიანი ზედაპირები. საშუალომთიან ზონაში რელიეფი რთულდება, მდინარეთა ხეობები ღრმაა და ქმნის ვიწრო კალაპოტსა და ციცაბოფერდობებიან რელიეფის ფორმებს. მაღალი მთის ზონაში რელიეფი დენუდაციურია. დამახასიათებელია სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე მოსწორებული ზედაპირები. შემორჩენილია მეოთხეული ვულკანიზმის ნაშთები.

ნაკრძალის რელიეფის უმეტესი ნაწილი აგებულია იურული თიხა-ფიქლებითა და ქვიშაქვებით, რომელიც დიდი დაქანების ფერდობებზე მრავალგან გაშიშვლებულია. ნაკრძალის ქვედა ზონებში მდინარისპირა ტერასები აგებულია მეოთხეული პროლუვიური (ქვიანი, ქვიშნარი) ნაფენებით, რაც ზოგან გამდიდრებულია ალუვიური ჩამონატანით.

ტანამედროვე გეოდინამიკური პროცესებიდან უნდა აღინიშნოს მდინარეთა ხეობებში ინტენსიური ეროზიული პროცესები, რაც წყალუხვობის პერიოდებში ხელსაყრელ გარემოს ქმნის ღვარცოფული ნაკადების ფორმირებისთვის. ეროზიული და ღვარცოფული პროცესები მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის მოსახლეობისთვის და აზიანებს ადგილობრივ ინფრასტრუქტურას. ამ მიმართულებით ბოლო წლებში გადაიდგა პრევენციული ნაბიჯები,

კერძოდ მდინარეთა ნაპირების მგრძნობიარე მონაკვეთებში შესრულდა ნაპირსამაგრი ღონისძიებები.

3.1.9 ზოგადი სეისმოლოგიური მდგომარეობის აღწერა

ე. გამყრელიძის (2000) გეოტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიები მოქცეულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ყაზბეგ-ლაგოდეხის ზონაში. MSK64 სკალის შესაბამისად ამ ზონის სეისმურობა 9 ბალს შეადგენს. დაცული ტერიტორიების მომიჯნავე დასახლებულ პუნქტებში სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი - A 0.48-0,50-ს აღწევს.

3.1.10 მიწათასარგებლობის არსებული პრაქტიკა

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის საზღვრებში მოქცეული მიწა სახელმწიფო საკუთრებაა და ძირითადად წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ფონდს.

ლაგოდეხის აღკვეთილის ფარგლებში დაშვებულია ზოგიერთი განახლებადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა. მათ შორის აღსანიშნავია ალპური საძოვრები, რომელიც გამოიყენება საზაფხულო საძოვრებად. სწორედ იმისთვის, რომ დასაშვები ყოფილიყო ძოვება გარკვეული პირობების დაცვით და გატარებულიყო აღდგენითი ღონისძიებები დეგრადაციასთან საბრძოლველად, 2013 წელს მოხდა რეკატეგორიზაცია და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი გადავიდა აღკვეთილში.

ლაგოდეხის აღკვეთილი ყოველწლიურად შეშით ამარაგებს მიმდებარე მოსახლეობას. ძირითადად ხდება მოთხრილ-მოტეხილი და ზეხმელი მერქნის გაცემა. აქვე აღსანიშნავია, რომ მიმდებარე სოფლების უმეტესობა გაზიფიცირებულია და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ამის გათვალისწინებით შემცირებულია ტყეზე ზეწოლა, მერქნული რესურსების გამოყენების მხრივ. არსებულ სიტუაციაში ხე-ტყის გაცემა ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. იმ მიზნით, რომ მინიმუმამდე დავიდეს ტყეზე ზეწოლა შეშა მიეწოდება მხოლოდ აღკვეთილის უშუალო მოსაზღვრედ განლაგებულ უბნებში მცხოვრებ რამდენიმე მოსახლეობას.

მიმდებარე სოფლების მოსახლეობის მიერ ხდება ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება, მათ შორის: წაბლი, სოკოს რკოს მინდვრის მხალი, მოცვი, მაყვალი, კაკალი, ასევე სხვადასხვა სამკურნალო მცენარეები. რესურსებით სარგებლობა ხდება, ძირითადად, პირადი მოხმარების მიზნით, თუმცა ხდება ზოგიერთი პროდუქტის (წაბლი, სოკო, კაკალის) მცირე რაოდენობით რეალიზაცია.

მნიშვნელოვანია, რომ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს მიმდებარე სოფლების სასმელი და სამელიორაციო წყლით მომარაგების წყაროს. შესაბამისად მდინარეებზე მოწყობილია სათავე ნაგებობები. წყლის აღება ასევე ხდება კერძო ბიზნესის (მაგ. საკალმახე მეურნეობა) მიერ.

ლაგოდეხის აღკვეთილის ფარგლებში წარმოდგენილია კერძო ბიზნესზე იჯარით გაცემული რამდენიმე მიწის ნაკვეთი, რაც ამ დროისათვის წარმოადგენს ადმინისტრაციის პირდაპირი შემოსავლის წყაროს. ამ მხრივ აღსანიშნავია შპს „ვალდი“ (404576339), შპს „ჰერეთი 2016“ (404517073), შპს „ეკო სოფელი ტყეში“ (406314206). ამ ნაკვეთებზე მოწყობილია სასტუმრო და კვების ინფრასტრუქტურა და სხვა. მოპოვებული ინფორმაციით ამ მიზნით იჯარით გაცემული ტერიტორიის საერთო ფართობი დაახლოებით 1,1 ჰექტარია.

3.1.11 არსებული ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრი მდებარეობს ქ. ლაგოდეხში, ვაშლოვანის ქ. №197-ში. ეს ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და ვიზიტორებს გააჩნიათ სხვადასხვა სერვისების მიღების შესაძლებლობა: არსებობს საგამოფენო-საინფორმაციო დარბაზი, აქვე შესაძლებელია რუკების შეძენა, სპეციალური აღჭურვილობის დაქირავება და სხვა. ვიზიტორთა ცენტრი მთელი წლის განმავლობაში ღიაა ტურისტებისთვის.

ლაგოდეხის ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარედ საკმაოდ განვითარებულია იჯარით გაცემული კერძო ტურისტული ინფრასტრუქტურა. გარკვეული ტურისტული ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია სოფ. გურგენიანის შესასვლელთან და სხვა ლოკაციებზე. (დეტალურად იხ. მომდევნო პარაგრაფი).

სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურიდან უნდა აღინიშნოს ტურისტული თავშესაფრები „მეტე ო“ და „დემიდოვის ბინა“. ამ ლოკაციებზე მოწყობილია სველი წერტილები, საკემპინგე ადგილები.

3.1.11.1 იჯარით გაცემული ტერიტორიები და ინფრასტრუქტურა

1. **ვალდჰოტელ ჯგუფი:**

ქ. ლაგოდეხის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარედ იჯარით გაცემულია ტერიტორიები კომპანია „ვალდ ჰოტელ ჯგუფზე“. ინფრასტრქტურამდე მიდის მოასფალტებული გზა. მოქმედებს 3 ტიპის იჯარა, რომელიც სხვადასხვა ინფრასტრუქტურას მოიცავს:

- იჯარა #1 – 15 წლიანი და მოიცავს 1 სასტუმროს;
- იჯარა # 2 – 10 წლიანი და მოიცავს ფანჩატურს;
- იჯარა # 3 – 35 წლიანი და მოიცავს კომპლექსის მთლიან ინფრასტრუქტურას.

ამჟამად, კომპლექსის ტერიტორიაზე განლაგებულია შემდეგი სახის ინფრასტრუქტურა:

- 1 საპიკნიკე ადგილი - 60 მ^2;
- სასტუმროს 3 შენობა; სამივე სასტუმრო მთლიანობაში გათვლილია 110 სტუმარზე; 1 სასტუმროს შენობა - ნაგებობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ტერიტორიაზე მდებარე სველი წერტილები ასევე ადაპტირებულია შშმ პირებისთვის;
- დახურული კაფეტერია ყველა სეზონისთვის. გათვლილია 150 სტუმარზე;
- 1 ღია ტიპის საცურაო აუზი;
- 3 კოტეჯი ფინური აბანოთი.

კომპანიის წარმომადგენელთან კომუნიკაციის საფუძველზე დადგინდა, რომ მომავალში განიხილება მიმდებარედ, დამატებით 5000 მ^2 ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარით აღება და მის ფარგლებში კოტეჯების განლაგება. საკონტაქტო პირი: ვალერიან კერესელიძე - 574880331.

2. **ოჩოკემპი:**

ადმინისტრაციის ცენტრალურ შესასვლელთან ახლოს (ე.წ. გეოლოგების ტერიტორია) იჯარით გაცემულ ტერიტორიაზე მოწყობილია ეკობანაკი „ოჩოკემპი“, რომელიც განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ტერიტორიაზე მიდის გრუნტის საავტომობილო გზა.

ტერიტორიაზე შესაძლებელია ერთდროულად 40 ადამიანის მიღება.

ამჟამად ტერიტორიაზე მოწყობილია:

- საპიკნიკე სივრცე - 1 ფანჩატური 35-40 მ^2, საკემპინგე სივრცე, სველი წერტილები.
- შშმ პირებისთვის ადაპტირებულია სველი წერტილები, კვების სივრცე, მოსასვენებელი ადგილები და ბილიკები.

კომპანიის წარმომადგენელთან კომუნიკაციის საფუძველზე პერსპექტივაში ტერიტორიის განვითარება ჯერჯერობით არ არის დაგეგმილი. საკონტაქტო პირი: ინგა ყაველაშვილი - 599 63 50 80.

3. ეკოსოფელი ტყეში

ეს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა მდებარეობს სოფელ გურგენიანის მიმდებარედ, გურგენიანის ჩანჩქერისკენ მიმავალ ბილიკზე, იჯარით გაცემულ ტერიტორიაზე. სოფელი გურგენიანის ბოლომდე არსებობს მოასფალტებული გზა, ხოლო უშუალოდ კოტეჯებისკენ გრუნტიანი გზა მიდის. კოტეჯებამდე გადაადგილება ნებისმიერი ტიპის ტრანსპორტით არის შესაძლებელი.

მოქმედებს 15 წლიანი იჯარის ხელშეკრულება მომავალში გაგრძელების პერსპექტივით. იჯარის ხელშეკრულების დადებიდან უკვე გასულია მე-3 წელი. ტერიტორია ტურისტულად განსაკუთრებით დატვირთულია აპრილი - ოქტომბრის პერიოდში. ტურისტული ნაკადები შედარებით იკლებს ზამთრის სეზონზე. ითვლება, რომ ლოკაცია წლის განმავლობაში 80% - ით არის დატვირთული.

ამჟამად, ტერიტორიაზე განლაგებულია:

- 10 ეკომეგობრული კოტეჯი, 3-4 პერსონაზე; აქედან 3 კოტეჯი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის;
- სპა ცენტრი: ჯაკუზი, ფინური და ორთქლის საუნა 8 პერსონაზე;
- ღია ტიპის რესტორანი, ხედებით ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე.

კომპანიის წარმომადგენელთან კომუნიკაციის საფუძველზე დადგინდა, რომ განხილავენ აუზის და კოტეჯების დამატებას. ტერიტორიის სამომავლო განვითარება ჯერ მხოლოდ კონცეფციის დონეზეა და ქმედითი ნაბიჯები ამ კუთხით არ გადადგმულა. საკონტაქტო პირები: დავით გოგოლაძე - 595 92 77 67.

4. ხის კენწეროების ბილიკი:

ხის კენწეროების ბილიკისთვის ტერიტორია იჯარით გაცემულია შპს „კასს სკაი ბრიჯი“-ს სახელზე.

5. პოტენციური მოიჯარე დავით დავითულიანი

პოტენციურ მეიჯარეს, დავით დავითულიანს ტერიტორიის იჯარით აღებასთან დაკავშირებით დაფიქსირებული აქვს მოთხოვნა სოფ. შრომის მისადგომებთან, მდინარე შრომის ხევის მარცხენა მხარეს, დაცულ ტერიტორიების შრომისხევის შესასვლელიდან 400 მ. დაშორებით. განაცხადი გაკეთებულია 25 წლიან იჯარაზე და მოთხოვნილია დაახლოებით 5000 მ^2. ტერიტორია.

ტერიტორიაზე მიდის გრუნტის გზა და გადაადგილება შესაძლებელია ნებისმიერი სახის ტრანსპორტით.

პოტენციური მეიჯარე ტერიტორიაზე განიხილავს შემდეგი სახის ინფრასტრუქტურის მოწყობას:

- 6 ერთეული კოტეჯი, თითოეული 2-3 ადამიანზე გათვლილი. პირველ წელს იგეგმება 3 კოტეჯის აშენება, მეორე წელს კი - 3 კოტეჯის დამატება. კოტეჯები ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის.
- კაფე-ბარი;
- რუსული აბანო;
- მოსასვენებელი სკამები
- ჩოგბრუთის მაგიდა და სხვა გასართობი სივრცეები.

ჯერჯერობით სასმელი წყლის მიყვანა ტერიტორიაზე არ იგეგმება, რადგან დამსვენებლები ძირითადად სასმელად ე.წ. ბუტილირებულ წყალს იყენებს. სველი წერტლებისთვის წყლის აღება დაგეგმილია მდინარე შრომისხევიდან. ელექტროენერგიით მომარაგების უახლოესი წერტილი მდებარეობს ლოკაციიდან 400 მ. მოშორებით. მოელიან, რომ ლოკაცია დატვურთული იქნება წელიწადის ოთხივე სეზონზე, განსაკუთრებით კი ზაფხულის და ზამთრის სეზონებზე. საკონტაქტო პირი: დავით დავითულიანი - 591 90 90 49.

3.1.11.2 ეკოტურისტული ბილიკები

ბილიკების ქსელის განახლებამდე (2023 წლამდე) ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი იყო 5 ძირითადი ბილიკი:

1. **შავი კლდეების ტბის ბილიკი (წრიული)**

ეს წრიული ეკოტურისტული მარშრუტი ყველაზე გრძელი (42 კმ) და რთულია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფარგლებში. შესაძლებელია საფეხმავლო და საცხენოსნო ტურების მოწყობა. მარშრუტის გავლის მიახლოებითი ხანგრძლივობა 3 დღეს შეადგენს.

მარშრუტი იწყება ადმინისტრაციული შენობიდან. საწყისი 3.5. კმ-იანი მონაკვეთი გადის ლაგოდეხის აღკვეთილის რცხილნარი ტყის კორომების ფარგლებში. შემდგომ ბილიკი მაღალი ნიშნულებისკენ მიემართება მდ. ლაგოდეხისხევის მარცხენა წყალგაყოფი ქედის თხემურ ნაწილზე. გაივლის ტურისტულ თავშესაფრებს - „მეტეო“-ს და ,დემიდოვის ბინა“-ს და მიდის შავი კლდეების ტბასთან. შავი კლდეების ტბიდან ადმინისტრაციული შენობისკენ დაბრუნება შესაძლებელია მდ. ლაგოდეხისხევის მარჯვენა წყალგაყოფი ქედის თხემური ნაწილის გავლით.

ეკოტურისტული ბილიკის მთავარი ღირშესანიშნაობებია თვალწარმტაცი ხედები ლაგოდეხის ხევზე, ალაზნის ველსა და კავკასიონის ქედზე; შავი კლდის ტბა და სხვა მცირე ზომის ტბები; ჭაობები. ვიზიტორთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების მაღალღირებული კომპონენტები: რცხილნარი და წიფლნარი ტყე; ველურ ბუნებაზე დაკვირვების შესაძლებლობა, მათ შორის მაღალია კავკასიურ ჯიხვთან შეხვედრის ალბათობა და ა.შ. მარშრუტის რამდენიმე ადგილზე შესაძლებელია უსაფრთხო თავშესაფრის სერვისის მიღება ან საკარვე ადგილებით სარგებლობა.

2. **როჭოს ჩანჩქერის ბილიკი (წრფივი)**

როჭოს ჩანჩქერის 5 კმ სიგრძის საფეხმავლო ბილიკი რთულია (მარშრუტის სიგრძე - 10 კმ). იწყება ლაგოდეხის ადმინისტრაციული შენობიდან გადის შრომის ხევის კალაპოტისპირა ზოლში როჭოს ჩანჩქერამდე. ბილიკი იგივე გზით ბრუნდება უკან. ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ზოგჯერ დაიშვება ცხენით გადადგილება.

გზად რცხილნარის უნიკალური კორომი გვხვდება, რაც კავკასიაში საკმაოდ იშვიათობაა. ვიზიტორებისთვის საინტერესოა პატარ-პატარა წყალვარდნილები და უზარმაზარი ლოდები. მთავარი ღირშესანიშნაობაა როჭოს ჩანჩქერი, რომელიც მწვანე კლდეებს შორის გადმოედინება.

3. ნინოსხევის ჩანჩქერის ბილიკი (წრფივი):

ნინოსხევის ჩანჩქერის ბილიკი საშუალო სირთულისაა. მისი ამჟამინდელი სიგრძე 8 კმ-ია (მარშრუტის სიგრძე - 16 კმ), ხოლო ლაშქრობის ხანგრძლივობა 5-6 სთ. წარმოადგენს საფეხმავლო მარშრუტს.

მარშრუტი გადის ნინოსხევის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე. სრულდება ნინოსხევის ჩანჩქერთან. ჩანჩქერი 40 მ. სიმაღლისაა და ზღვის დონიდან 940 მ-ზე მდებარეობს. ამჟამად ეს ეკოტურისტული ბილიკი ითვალისწინებს უკან დაბრუნებას იგივე მარშრუტით.

მარშრუტის მთავარი ღირშესანიშნაობებია თვალწარმტაცი ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემო, ნინოსხევის ჩანჩქერი. ასევე არსებობს გარეულ ცხოველებთან (შველი, ირემი, სხვადასხვა მტაცებელი ფრინველები) შეხვედრის ალბათობა.

4. ბუნების შემეცნებითი ბილიკი (წრიული)

ეს წრიული ბილიკი ყველაზე მოკლე (1 კმ) და მარტივია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფარგლებში. ბილიკი ძირითადად გათვლილია მცირე ასაკის ბავშვებისთვის. ვიზიტორთა განკარგულებაშია მოსასვენებელი ადგილები და სხვადასხვა შემეცნებითი სივრცეები.


ბოლო წლებში განხორციელდა ტურისტული ბილიკების განახლება და ოთხი ახალი მონაკვეთის მოწყობა, რამაც უზრუნველყო უფრო ხელსაყრელი კავშირი ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ეკოტურისტულ სერვისებს და ვიზიტორებისთვის საინტერესო სხვა ლოკაციებს შორის. მათ შორის:

- მოხდა მაწიმის რეინჯერთა სადგურის დაკავშირება ქ. ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრთან (რაჭისუბნის გავლით) (სიგრძე დაახლოებით 6) და შემდგომ უფრო დასავლეთით - გურგენიანის ეკოტურისტულ ლოკაციებთან. კმ-ია. შესაძლებელია როგორც საფეხმავლო, ასევე საცხენოსნო ტურების მოწყობა;
- ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი დაუკავშირდა შრომის ნასახლარებს. ვიზიტორებს შეუძლიათ წრიული მარშრუტით გადაადგილება. ამ ბილიკის სიგრძე დაახლოებით 4 კმ-ია. შესაძლებელია როგორც საფეხმავლო, ასევე საცხენოსნო ტურების მოწყობა;
- ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი სოფლების შრომის და ხიზას გავლით დაუკავშირდა გურგენიანის რეინჯერთა სადგურს. ამ ბილიკის სიგრძე დაახლოებით 14 კმ-ია. შესაძლებელია როგორც საფეხმავლო, ასევე საცხენოსნო ტურების მოწყობა;
- მოეწყო ახალი წრიული ბილიკი მარტოტის ტბის მიმართულებით. ამ ბილიკის საერთო სიგრძემ დაახლოებით 52 კმ შეადგინა, თუმცა აქედან დაცული ტერიტორიების საზღვრებში გადის დაახლოებით 21 კმ. ეს ახალი მარშრუტი გაივლის ლაგოდეხის აღკვეთილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ტყის ლანდშაფტსა და სუბალპურ მდელოებზე. ბილიკი მდინარეების ნინოსხევისა და ბაისუბნისხევის წყალგამყოფის თხემური ნაწილის გავლით ადის მარტოტის ტბამდე, ვიზიტორებს აქ საშუალება აქვთ ისარგებლონ საპიკნიკე და საბანაკე ადგილებით. მარტოტის ტის შემდგომ ბილიკი ეშვება მდინარე ბაისუბნისხევის მარჯვენა ქედის თხემური ნაწილის გავლით სოფ. კაბალში. გათვალისწინებულია საფეხმავლო და საცხენოსნო ტურების მოწყობა.

განახლების შედეგად ბილიკების ქსელი დაახლოებით 75%-ით გაიზარდა და საერთო სიგრძემ ≈105 კმ შეადგინა.

ბილიკების განლაგების სქემა მოცემულია ნახაზზე 3.1.11.2.1.

ნახაზი 3.1.11.2.1. ტურისტული ბილიკების სქემა



3.1.12 არსებული კომუნიკაციების ქსელი

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე შესვლა შესაძლებელია რამდენიმე უბნიდან (ლაგოდეხი, გურგენიანი, მაწიმი, ბაისუბანი, კაბალი) . ეს შესასვლელები დაკავშირებულია საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზასთან - თბილისი - ბაკურციხე - ლაგოდეხი (ს5). აღნიშნული გზების ცალკეული მონაკვეთები საჭიროებს რეაბილიტაციას. საკუთრივ აღკვეთილის ტერიტორიაზე გადის ძველი სატყეო გზები, რომელთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თუმცა ეროზიული და ღვარცოფული პროცესების გავლენით ხშირად ზიანდება.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თანამედროვე გეოდინამიკური და მდინარისმიერი ეროზიული პროცესების კონტროლის ღონისძიებებს. აღკვეთილის რამდენიმე მგრძნობიარე მონაკვეთში განხორციელდა ნაპირდამცავი და დატბორვის საწინააღმდეგო ნაგებობების მოწყობა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მათ შორის აღსანიშნავია ლაგოდეხის დენდროლოგიური პარკის გასწვრივ, მდ. ლაგოდეხისხევის გასწვრივ წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების პროექტი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამით (UNDP) ფინანსდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს მიმდებარე სოფლების წყლით მომარაგების წყაროს. შესაბამისად აღკვეთილის ფარგლებში შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ და შპს „საქართველოს მელიორაციას“ მოწყობილი აქვს სათავე ნაგებობები. აღკვეთილის მომიჯნავე ყველა სოფელი ელექტროფიცირებული და გაზიფიცირებულია.

დამაკმაყოფილებელია ნარჩენების მართვის მდგომარეობა. 2020 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის დახმარებით შემუშავდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების

ნარჩენების მართვის გეგმა. დაცული ტერიტორიების საზღვრებში ნარჩენების შეგროვებას რეინჯერები ახდენენ, სეზონურად დამატებით ხდება თანამშრომელთა დაქირავება ბილიკების გასაწმენდად. შეგროვებული ნარჩენების გატანა ხდება მუნიციპალური სამსახურის მიერ. დაცული ტერიტორიების საზღვრებში განთავსებული ნაგვის ურნების რაოდენობა ამ ეტაპისთვის საკმარისია.

უშუალოდ შერჩეულ ლოკაციებზე და მის მიმდებარედ არსებული კომუნიკაციების შესახებ ინფორმაცია, დეტალურად მოცემულია პარგარაფში 4.1.

3.1.13 მომიჯნავედ არსებული დასახლებები

ლაგოდეხის აღკვეთილს სამხრეთის მხრიდან გარს აკრავს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები. მთავარი დასახლებული პუნქტია ქ. ლაგოდეხი.

ცხრილში 3.1.13.1. წარმოდგენილია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლების ჩამონათვალი და ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით.

ცხრილში 3.1.13.1. დასახლებული პუნქტები და მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნება

სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	
	2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით	2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით
ქ. ლაგოდეხი	6875	5918
კაბალი	3654	3238
განჯალა	2745	2243
ყარაჯალა	2576	2012
უზუნთალა	2333	1786
შრომა	1702	1299
ბაისუბანი	1210	888
მაწიმი	819	618
ნინიგორი	782	502
ზემო მსხალგორი	646	513
ქვემო მსხალგორი	628	444
ზემო გურგენიანი	-	444
ქვემო გურგენიანი	-	357
განათლება	293	376
ხიზაბავრა	146	94
ზემო ხიზა	108	75
რაჭისუბანი	100	68
ზემო ხეჩილი	90	47

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს 2022-2014 წლებში მოსახლეობის კლების ტენდენცია თვალშისაცემია და დაახლოებით 17-18%-ს შეადგენს. ამის მთავარი მიზეზია სამუშაო ადგილების სიმცირე და მოსახლეობის მიგრაცია. თუმცა მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია სხვა პერიოფერიულ რეგიონებთან შედარებით. მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულია (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი). ასევე დასაქმებულთა დიდი ნაწილი საბიუჯეტო ორგანიზაციებში მუშაობს.

3.2 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის აღწერა

3.2.1 ტურიზმის განვითარების არსებული მიმართულებები

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე ვიზიტორთა გადაადგილება და მითუმეტეს ტურისტული საქმიანობა არ არის დაშვებული, რაც რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. აქ შესვლა დაშვებულია მხოლოდ სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით, სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმებით. აქედან გამომდინარე ტურიზმის განვითარების არსებული მიმართულებები ძირითადად ლაგოდეხის აღკვეთილს უკავშირდება.

დღეისათვის ეკოტურისტული თვალსაზრისით შედარებით პოპულარულია აღკვეთილის სამხრეთი და აღმოსავლეთი უბანი. თუმცა არანაკლებ პერსპექტიულია ჩრდილო-დასავლეთ უბანი, სადაც ბოლო პერიოდში განვითარდა ახალი ეკოტურისტული ბილიკი მარტოთის ტბის მიმართულებით.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მონახულების მთავარი მოტივია ლაშქრობა და სათავგადასავლო ტურიზმი. ვიზიტორთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის ინტერესის ძირითად საგანს წარმოადგენს მიმზიდველი ბუნებრივი ლანდშაფტები და ხედები. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაცია სოფ. მაწიმში ფლობს ცხენების თავლას და საცხენოსნო მცირე ინფრასტრუქტურას და ვიზიტორებს სთავაზობს ცხენებით გასეირნების სერვისს. მოთხოვნის შემთხვევაში ადმინისტრაცია ასევე უზრუნველყოფს გამყოლის მომსახურებას, სპეციალური აღჭურვილობის, საკარვე და საპიკნიკე ადგილების გაქირავებას.

თუმცა ბოლო წლებში, აღკვეთილის საზღვრებში და მის მომიჯნავედ კერძო ტურისტული ობიექტების (სასტუმროები, კვების ობიექტები) განვითარებამ საკმაოდ მაღალი ინტერესი გააჩინა რეკრეაციის და შედარებით კომფორტის მაძიებელ ვიზიტორებში.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სამეცნიერო და ეკოსაგანმანათლებლო ტურიზმი. ამ მხრივ ხაზი უნდა გაესვას ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის პოტენციალს, რომელიც სათანადო რეგულაციების პირობებში არამარტო საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების (მაგ. აზერბაიჯანი) საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პრაქტიკული ცოდნის მოპოვების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ლაგოდეხის დენდროლოგიური პარკის როლიც, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შემოტანილი 30-ზე მეტი სახეობის მცენარე.

მნიშვნელოვანია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ ბოლო წლებში გაწეული ძალისხმევა ეკოტურიზმის ამ მიმართულების ხელშეწყობის საქმეში: ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს ლექცია-სემინარებს და პრეზენტაციებს სხვადასხვა გარემოსდაცვითი თემატიკით, ეკოტურებს დაცულ ტერიტორიებზე.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. 2018 წელს დაცულ ტერიტორიებს სტუმრობდა 57 472 ვიზიტორი, 2019 წელს – 59 761 ვიზიტორი, ხოლო 2020 წელს, COVID19 სიტუაციიდან გამომდინარე, მხოლოდ 6 079 ვიზიტორი. 2021 წელს ვიზიტ ორთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 26%-ით გაიზარდა, 2022 წელს კი წინა პერიოდთან შედარებით ზრდამ 40%-ს მიაღწია და დაფიქსირდა 10678 ვიზიტორი. 2019 წლის სტატისტიკის მიხედვით, ვიზიტორთა 75% საქართველოს, ხოლო 25% უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო. 2021 წლის მონაცემებით 83% საქართველოს, 17% კი უცხო ქვეყნის მოქალაქეა. 2022 წელს ეს თანაფარდობა 84/16%-ზე იყო. ეს სტატისტიკა მიუთითებს ადგილობრივი ვიზიტორების ინტერესის მნშვნელოვან ზრდას.

აქტიური ტურისტული სეზონი არის გვიანი გაზაფხულიდან შუა ოქტომბრამდე, ივლისსა და აგვისტოში ყველაზე მეტი ვიზიტორთა რაოდენობით. ყველაზე ცოტა ვიზიტორი ფიქსირდება ზამთარში (დეკემბერი-იანვარის პერიოდში). ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების

ეკოტურისტული ბილიკები ღიაა მთელი წლის მანძილზე, გარდა შავი კლდეების ტბის ბილიკისა, რომელიც მხოლოდ ივნისიდან ნოემბრამდე მასპინძლობს ვიზიტორებს.

3.2.2 ისტორიულ-კულტურული ობიექტები, ძირითადი დაინტერესებული მხარეები, განვითარების პერსპექტივები

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური ობიექტების განსაკუთრებული სიმრავლით არ გამოირჩევა. უნდა აღინიშნოს მდინარე მაწიმისწყლისა და ბნელიხეობის შესაყართან მდებარე მაჭის (თოღის) ციხე-ეკლესია რომელიც VII საუკუნით თარიღდება. მეფეთა სასახლის ქვევით, მიწაში ოთახებია ძლიერი სვეტებით, რომლებიც გარკვეულ პერიოდში, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, კახეთის მეფეთა დილეგს და თავშესაფარსაც წარმოადგენდა. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში IX საუკუნის სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესიაა (მონასტერი „დიდთა ძალითა ლაგოდეხი“), რომლის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ, მიმდებარე სოფლებში რამდენიმე ისტორიულ-კულტურული ობიექტია წარმოდგენილი. სოფ. გურგენიანთან მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია. აქვე შემორჩენილია გვიან შუა საუკუნეების ციხე-სახლი. სოფ. მსხალგორთან - ჩრდ-აღმ-ით 5 კმ-ის დაშორებით, მსხალგორის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ბაისუბნისხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს VII-XIV საუკუნეებით დათარიღებული სამონასტრო კომპლექსი. ეს სამონასტრო კომპლექსი სამონასტრო კომპლექსი სრულიად გამორჩეულიალაგოდეხის ძეგლებს შორის, და ერთ-ერთი გამორჩეული საქართვე-ოს ძეგლებში, იმით, რომ კომპლექსის ორნავიანი ბაზილიკა ერთადერთი სატაძრო ნაგებობაა ქართულ ძეგლებში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს: კაბალის ციხე-გალავანი სოფ. კაბალში, მცირე ეკლესია სოფ. უზუნთალაში, სალესავის ხევის ეკლესია სოფ. რაჭისუბანში, შუა საუკუნეების ეკლესია სოფ. შრომაშ და სხვა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადიოდა ცნობილი საქარავნო სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთ ქვეყნებს დასავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია სხვადასხვა ქვეყნისა თუ ეპოქის ნუმიზმატიკური ნიმუშები.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებში კულტურული და პილიგრიმული ტურიზმის განვითარების განსაკუთრებული პერსპექტივები არ არსებობს. თუმცა ვიზიტორებისთვის შეთავაზებული კომპლექსური ეკოტურისტული სერვისების ერთ-ერთი საინტერესო კომპონენტი შეიძლება გახდეს. ამ მხრივ გამოსარჩევია მაჭის ციხე-ეკლესიის მონახულების შესაძლებლობა, რომელიც დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი ბილიკის მარშრუტზე მდებარეობს.

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის რეკომენდებულია:

- მჭიდრო თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და საქართველოს საპატრიარქოსთან, განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიერ არსებული ისტორიულ-კულტურული ობიექტების რესტავრაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ისტორიულ-კულტურული ობიექტების სიახლოვეს ინფრასტრუქტურის (მათ შორის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის) განვითარების ხელშეწყობა (გზები, ბილიკები, ბილიკებზე საინფორმაციო დაფები და ა.შ.). ამ თვალსაზრისით მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, მობილური ქსელის ოპერატორებთან და სხვა;
- საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა, როგორც ისტორიულ-კულტურული ძეგლების პოპულარიზაციის, ასევე ვანდალიზმის პრევენციის მიზნით. შესაბამისი საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება და ვიზიტორთა ცენტრებში განთავსება.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
- საქართველოს საპატრიარქო;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც პერსპექტიული ტურისტული მომსახურების მომწოდებლები;
- ვიზიტორები (მათ შორის მომლოცველები, მეცნიერები და ა.შ.).

3.2.3 ტურისტული და რეკრეაციული ობიექტები, განვითარების პერსპექტივები, არსებული მოსარგებლეები და სხვა დაინტერესებული მხარეები

ტურისტული და რეკრეაციული ობიექტები ძირითადად კონცენტრირებულია ქ. ლაგოდეხის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის სიახლოვეს. აქ წარმოდგენილია ლაგოდეხის დენდროლოგიური პარკი, სასტუმრო და კვების ობიექტები. გარკვეული ინფრასტრუქტურა ასევე წარმოდგენილია სოფ. გურგენიანის და რაჭისუბანი-მაწიმის შესასვლელებთან. ვიზიტორების ინტერესის საგანს ძირითადად ამ ლოკაციებიდან დაწყებული ტურისტული ბლიკები წარმოადგენს.

ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტები განვითარებულია დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ, ასევე ძირითადად ქ. ლაგოდეხის ფარგლებში. ასეთი ობიექტებიდან დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ფინანსურ-ეკონომიკური სარგებელი პრაქტიკულად არ არსებობს. საკუთრივ ადგილობრივი ბიზნესი კი, როგორიცაა სასტუმროები, რესტორნები და სხვა მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ დაცულ ტერიტორიებთან მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და კომერციული ურთიერთობის შედეგად მიღებული გაყიდვებით.

დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვისთვის საჭირო ხარჯების მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე მსოფლიოს არაერთი ქვეყანა მიმართავს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის სტრატეგიას, რაც ორმხრივი სარგებლის მომტანია. მათ შორის ხდება კერძო ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების განვითარება დაცული ტერიტორიების საზღვრებში, ლიცენზიის ან შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე. ესეთი მიდგომა საშუალებას აძლევს კერძო კომპანიებს განახორციელონ კომერციული ოპერაციები დაცულ ტერიტორიაზე, ხოლო დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციამ მიიღოს პირდაპირი ფინანსური სარგებელი ბიზნესიდან.

შემოთავაზებულია, რომ ტურისტული და რეკრეაციული ობიექტების შემდგომი განვითარება მოხდეს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების საზღვრებში, გარდა სახელმწიფო ნაკრძალისა. თუმცა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კავშირი კერძო ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების შემოსავალსა და დაცული ტერიტორიის კონსერვაციული მიზნების მიღწევას შორის იყოს ძალიან მჭიდრო. აღსანიშნავია, რომ სათანადო დაგეგმვისა და მართვის პირობებში მსგავსი საიჯარო ხელშეკრულებები ხელს უწყობს კერძო სექტორის მოთხოვნების დაბალანსებას დაცულ ტერიტორიებზე განვითარებისთვის და შეზღუდული რაოდენობის კონტროლირებად ბიზნეს-საქმიანობას.

კერძო სექტორთან თანამშრომლობით ტურისტული და რეკრეაციული ობიექტების განვითარება შესაძლებელია როგორც ტურისტებისთვის ტრადიციულ და პოპულარულ ლოკაციებზე, ასევე პერიფერიულ ადგილებში (მაწიმი, რაჭისუბანი, გურგენიანი, ხიზა, ბაისუბნის და კაბლის თემი),, რომელთა ცნობადობა ქ. ლაგოდეხის ცენტრალური შესასვლელის ლოკაციასთან შედარებით დაბალია, თუმცა არსებული და დაგეგმილი ტურისტული

ინფრასტრუქტურა (მაგ. ტურისტული ბილიკების ქსელი) სასარგებლო განლაგებაში იმყოფება მათთან.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა საკმაოდ განვითარებულია, მათი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი. თუმცა გამოწვევად მაინც რჩება რიგი საკითხები, ერთ-ერთი ეს არის ცნობად და პოპოლარულ ლოკაციებზე ტურისტული წნეხის მაღალი რისკები. ვიზიტორთა მზარდი ტენდენციის ფონზე მნიშვნელოვანია ვიზიტორების, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების ეფექტური მართვის იმ მოდელის შეთავაზება, რომლის მიხედვითაც ტურისტები შეძლებისდაგვარად გადანაწილებულნი იქნებიან სხვადასხვა ეკოტურისტულ ლოკაციებზე. ამ მხრივ საჭიროა ვიზიტორთა გამტარუნარიანობის და მათი ინტერესის ძირიტადი სფეროების შესწავლის პროცესის გაგრძელება.

ახალი ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების შესახებ შემოთავაზებები აღწერილია წინამდებარე დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილში (პარაგრაფი 4).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- კერძო ბიზნესი;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი მოსახლეობა;
- ვიზიტორები.

3.2.4 ტრადიციული საქმიანობებით და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალი, განვითარების პერსპექტივები, დაინტერესებული მხარეები

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლების შემოსავლები მნიშვნელოვნად უკავშირდება დაცული ტერიტორიის საზღვრებში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ადგილობრივი თემების უზუნველყოფა საშეშე მერქნით. მნიშვნელოვანია, რომ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ამ საკითხს - ძირითადად ხდება მოთხრილ-მოტეხილი და ზეხმელი მერქნის გაცემა იმ კომლებზე, რომელთაც ბუნებრივ აირთან წვდომა არ აქვს. ასეთი კომლების შერჩევა მკაცრად კონტროლდება. ამ რესურსებზე დამოკიდებულია 6 დასახლებული პუნქტის ცალკეული მაცხოვრებლები (ქ. ლაგოდეხი, სოფლები მაწიმი, რაჭისუბანი, შრომა, კავშირი, ხიზაბავრა, ხიზა, გურგენიანი). თითო კომლზე ხდება 2- 5 მ^3 საშეშე მერქნის გაცემა.

ტყის მერქნულ რესურსებზე დამოკიდებულების კლების ტენდენცია აღსანიშნავია. ამის მთავარი მიზეზია, რომ ბოლო წლებში აქტიურად ხდება მიმდებარე დასახლებული პუნქტების გაზიფიცირება. თუ 2018 წელს გაცემული იქნა 1901 მ^3 მერქანი, 2021 წელს გაცემული რესურსის მოცულობამ 1457 მ^3 შეადგინა. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია, რომ ტყის რესურსებზე წნეხი კიდევ უფრო შემცირდება, რადგან 2024 წლისთვის იგეგმება რამდენიმე სოფლის გაზიფიცირება.

ადგილობრივი მოსახლეობა ასევე სარგებლობს სხვადასხვა არამერქნული რესურსით, მათ შორის ხდება ტყის კენკროვანი სახეობების, სოკოს და სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების მოპოვება. ჩამოთვლილი რესურსებით სარგებლობის პრაქტიკა განსაკუთრებით დამკვიდრებულია ქ. ლაგოდეხის და სოფ. გურგენიანის ფარგლებში.

საძოვრები ასევე წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად გამოიყენებს. ამ მხრივ გამოსარჩევია ლაგოდეხის აღკვეთილის ჩრდილო-დასავლეთ უბანი. ეს უბანი ბუნებრივად კარგად დაცულია და მასზე ანთროპოგენული წნეხი არ არის მაღალი. თუმცა, რეგიონში მეცხვარეობის განვითარების პარალელურად იზრდება გადაჭარბებული ძოვების რისკები, რაც ამ ტერიტორიებს გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს.

აღსანიშნავია, რომ USAID-ის დაფინანსებით 2014 წელს დაიწყო პროექტი რომელიც მიზნად ისახავდა საძოვრების მართვის გეგმის შემუშავებას. პროექტის ფარგლებში მომზადდა მცენარეულობის რუკა და შესწავლილ იქნა საძოვრების მდგომარეობა. პროექტი შეწყდა საძოვრების მართვის გეგმის შემუშავებამდე. ლაგოდეხის აღკვეთილის საძოვრების მართვის გეგმა შემუშავდა სახეობათა კონსერვაციის ცენტრის – ნაკრესის მიერ 2016 წელს. მნიშვნელოვანია ასეთ პროექტზებზე მაქსიმალური ძალისხმევის მიმართვა, რომლის მთავარი მიზანი უნდა იყოს საძოვრების სივრცითი და დროითი გამოყენების რეგულირება და ამ მხრივ კონტროლის გამკაცრება.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წყლის რესურსებს. მიმდებარე სოფლები წყალმომარაგების წყაროდ იყენებს დაცული ტერიტორიების ფარგლებში გამდინარე მდინარეებს. წყლის რესურსების გამოყენება ხდება როგორც სასმელი და სამელიორაციო დანიშნულებით, ასევე კერძო ბიზნესისთვის (მაგ. თევზსაშენი მეურნეობა). მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაცული ტერიტორიების საზღვრებში წყლის რესურსებით სარგებლობა მკაცრად რეგულირდება.

ასევე შეიძლება აღინიშნოს სხვადასხვა საკვები პროდუქტების და ხალხური სამკურნალო საშუალებების დამზადების ტრადიცია. ასეთი პროდუქტების მომხმარებლებს დამსვენებლები და ტურისტები წარმოადგენენ.

ტრადიციული საქმიანობების პოპულარიზაციისა და ამავე დროს ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალის ზრდისთვის მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მოსახლეობასთან და სახელმწიფო უწყებებთან. შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოება და მოსახლეობის დატრენინგება. შესაძლებელია ზოგიერთი ტრადიციული საქმიანობის ეკოტურისტული სერვისის სახით ვიზიტორებისთვის შეთავაზება (ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება, ტურების დაგეგმვა ტყის არამერქნული რესურსების შეგროვების მიზნით და ა.შ.).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი ბიზნესი;
- ადგილობრივი მოსახლეობა და ფერმერები;
- ვიზიტორები.

3.2.5 ეკოსისტემური სერვისები, დაინტერესებული მხარეები და განვითარების პერსპექტივები

ზოგადად დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციაში. ამ მხრივ საქართველოს მასშტაბით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს, როგორც ხელუხლებელი ტყით დაფარულ ერთ-ერთ დიდ ტერიტორიას. მისი როლი დიდია ზოგადად რეგიონის მიკროკლიმატური პირობების

ფორმირებაში - აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გამორჩეულად ნოტიო, სუბტროპიკული ჰავაა.

დაცული ტერიტორიები თავისი განლაგებით და უნიკალური ბუნებრივ-ლანდშაფტური კომპონენტების წყალობით ეკოსისტემური სერვისების მნიშვნელოვან მომწოდებელს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. აქ იგულისხმება მოსახლეობისთვის ეკოსისტემის როგორც პირდაპირი პროდუქტების (მაგ. საკვები, შეშა, არამერქნული ტყის პროდუქტები, წყალი და სხვა) მიწოდება, ასევე მარეგულირებელი, კულტურული და სხვა დამხმარე სერვისების შეთავაზება.

პირდაპირი პროდუქტების სახით გამოსარჩევია შემდეგი მიმართულებები: როგორც აღინიშნა ლაგოდეხის აღკვეთილის დიდი ნაწილი ზაფხულის საძოვრებად არის გამოყენებული. ზღვის დონიდან მაღალი მდებარეობა და გარშემორტყმული ტყიანი ტერიტორიები გარეშე ანთროპოგენური ზემოქმედების მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს, რაც მაღალი ეკოლოგიური ღირებულების საკვები პროდუქტების მიღების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს მუნიციპალიტეტის არაერთი სოფლის მომარაგების შესაძლებლობა ხარისხიანი სასმელი და სამელიორაციო წყლით.

დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ტყის მასივი ეროზიის, წყალდიდობისა და ღვარცოფული მოვლენების კონტროლს უზრუნველყოფს. ეს მარეგულირებელი ეკოსისტემური სერვისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ არეალისთვის დამახასიათებელი რთული რელიეფის და გეოლოგიური აგებულების პირობებში, როდესაც მკვეთრად დახრილ ფერდობებზე გამდინარე წყლის ობიექტებს დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

აუცილებელია აღინიშნოს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების როლი ბიომრავალფეროვნების ენდემური და საერთაშორისო კონვენციებით დაცული კომპონენტების კონსერვაციის თვალსაზრისით. სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კახეთის დაცული ტერიტორიები, მათ შორის ლაგოდეხის ნაკრძალი და აღკვეთილი ყველაზე შესაფერისი ადგილია ბიოსფერული რეზერვატის დაარსებისთვის საქართველოში. მომავალში აქ შესაძლებელი იქნება კონსერვაციისა და მდგრადი განვითარების ინოვაციური მიდგომების დემონსტრირება.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მრავალწლიანი ისტორია და გამოცდილება, მისი კლიმატურ-ლანდშაფტური თავისებურებები, ბიომრავალფეროვნების მაღალი ღირებულების კომპონენტები არამატერიალური (მათ შორის კულტურული, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი სფერო) მომსახურების მიწოდების შესაძლებლობასაც ქმნის. მათ შორის გამოკვეთილია შემდეგი სფეროების განვითარების პერსპექტივები:

- კომპლექსურად სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილი, ასევე დენდროლოგიური პარკი შესაძლებელია გახდეს სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო ნაშრომების საკვლევი ბაზა (მათ შორის ზოოლოგიური, ბოტანიკური და სხვა);
- განსახილველი დაცული ტერიტოროები, აქ არსებული ეკოსისტემების მრავალფეროვნების და ისტორიულ-კულტურული თავისებურებების შერწყმით ეროვნულ და გლობალურ კულტურაშიც კი კრეატიულობის (მწერლობა, ხელოვნება, არქიტექტურა) წყარო შეიძლება გახდეს.

ეკოსისტემური სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა პირდაპირ კავშირშია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, ვიზიტორებში და მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებასთან, ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობასთან; ტრადიციული საქმიანობების ხელშეწყობასთან და ა.შ. თუმცა ეს ყველაფერი აუცილებელია მოხდეს კონსერვაციის პრინციპების საერთაშორისო სტანდარტებით დაცვით.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- მოსახლეობა (არამარტო ადგილობრივი);
- ვიზიტორები და სხვა.

3.2.6 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივები

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის არსებული მიმართულებები დაკავშირებულია ველური ბუნების, ტყის ეკოსისტემის, მდიდარი ბიომრავალფეროვნების, რელიეფის და გეოლოგიური თავისებურებების, ისტორიისა და კულტურის ერთობლიობასთან, რაც იზიდავს სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორებს.

ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გაძლიერება შესაძლებელია არსებული ეკოტურისტული ლოკაციების შენარჩუნება-განვითარების პარალელურად, ახალი ობიექტების მოწყობის გზით. რეკომენდებულია განვითარება მოხდეს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, თუმცა დაცული ტერიტორიების კონსერვაციის პრინციპების მაქსიმალური დაცვით, ადგილობრივი მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესების გათვალისწინებით. ესეთი მიდგომა ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის ფულადი შემოსავლების პირდაპირ ზრდას, რაც ისევ დაცული ტერიტორიის კონსერვაციისკენ იქნება მიმართული.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების რეკომენდაციები მოცემულია პარაგრაფში 4.

3.3 დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის შედეგები

შეხვედრები გაიმართა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ასევე ინტერვიურება მოხდა შერჩეული ლოკაციების მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლების.

შეხვედრების დროს ადმინისტრაციას მიეწოდა წინასწარი ინფორმაცია საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმის პროექტის მიზნებისა და ამოცანების, დაგეგმილი აქტივობების და სამომავლო საჯარო განხილვების შესახებ. თავის მხრივ ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ მოხდა არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდება და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ ხედვების გაზიარება.

მიზნობრივი შეხვედრა გაიმართა რეინჯერებთან. შეხვედრის დროს გაანალიზებული იქნა არსებული კარტოგრაფიული მასალა, წარსული გამოცდილება და იდეები. მათი დახმარებით მოხდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის პერსპექტიული ადგილების მონახულება და არსებული მდგომარეობის შეფასება. მათთან უშუალო კონსულტაციების გზით შემუშავდა თითოეული ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების კონცეფცია.

საველე ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი პრობლემები და მათი მოლოდინები. ზოგიერთმა გამოკითხულმა მკაფიოდ დააფიქსირა, რომ ტურისტული ობიექტების და სერვისების განვითარება მათ შემოსავლებზე პირდაპირ დადებით შედეგებს მოიტანს. თუმცა აქვე ხაზი გაესვა, რომ ტურისტული ნაკადების დიდი ნაწილი ქ. ლაგოდეხის ცენტრალურ შესასვლელზე მოდის. აქტიური სეზონის დროს ვიზიტორები ძირითადად სარგებლობენ აქ




არსებულ ტურისტული ინფრასტრუქტურით (მათ შორის კერძო საკუთრებაში).

მოსახლეობის აზრით ცალსახად დადებითი იქნება მოხდეს ტურისტული ობიექტების და სერვისების გადანაწილება ლაგოდეხის აღკვეთილის პერიფერიულ ნაწილებშიც (სოფლების მაწიმი, რაჭისუბანი, ხიზაბავრა, გურგენიანის, ხიზა, შრომა, კაბალის და ბაისუბნის თემის მიმდებარედ).. ესეთი განვითარება ერთის მხრივ შეამცირებს უკვე არსებულ (ცნობილ) ეკოტურისტულ ლოკაციებზე დატვირთვას (მათ შორის გააუმჯობესებს ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო ნაკადების პირობებს). მეორე მხრივ ზემოაღნიშნული სოფლების მოსახლეობისთვის გამოჩნდება უკეთესი პერსპექტივები მიიღონ პირდაპირი შემოსავლები ტურიზმიდან (მათ შორის მომსახურება, ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვა და ა.შ.).

როგორც ადმინისტრაცია, ასევე გამოკითხული მოსახლეობა აფიქსირებს, რომ კერძო ბიზნესის დაინტერესება ლაგოდეხის აღკვეთილის პერიფერიულ ნაწილში განავითაროს ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა, საკმაოდ მაღალია. შესაბამისად სათანადო დაგეგმარების პირობებში შემოთავაზებული ლოკაციების განვითარების პერსპექტივები საკმაოდ რეალისტურია და გრძელვადიან სარგებელზე იქნება გათვლილი. ეს სარგებელი მრავალმხრივი შეიძლება იყოს, როგორც დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისთვის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისთვის და მოსახლეობისთვის.

მოსახლეობის გამოკითხვის პროცესში ასევე ინტერესის საგანი იყო კომუნიკაციების და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მდგომარეობა. ამ მხრივ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფარგლებში მნიშვნელოვანი პრობლემები არ არსებობს. ზოგიერთი მოსახლის მიერ ხაზი გაესვა, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ადგილი აქვს ადგილობრივი გზების დაზიანებას და მდინარეთა სანაპირო ზოლში ეროზიული პროცესების გააქტიურებას. საჭიროა ძალისხმევა აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით.

მოსახლეობასთან დისკუსიები გაიმართა ვიზიტორებისთვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზების (მაგ. სატრანსპორტო მომსახურება, სხვადასხვა ინვენტარის გაქირავება-გაყიდვა და ა.შ.) და ადგილობრივი ნატურალური ნაწარმოს გაყიდვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. მათი თქმით პერსპექტივაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების და ვიზიტორთა დამატებითი ნაკადების მოზიდვის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილობრივებს ჰქონდეთ ამ მხრივ მეტი დაინტერესება. ეს საკითხიც სამომავლოდ დეტალური დისკუსიის საგანია.



„საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტების“ მომზადების ფარგლებში შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და სხვა დაინტერესებული მხარეები. დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგემების მომზადებას ფასილიტაციას უწევდა დაცული ტერიტორიების სააგენტო.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 3.3.1.

ცხრილი 3.3.1. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია

N	თარიღი	აქტივობა
1.	21.06.2023	2023 წლის 21 ივნისს გაიმართა პირველი ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ზუმის საშუალებით, ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის გენერალური გეგმების შემუშავების პროცესისა და სამოქმედო გეგმის განსახილველად.
2.	25.06.2023	2023 წლის 25 ივნისს საპროექტო ჯგუფი ეწვია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ცენტრს ქ. ლაგოდეხში, სადაც გამართა დამატებითი შეხვედრა ადმინისტრაციის თანამშრომლებთან.
3.	26.06.2023-	2023 წლის 26 ივნისს საპროექტო ჯგუფმა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები ადმინისტრაციული ცენტრის, ლაგოდეხის მონასტრისა, დენდროპარკის და სოფელი შრომის მიმართულებით.
4.	02.07.2023	2023 წლის 2 ივლისს საპროექტო ჯგუფმა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები მაწიმი-რაჭისუბნის მიმართულებით.
5.	03.07.2023	2023 წლის 3 ივლისს საპროექტო ჯგუფმა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები ხიზა-გურგენიანის მიმართულებით.
6.	03.07.2023	2023 წლის ივლისს საპროეტქო ჯგუფმა ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა, მოისმინა მათი საჭიროებები და მოლოდინები ეკოტურისტული ინფრასტურქტურის და სერვისების განვითარების თაობზე.
7.	5.07.2023	2023 წლის 5 ივლისს საპროექტო ჯგუფმა, კიდევ ერთხელ გამართა ზუმის ონლაინ შეხვედრა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან. შეხვედრაზე შეფასებულ იქნა შერჩეული ლოკაციების ტურისტული პოტენციალი; საპროექტო ჯგუფმა წარმოადგინა იდეები, თუ რა სახის ეკოტურისტული სერვისები და ინფრასტრუქტურა შესაძლოა მოეწყოს შერჩეულ ლოკაციებზე. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ასევე წარმოადგინეს თავისი იდეები და მიდგომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეჯერდება საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იდეებთან და საბოლოოდ აისახება დოკუმენტში.
8	13.09.2023	2023 წლის 13 სექტემბერს საპროექტო ჯგუფმა, გამართა ზუმის ონლაინ შეხვედრა პროექტის განმახორციელებელი ორგანოს წარმომადგენლებთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელობასთან, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეიბის სამინისტროს თანამშრომლებთან, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მეიჯარეებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრაზე განხილული იქნა დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, ასევე დოკუმენტთან დაკავშირებით წარმოდგენილი შენიშვნები და რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტის წინამდებარე ვერსიაში.

4 სარეკომენდაციო ნაწილი - პერსპექტიული (საპროექტო) ეკოტურისტული ლოკაციები

4.1 საპროექტო არეალის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია

წინამდებარე დოკუმენტის მომზადების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების საზღვრებში ეკოტურისტული თვალსაზრისით საინვესტიციოდ მიმზიდველი ლოკაციების (სამიზნე ტერიტორიების) იდენტიფიცირება, მათი განვითარების კონცეფციის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, ასევე საბაზისო (კომპლექსური) ტურისტულ-რეკრეაციული და ამავე დროს დაცული ტერიტორიების ეფექტურად მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფციის შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული ლოკაციების ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იყოს შშმ პირებზე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს შშმ პირების კომფორტული გადაადგილება შერჩეული ლოკაციების სხვადასხვა ზონაში და აქ გათვალისწინებულ სერვისებზე წვდომა მნიშვნელოვანი სირთულეების გარეშე.

პერსპექტიული (საპროექტო) ლოკაციების მონიშვნა განხორციელდა წინასწარ, საოფისე სამუშაოების პროცესში, დაინტერესებულ მხარეებთან (მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები და სხვა) კომუნიკაციის საფუძველზე. შემდგომში, საველე სამუშაოების საფუძველზე მოხდა აღნიშნული ტერიტორიების პერსპექტიულობის შეფასება, სხვადასხვა გარემო ფაქტორების გათვალისწინებით.

4.2 შეთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციები

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარების მიზნით საინვესტიციოდ ხელსაყრელი ტერიტორიების მოძიება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის მთავარი მიზეზია სივრცითი დაგეგმარებისთვის აუცილებელი ფართობის მქონე მიწის რესურსების სიმცირე, მათ შორის რელიეფის და ტყით მჭიდროდ დაფარულობის გამო. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის 80%-ზე მეტს წარმოადგენს სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც IUCN-ის I კატეგორიას განეკუთვნება და ეროვნული კანონმდებლობით მოქმედებს მკაცრი აკრძალვები. შესაბამისად ეკოტურისტული ლოკაციების მოძიების საწყის ეტაპებზევე აქცენტი გაკეთებული იქნა ლაგოდეხის აღკვეთილზე.

ამ შემთხვევაშიც თავიდანვე გამოიკვეთა გარკვეული შეზღუდვები. როგორც აღინიშნა ლაგოდეხის აღკვეთილი მოიცავს ორ, ერთმანეთისგან საკმაოდ დამოუკიდებელ უბანს. აღკვეთილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, მეტწილად სუბალპური მდელოების ლანდშაფტით, გამოყენებულია საზაფხულო საძოვრებად. დღეისათვის ამ არეალში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი გაცილებით დაბალია, თუმცა თავისი ლანდშაფტური მახასიათებლებიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალი ეკოტურისტული პოტენციალი გააჩნია (განსაკუთრებით ლაშქრობის მოყვარული ვიზიტორებისთვის). თუმცა ამ არეალში საბაზისო ეკოტურისტული ლოკაციების განვითარების შეზღუდვებს წარმოადგენს საგზაო და სხვა სახის კომუნიკაციების არარსებობა, მოსახლეობის დაშორება, რელიეფური პირობები, ასევე სახელმწიფო სასაზღვრო ზოლის სიახლოვე და ა.შ.

პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაციების შერჩევისას მნიშვნელოვან ფაქტორებად ჩაითვალა ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების რისკები, აქ არსებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან, ვიზიტორებისთვის ცნობად და საინტერესო ლოკაციებთან და ღირსესანიშნაობებთან ხელსაყრელი განლაგება და ა.შ.

სამიზნე ტერიტორიების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმების აღწერა მოცემულია ცხრილში 4.2.1. ხაზგასასმელია, რომ ცხრილში მოცემული კრიტერიუმები წარმოდგენილია ზოგადი შეფასების და საველე რეკოგნოსცირებითი სამუშაოების საფუძველზე.

ცხრილი 4.2.1. სამიზნე ტერიტორიების შერჩევის კრიტერიუმები

კრიტერიუმი	კრიტერიუმის დახასიათება
სამიზნე ტერიტორიის ადგილმდებარეობა და განლაგება:	• ლოკაცია, რომელიც მოქცეულია დაცული ტერიტორიების საზღვრებში, თუმცა არ მოიცავს სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიას; • ლოკაცია, რომელიც განლაგებულია დაცული ტერიტორიების შემძლებისდაგვარად ისეთ ადგილებში,საიდანაც მეტ-ნაკლებად თანაბრად არის ხელმისაწვდომი არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობები; • არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურასთან, არსებულ და პოტენციურ ბილიკებთან ხელსაყრელი განლაგება; • ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ხელსაყრელი განლაგება; • მომიჯნავე სხვა რეკრეაციულ და საკურორტო ადგილებთან ხელსაყრელი განლაგება; • წყლის რესურსებზე და ელექტროენერგიაზე მეტ-ნაკლები ხელმისაწვდომობა; • დასახლებულ პუნქტებთან ხელსაყრელი განლაგება.
რელიეფი და ფართობი	• საჭირო ფართობი სივრცითი განვითარებისთვის; • მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი რელიეფი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მინიმალური სირთულეები მშენებლობასთან დაკავშირებით;
ბუნებრივი გარემოს სპეციფიკა	• მეტ-ნაკლებად მდგრადი საინჟინრო-გეოლოგიური პირობები. მეწყრული, ეროზიული, ღვარცოფული პროცესების გათვალისწინება; • მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები; • პერსპექტივაში, სივრცითი განვითარების შედეგად გეოლოგიურ მდგრადობაზე მინიმალური ზემოქმედება.
ეკოლოგია და გარემოსდაცვითი რისკები	• მინიმალური ჩარევა ადგილობრივ ეკოსისტემაში, მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ჰაბიტატების და განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული გარეულ ცხოველთა საბინადრო ადგილების მაქსიმალური შენარჩუნება. შესაბამისად პრიორიტეტის მინიჭება ადამიანის მიერ მეტ-ნაკლებად უკვე სახეცვლილი ადგილებისთვის; • ტურისტული ნაკადების სივრცითი დივერსიფიცირების და ამით ცნობად ლოკაციებზე წნეხის შემცირების შესაძლებლობა; • აუცილებელი ბუნებრივი რესურსების სიახლოვე და ამასთან ერთად ბუნებრივი რესურსების გამოყენების მინიმალური საჭიროება; • დამატებითი ინფრასტრუქტურის (მაგ. მისასვლელი გზები და ა.შ.) განვითარების ნაკლები საჭიროება; • ხანძრების განვითარების ნაკლები რისკები, ხანძრებზე ეფექტური რეაგირების შესაძლებლობა; • ხელსაყრელი გარემოება ნარჩენების მდგრადი მართვის თვალსაზრისით; • ხელსაყრელი პირობები წყალმომარაგება-წყალარინების მხრივ და ა.შ.
ადგილობრივი თემები	• მინიმალური გავლენა კერძო საკუთრებაზე და გარეშე ინვესტორების მინიმალური კონკურენცია ადგილობრივ თემებთან; • დასახლებულ პუნქტებთან ხელსაყრელი განლაგება და მომიჯნავედ მაცხოვრებელი ადგილობრივებისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღების (საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია, კვების და მცირე ზომის სასტუმროების განვითარება და ა.შ.) თანაბარი შესაძლებლობა; • ინფრასტრუქტურული განვითარების ისეთი შესაძლებლობა, რომელიც მაქსიმალურად შეხამებული იქნება რეგიონის ისტორიულ-კულტურულ სპეციფიკურობასთან და ტრადიციებთან.
საინვესტიციო მიმზიდველობა	• მრავალფეროვანი ეკოტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობა; • ინტერესთა მინიმალური კონფლიქტი კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის;


	• ადამიანურ და სხვა სახის რესურსებზე ხელმისაწვდომობა; • ტურისტულად აქტიური სეზონის მაქსიმალური ხანგრძლივობა.
სხვა.	• საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ძირითადი პრინციპებთან მაქსიმალური შესაბამისობა.

ცხრილში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, საოფისე და საველე სამუშაოების საფუძველზე გამოვლენილი იქნა შემდეგი ალტერნატიული ტერიტორიები პერსპექტივაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის:

- **ალტერნატივა 1** – „მაწიმის ეკოტურისტული ლოკაცია“;
- **ალტერნატივა 2** – „რაჭისუბნის ეკოტურისტული ლოკაცია“;
- **ალტერნატივა 3** – „ქ. ლაგოდეხის ეკოტურისტული ლოკაციები“, სადაც ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელია სამ დამოუკიდებელ უბანზე:
  ალტერნატივა 3.ა. - ცენტრალური შესასვლელი და დ. აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე უბანი;
  ალტერნატივა 3.ბ. - დენდროლოგიური პარკის უბანი;
  ალტერნატივა 3.გ. - ვაშლოვანის ქუჩის მიმდებარე უბანი.
- **ალტერნატივა 4** – „შრომის ეკოტურისტული ლოკაცია“;
- **ალტერნატივა 5** – „ხიზას ეკოტურისტული ლოკაცია №1;
- **ალტერნატივა 6** – „ხიზას ეკოტურისტული ლოკაცია №2;
- **ალტერნატივა 7** – „გურგენიანის ეკოტურისტული ლოკაცია №1“ (ან ხიზაბავრას ლოკაცია);
- **ალტერნატივა 8** – „გურგენიანის ეკოტურისტული ლოკაცია №2“ (ან ქვემო გურგენიანის ლოკაცია);
- **ალტერნატივა 9** „გურგენიანის ეკოტურისტული ლოკაცია №3“ (ან საჯავახოს ლოკაცია);
- **ალტერნატივა 10** „თელიანის ლოკაცია“

შემოთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციების ადგილმდებარეობები ნაჩვენებია ნახაზზე 4.2.1.

ნახაზი 4.2.1. შემოთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციების განლაგება



4.2.1 ალტერნატივა 1 – „მაწიმის ეკოტურისტული ლოკაცია“

4.2.1.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, მაწიმის თემი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 608931; Y – 4629413; Z – 430-450.

პირველი ალტერნატიული ტერიტორია - მაწიმის ეკოტურისტული ლოკაცია მდებარეობს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სოფ. მაწიმის ჩრდილოეთით. აღნიშნულ ლოკაციაზე უკვე არსებობს გარკვეული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა: რეინჯერთა სადგური, ცხენების თავლა და სხვა. ადგილობრივი დამაკმაყოფილებელი რელიეფის და მცერნარეული საფარის დაფარულობის შედარებით დაბალი სიხშირის გათვალისწინებით ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელია ტერიტორიის დიდ ნაწილზე.



ლოკაციის სამხრეთით კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებია წარმოდგენილი, ჩრდილოეთით ახლოს გადის ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის საზღვარი. აღმოსავლეთით და დასავლეთით კი ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიები გრძელდება.

ლოკაციის სამხრეთით, დაახლოებით 1,2 კმ მანძილის დაშორებით გადის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - ს5. ასევე აღსანიშნავია საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვები პუნქტის სიახლოვე (სამხრეთ-აღმოსავლეთით, ≈2,0 კმ მანძილის დაშორებით). ტერიტორიასთან ზედაპირული წყლის ობიექტი არ არის წარმოდგენილი. უახლოესი მდინარე - მაწიმისწყალი გაედინება აღმოასვლეთით, ≈1,5 კმ მანძილის დაშორებით.

ლაგოდეხის აღკვეთილის საზღვრებში პერსპექტიული ტურისტული ლოკაციის საერთო ფართობი 20.0 ჰა-ს შეადგენს, თუმცა აღსანიშნავია სამხრეთით (დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რაც ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების და კერძო ბიზნესის დაინტერესების დამატებით საშუალებას იძლევა.

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ტერიტორიაზე წარმოდგენილია ბრტყელი და სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით დახრილი რელიეფი. ლოკაციაზე და მის მიმდებარედ რელიეფის მკვეთრად გამოხატული დადებითი ან უარყოფითი ფორმები არ აღინიშნება. გეოლოგია წარმოდგენილია მოლასური ფორმაციებით (კონგლომერატები, ქვიშაქვა). ზედაპირული ფენა - ნიადაგი ალუვიური წარმოშობისაა. საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება არ აღინიშნება და რელიეფურ-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით არც მომავალშია მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გართულებები.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: შემოთავაზებული ტურისტული ლოკაცია სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობს წარმოადგენს. პერიფერიულ ადგილებში განვითარებულია ტყის ყავისფერი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. ლოკაციის იმ ნაწილზე, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს ბუნებრივ ნიადაგებში შერეულია ტექნოგენური ფენა. წარმოდგენილია ტყის ტიპის ჰაბიტატი.თუმცა მისი ანთროპოგენურობის ხარისხი მაღალია აქ არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. წარმოდგენილია ჯაგრცხილნარი ტყე *(Carpinetum, Carpinus orientalis).* ჯაგრცხილას გარდა აქ შეხვდებით

შემდეგ სახეობებს: კავკასიური რცხილა (*Carpinus caucasica),* ქართული მუხა *(Quercus iberica)* და მინდვრის ნეკერჩხალი *(Acer campestre).* ქვეტყე ნაკლებად განვითარებულია. ბალახოვანი მცენარეებიდან აღსანიშნავია: *Oplismenus undulatifolius, Salvia glutinosa* და *Viola odorata* და სხვა. განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული სახეობებიდან შეიძლება გამოვლინდეს ჩვეულებრივი წაბლი *(Castanea sativa -VU),* უთხოვარი *(Taxus baccata -VU).* ლაფანი *(Pterocarya pterocarpa - VU).* საერთო ჯამში ჰაბიტატი საკმაოდ სახეცვლილია და არ განეკუთვნება მაღალი საკონსერვაციო სტატუსის მქონე ჰაბიტატებს.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ცხოველთა მნიშვნელოვანი სახეობების კონცენტრაციის ან მათი მუდმივი საბინადრო ადგილები არ დაფიქსირებულა. ანთროპოგენური დატვირთვა განაპირობებს ამ ლოკაციაზე დაცული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი მაღალი ღირებულების ცხოველთა სახეობების მოხვედრის დაბალ ალბათობას. მეტად მაღალია ტერიტორიაზე შემოვიდეს საშუალო ზომის ძუძუმწოვრები, როგორიცაა მელა, ტურა და სხვა. თუმცა ამ სახეობების ცხოველქმედებისთვის შეუცვლელ ჰაბიტატს არ წარმოადგენს. ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხელფრთიანების კოლონიების არსებობისთვის ხელსაყრელი ადგილები (გამოქვაბულები, მსხვილვარჯოვანი ფუღუროიანი ხეები და სხვა) არ დაფიქსირებულა.

არსებული კომუნიკაციები: ტერიტორია ადვილად, გრუნტის საავტომობილო გზით უკავშირდება სამხრეთით გამავალ ცენტრალურ საავტომობილო გზატკეცილს (ს5). ხელსაყრელი გარემოებაა შექმნილი საჭირო კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება) განვითარების მხრივ. ტერიტორია უკვე დაკავშირებულია წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების ქსელთან და ამ მხრივ განსაკუთრებული ძალისხმევის გაწევა საჭირო არ არის. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში. საერთო ჯამში აღნიშნული ალტერნატიული ლოკაციისთვის კომუნიკაციების განვითარების პერსპექტიულობა ერთ-ერთ უპირატესობად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ტურისტული ფონი: განსახილველი ალტერნატიული ლოკაცია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების სხვა ცნობილ ეკოტურისტულ ადგილებთან შედარებით (მაგ. ქ. ლაგოდეხის ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარე არეალი) ნაკლებად დატვირთულია. თუმცა უკვე არსებული ინფრასტრუქტურის, ასევე მაჭის ციხის ბილიკთან კარგი კავშირის გამო, განსაკუთრებით ადგილობრივი ვიზიტორების ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ეს ინტერესი საგრძნობლად შემცირდა პანდემიის შემდგომ. პერსპექტივაში ეს ლოკაცია შესაძლებელია მიმზიდველი გახდეს განსაკუთრებით ლაშქრობით დაინტერესებული (მათ შორის ცხენებით გასეირნების მოყვარული) ვიზიტორებისთვის. ასევე ძალიან კარგი პერსპექტივა არსებობს ე.წ. „ქაბინ ქარების“ (მანქანა სახლები) სადგომის მოწყობის მხრივ. ლანდშაფტის მახასიათებლებიდან გამომდინარე (ხეები, ხავსიანი ქვები, პატარა ბორცბვები) არსებობს მითიური გარემოს (მაგ. ჰობიტების სოფელი ან სხვა მსგავსი) შექმნის შესაძლებლობა. საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლის სიახლოვე აზრდის უცხოელი ვიზიტორების დაინტერესების პერსპექტივებს.

4.2.1.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ ლოკაცია განლაგებულია დაცული ტერიტორიების უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მისი მთავარი ეკოტურისტული ღირებულება ადგილმდებარეობაა. ლოკაცია ადვილად (საავტომობილო გადაადგილების გარეშე) უკავშირდება დაცული ტერიტორიების 5-დან ერთ-ერთ ბილიკს - მაჭის ციხის ბილიკს. თუმცა დასავლეთით არსებულ ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურასთან და სერვისებთან წვდომა ასევე ხელსაყრელია (საავტომობილო ან საცხენოსნო საშუალებებით).

როგორც ზემოთ აღინიშნა ძალზედ მნიშვნელოვანია მისასვლელი გზის არსებობა და ხელსაყრელი გარემოება კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება და სხვა) განვითარების თვალსაზრისით.

ლოკაციის სამხრეთით არსებული, საკმაოდ დიდი ფართობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ხელსაყრელ გარემოებას ქმნის მრავალფუნქციური ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. რელიეფი და გეოლოგიური პირობები რაიმე სახის სირთულეს არ წარმოადგენს. ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროებას არ იკვეთება. უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორია წარმოადგენს სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობს, ნაკლებად მკაცრი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობებით.

ალტერნატიული ლოკაციის დადებითი ფაქტორებიდან ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აქ გარკვეული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს. ანთროპოგენური გავლენის მნიშვნელობას ასევე ზრდის სოფლის და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიახლოვე. არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და დამატებითი სერვისების შექმნა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ მოახდენს ბიოლოგიური გარემოს მაღალღირებულ კომპონენტებზე.

შერჩეულ ეკოტურისტულ ლოკაციას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები არ გააჩნია. ხაზი უნდა გაესვას მხოლოდ ნაკრძალის სიახლოვეს და ხე-მცენარეული საფარის არსებობას, რაც ზღუდავს შედარებით მსხვილი ინფრასტრუქტურის განვითარებას. თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საკითხს გარკვეულწილად აკომპენსირებს სამხრეთით არსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ტერიტორიები. ეკოტურისტული ლოკაციის კიდევ უფრო განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ასევე გასათვალისწინებელი საკითხებია: ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის ფარგლებში გადის მცირე ზომის ხევი, რომელსაც ახასიათებს პერიოდული ღვარცოფული მოვლენები. ამიტომ გასათვალისწინებელი საკითხია საშიში ჰიდროლოგიური მოვლენების განვითარების რისკები და ამ მხრივ საჭირო იქნება გარკვეული პრევენციული ღონისძიებების გატარება.

4.2.1.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ხელსაყრელი ადგილმდებარეობიდან, რელიეფური პირობებიდან და ლანდშაფტური თავისებურებებიდან გამომდინარე მაწიმის ლოკაცია მიმზიდველი ადგილია ტურისტული ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით. არსებული სივრცე მრავალფეროვანი ეკოტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ რუკაზე):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,15 ჰა;
- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 4,8 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 15,0 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,09 ჰა.

ადმინისტრაციული ზონა - გამოყოფილია ლოკაციის ცენტრალურ ნაწილში. წარმოადგენს შერჩეული ტერიტორიის დაახლოებით 0,8 %-ს. შემოთავაზებულია, რომ ამ ზონაში მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- სამუშაო სივრცე ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის (ლოკაციაზე აღნიშნული სივრცე უკვე არსებობს);

- ღამის გასათევი ადგილები სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ჯგუფებისთვის. დღეისათვის უკვე არსებობს 2 საკემპინგე სივრცე. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი სივრცეების გამოყოფა;
- რეინჯერების ქოხი (არსებული);
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის განკუთვნილი სავაჭრო სივრცეები;
- ტერიტორია ეკოტურისტული სერვისებისთვის (მაგ: ცხენების, ველოსიპედების, სხვადასხვა საველე აღჭურვილობის (მაგ. საძილე ტომრები, კარვები და სხვა) გაქირავება.. აღნიშნულ ლოკაციაზე ეს სერვისი უკვე დანერგილია;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (საზ-კვების სივრცე, სველი წერტილები).

<u>სამშენებლო ზონა</u> - ვრცელდება ადმინისტრაციული ზონის ირგვლივ, ტერიტორიის საერთო ფართობის დაახლოებით 24%-ზე. შერჩეული ზონის ფარგლებში ნაკლებად არის გავრცელებული ხე-მცენარეები. შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- მცირე ზომის სასტუმრო კოტეჯები;
- ახალგაზრდული საგანმანათლებლო საბანაკე სივრცის მოწყობა;
- ცხენების თავლა (არსებული);
- ტერიტორიის გამოყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ე.წ. „ქაბინ ქარებისთვის“ (მანქანა სახლები);
- ამფითეატრი, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა კულტურული და გასართობი წარმოდგენების გამართვა.


<u>რეკრეაციული ზონა</u> - ლოკაციის დაახლოებით 75%, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული უბნები (ტყით შედარებით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები). ეს ზონა ძირითადად ვრცელდება სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით. შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:


- საკემპინგე სივრცეები;
- საბავშვო შემეცნებითი სივრცეები, სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება.

<u>სატრანსპორტო ზონა</u> - სატრანსპორტო ზონა შერჩეული იქნა ადმინისტრაციული და სამშენებლო ზონების მომიჯნავედ. შეადგენს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 0,5%-ს. სატრანსპორტო ზონა განკუთვნილია საპარკინგე სივრცეებისთვის და შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურისთვის.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.1.3.1.

ნახაზი 4.2.1.3.1. მაწიმის ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




N
608209
608309
608409
608509
608609
608709
608809
608909
609009
609109
609209
609309
609409
4630270
4630070
4629870
4629670
4629470
4629270
4629070
4628870
4628670
4628470
54.02.51.682
54.18.51.041
54.18.51.036
54.18.51.042
54.02.51.395
54.02.51.756
54.02.51.553
54.02.51.755
54.02.51.559
54.02.51.723
54.02.51.832
54.02.51.054
54.02.51.349
54.02.51.722
54.02.51.464
54.02.51.442
54.02.51.228
54.02.51.387
54.18.51.010
54.02.51.435
54.02.51.466
54.02.51.436
54.02.51.248
54.02.51.555
54.02.51.806
54.02.51.846
ლეგენდა
ადმინისტრაციული ზონა
სამშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0
0.1
0.2
0.4
km
1:2000

4.2.1.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

მაწიმის ეკოტურისტულ ლოკაცია ყველაზე კარგად დაკავშირებულია მაჭის ციხის ეკოტურისტულ ბილიკთან. საცხენოსნო და საფეხმავლო ტური 1 დღიანია. მაჭის ციხისკენ მიმავალ გზაზე მოლაშქრეთა ინტერესის საგანს წარმოადგენს თვალწარმტაცი მდინარისპირა ლანდშაფტი, ჯაგრცხილის და წიფლნარის კორომები. მთავარ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს მაჭის ციხე-სიმაგრე, შემორტყმული გალავნითა და მიწისქვეშა გასასვლელებით.

ახალი ეკოტურისტული ბილიკით საფეხმავლო და საცხენოსნო კავშირი შესაძლებელია რაჭისუბნის პერსპექტიულ ეკოტურისტულ ლოკაციასთან (მე-2 ალტერნატივა), რომელიც მაწიმის ლოკაციიდან დაშორებულია დაახლოებით 1 კმ მანძილით. ამ პერსპექტიულ ეკოტურისტულ ლოკაციაზე შემოთავაზებული სერვისები და ღირშესანიშნაობები აღწერილია ქვემოთ. რაჭისუბნის ლოკაციის გავლით ბილიკების ახალი ქსელით ვიზიტორები ასევე შეიძლება მოხვდნენ ლაგოდეხის და შემდგომ კიდევ უფრო დასავლეთით, გურგენიანის ეკოტურისტულ ლოკაციებზე.

საკმაოდ განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით მაწიმის ეკოტურისტულ ლოკაციას ხელსაყრელი სამანქანო კავშირი ექნება ლაგოდეხის აღკვეთილის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში არსებულ თუ დაგეგმილ ეკოტურისტულ სერვისებთან (აღწერილია მომდევნო პარაგრაფებში).

საერთო ჯამში, ლოკაციამ ვიზიტორებს (ძირითადად ლაშქრობის მოყვარული, კულტურული, პილიგრიმული და ეკო-საგანმანათლებლო ტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორები) შეიძლება შესთავაზოს არანაკლებ 2-3 დღიანი საინტერესო და განსხვავებული ეკოტურისტული სერვისები.

4.2.1.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

მაწიმის ალტერნატიული ლოკაციის განვითარების შეთავაზებული კონცეფცია ითვალისწინებს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. საკუთრივ ლაგოდეხის აღკვეთილის ფარგლებში განსაზღვრული არ არის მასშტაბური კომპლექსების მოწყობა, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების მომატებული საფრთხეებით ხასიათდება. თუმცა მსგავსი ინფრასტრუქტურა შეიძლება განვითარდეს მის სამხრეთით, დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ და შეიქმნას მჭიდრო კავშირი კერძო ტურისტულ-რეკრეაციულ ობიექტსა და აღკვეთილის საზღვრებს შიგნით ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას შორის.

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მსგავსი ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაციისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას არ ითვალისწინებს. მსგავსი საქმიანობები ძირითადად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს ექვემდებარება.

თუმცა ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). აქვე, შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის

განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება. ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირტითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, უსაფრთხოების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სატრანსპორტო მართვის გეგმა. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.2 ალტერნატივა 2 – „რაჭისუბნის ეკოტურისტული ლოკაცია“;

4.2.2.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, მაწიმის თემი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 608457; Y – 4630332; Z – 440-500.

რაჭისუბნის ეკოტურისტული ლოკაცია ასევე მდებარეობს დაცული ტერიტორიების სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ლაგოდეხის აღკვეთილის საზღვრებში. პირველი ალტერნატიული ლოკაციიდან დაშორებულია დაახლოებით 1 კმ მანძილით. უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. რაჭისუბანი (სამხრეთით, 0,3 კმ მანძილის დაშორებით). პერსპექტიული ტურისტული ლოკაციის საერთო ფართობი 46 ჰა-ს აღწევს.



ლოკაციის სამხრეთით კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებია წარმოდგენილი. დასავლეთით და ჩრდილოეთით გრძელდება ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიები, ხოლო აღმოსავლეთით მის სიახლოვეს გადის სახელმწიფო ნაკრძალის საზღვარი.

ლოკაციის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1,3 კმ მანძილის დაშორებით გადის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - ს5. ტერიტორიასთან მნიშვნელოვანი ზედაპირული წყლის ობიექტი არ არის წარმოდგენილი. უახლოესი მდინარე - ლაგოდეხისხევი გაედინება დასავლეთით, ≈1,5 კმ მანძილის დაშორებით. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს მცირე ზომის პერიოდული ხევი (სალისავისხევი), რომელიც გადის შერჩეული ლოკაციის დასავლეთით.

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ტერიტორიის ზედაპირი სწორია და დახრილია სამხრეთ-დასავლეთის (მდ. ლაგოდეხისხევის) მიმართულებით. როგორც აღინიშნა დასავლეთით მდებარეობს მცირე ზომის ხევი, რომელიც ძირითადად გაზაფხულის და შემოდგომის წყალუხვობის დროს ივსება წყლით. ლოკაციის აღმოსავლეთით აბსულუტური ნიშნულები მკვეთრად იმატებს. ამ მიმართულებით წარმოდგენილია ზემოაღნშნული მცირე

ხევისა და მდ. მაწიმისწყლის წყალგამყოფი. საკუთრივ ლოკაციაზე რელიეფის მკვეთრად გამოხატული დადებითი ან უარყოფითი ფორმები არ აღინიშნება. გეოლოგიური აგებულება მსგავსია პირველი ალტერნატიული ლოკაციისა - წარმოდგენილია მოლასური ფორმაციები (კონგლომერატები, ქვიშაქვა). საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება არ აღინიშნება და მნიშვნელოვანი გართულებები არც მომავალშია მოსალოდნელი.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: რაჭისუბნის ლოკაციაზე მაწიმის ლოკაციისგან განსხვავებით ლანდშაფტის ანთროპოგენულობის ხარისხი შედარებით დაბალია, ხოლო მცენარეული საფარის დაფარულობის კოეფიციენტი უფრო მაღალი. ერთეული ეგზემპლარების სახით წარმოდგენილია ჩვეულებრივი წაბლი *(Castanea sativa -VU),* უთხოვარი *(Taxus baccata -VU).* ბუჩქნარებიდან გვხდება ჩვეულებრივი ჯონჯოლი *(Staphylea pinnata),* (შტაპჰყლეა პინნატა), მაყვალი *(Ruscus caucasicus).* გავრცელებულია ლიანების ისეთი სახეობები, როგორიცაა: ეკალღიჭი *(Smilax excelsa),* სურო *(Hedera colchica, Hedera helix),* ღვედკეცი *(Periploca graeca),* ჯიქა *(Lonicera caprifolium)* და სხვა.



ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ამ არეალში ბინადრობს ტურა *(Canis aureus)*, მელა *(Vulpes vulpes),* შველი *(Capreolus capreolus),* თუმცა ეს ადგილი მუდმივ საბინადრო არეალს არ წარმოადგენს ამ სახეობებისთვის. ხელფრთიანებისთვის ეს ადგილები უფრო მიმზიდველია, ვინაიდან წინა ლოკაციასთან შედარებით მეტად არის განვითარებული მსხვილვარჯოვანი ხე-მცენარეები. ფრინველებიდან გამოსარჩევია მცირე ზომის ტყის სახეობები, როგორიცაა: ჩვეულებრივი ღაჟო *(Lanius collurio),* რუხი ბოლოქანქარა *(Motacilla cinerea),* რუხი მემატლია *(Muscicapa striata)* და სხვა. დიდი ზომის მტაცებელი ფრინველებისთვის ეს ადგილები ნაკლებად მიმზიდველია. საერთო ჯამში ლოკაცია რეგიონში მობინადრე განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული სახეობებისთვის შეუცვლელ ადგილსამყოფელს არ წარმოადგენს. ესეთი მაღალმგრძნობიარე ადგილები უფრო ჩრდილოეთით, დაცული ტერიტორიების სიღრმეში ვრცელდება.

არსებული კომუნიკაციები: ტერიტორია გრუნტის საავტომობილო გზით, სოფ. რაჭისუბნის დასახლების გავლით უკავშირდება ცენტრალურ საავტომობილო გზატკეცილს (ს5). საჭირო კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება) განვითარების შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. ელექტრომომარაგება შესაძლებელია განხორციელდეს სოფ. რაჭისუბნიდან, წყალმომარაგება - ე.წ. სალესავის ხევიდან, საიდანაც მარაგდება სოფ. რაისუბანი და საჭირო კომუნიკაციები შერჩეული ლოკაციის სიახლოვეს გადის.წყალარინებისთვის შესაძლებელია განხილული იყოს სეპტიკური ორმოები. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: განსახილველი ალტერნატიული ლოკაციის ცნობადობა არ არის მაღალი. თუმცა ცნობადობის გაზრდა მნიშვნელოვან ძალისხმევას არ მოითხოვს, რადგან მდებარეობს ქ. ლაგოდეხის სიახლოვეს და ხელსაყრელ განლაგებაშია სხვა ეკოტურისტულ ლოკაციებთან. პერსპექტივაში ეს ლოკაცია შესაძლებელია მიმზიდველი გახდეს ლაშქრობის მოყვარული და ბუნების წიაღში დასვენების მსურველი ვიზიტორებისთვის.

4.2.2.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ეკოტურისტული ლოკაციის დადებითი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მისი ადგილმდებარეობა. ადვილი წვდომა გააჩნია როგორც მაწიმის, ასევე ახალი ეკოტურისტული ბილიკის საშუალებით ქ. ლაგოდეხის ეკოტურისტულ ლოკაციებთან და აქ არსებულ თუ დაგეგმილ სერვისებთან. გადაადგილება შესაძლებელია როგორც ფეხით, ასევე ცხენით და ავტომობილით. რელიეფი და საინჟინრო-გეოლოგიური გარემო დამაკმაყოფილებელია. ფართობი საკმაოდ დიდია. მიმზიდველი ლანდშაფტი და ხე-მცენარეული საფარის სიხშირე მრავალფეროვანი ეკოტურისტული სერვისების განვითარების საშუალებას იძლევა, თუმცა მასზე ზიანის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აქცენტი უნდა გაკეთდეს მცირე ზომის კომპაქტურ ნაგებობებზე.ასევე არსებობს კომუნიკაციების განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივები.

შედარებით ნაკლოვანი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთით წარმოდგენილია საკმაოდ ბევრი კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. შესაბამისად სოციალური ფონი საყურადღებო საკითხია და ლოკაციის შემდგომი განვითარების გადაწყვეტილების შემთხვევაში მიმდებარედ მაცხოვრებლებთან აქტიური კომუნიკაცია და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მოსაზრებების გათვალისწინება აუცილებელია.


4.2.2.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება


ამ ლოკაციის კონცეფცია ითვალისწინებს მჭიდრო კავშირს როგორც მაწიმის (მისგან აღმოსავლეთით), ასევე ლაგოდეხის და გურგენიანის (მისგან დასავლეთით)ეკოტურისტულ ლოკაციებთან. საკმაოდ მაღალი ღირებულების ტყის საფარის გათვალისწინებით რეკომენდირებულია მხოლოდ მცირე ზომის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება, რომელიც ლოკალურად, მოზაიკური პრინციპით უნდა განვითარდეს, ისე, რომ მაქსიმალურად შენარჩუნდეს ხე-მცენარეული საფარი. ეს ადგილი შემოთავაზებულია ისეთი დამსვენებლისთვის, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ბუნების წიაღში დასვენებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია, რომ ლოკაციის უდიდეს ნაწილზე განვითარდეს რეკრეაციული ზონა, სადაც შეიძლება მოეწყოს:

- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- თოკების პარკი;
- საბავშვო შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- და სხვა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.2.3.1.

ნახაზი 4.2.2.3.1. რაჭისუბნის ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




N
607000
607200
607400
607600
607800
608000
608200
608400
608600
4631557
4631357
4631157
4630957
4630757
4630557
4630357
4630157
4629957
4629757
4629557
4629357
4629157
4628957
54.18.51.036
54.18.51.042
54.02.51.703
54.02.51.556
54.02.51.022
54.02.51.049
54.02.51.613
54.02.51.742
54.02.51.619
54.02.51.622
54.02.51.621
რაჭახუბანი
54.02.51.244
54.02.51.085
54.02.51.648
54.02.51.395
54.02.51.230
54.02.51.755
54.02.51.559
54.02.51.723
54.02.51.388
54.02.51.724
54.02.51.029
ლეგენდა
რეკრეაციული ზონა
0
0.125
0.25
0.5
km
1:2000

4.2.2.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

რაჭისუბნის ლოკაციასთან დაკავშირებული, შემოთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისებია:

მჭიდრო ეკოტურისტული კავშირის შექმნა მაწიმის და ლაგოდეხის ლოკაციებთან ერთ-ერთ პიორიტეტული შემოთავაზებაა. დღეისათვის ამ ლოკაციებს შორის უკვე განვითარებულია საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკების ქსელი. პერსპექტივაში ასევე შესაძლებელია ელექტრომანქანებით მიმოსვლის სერვისის დანერგვა (თუმცა ამ უკანასკნელის სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მიზანშეწონილობა დეტალური კვლევის საგანია). შემდგომ საფეხმავლო ან საცხენოსნო ტურის გაგრძელება შესაძლებელია მაჭის ციხის მიმართულებით და იმ სერვისებით სარგებლობა, რაც ზემოთ არის განხილული.

რაჭისუბნის ლოკაციიდან მოკლე დროში შესაძლებელია სამანქანო ან საცხენოსნო გადაადგილება ქ. ლაგოდეხის ეკოტურისტული ლოკაციების მიმართულებით და აქ არსებული სერვისებით (მათ შორის ტურისტული ბილიკებით) სარგებლობა.

ლოკაციამ ვიზიტორებს (ლაშქრობის და კემინგის მოყვარული, კულტურული, პილიგრიმული და ეკო-საგანმანათლებლო ტურიზმით დაინტერესებული ტურისტები) შეიძლება შესთავაზოს არანაკლებ 3-4 დღიანი საინტერესო და განსხვავებული ეკოტურისტული სერვისები.

4.2.2.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

ლოკაციის განვითარება შემოთავაზებული კონცეფციით არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას და შესაბამისად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს დაექვემდებარება.

ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება. ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირტითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა

გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ-ში საკვანძო საკითხს უნდა წარმოადგენდეს ბიომრავალფეროვნების მართვის და სოციალური საკითხები, შესაბამის შერბილების ღონისძიებებთან ერთად. რეკომენდირებულია ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმის მომზადდება ცალკე დოკუმენტის სახით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ზზშ-ს დოკუმენტთან. გარდა ამისა, რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.3 ალტერნატივა 3 - „ლაგოდეხის ეკოტურისტული ლოკაციები“.

4.2.3.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ლაგოდეხის ლოკაციაზე განხილულია სამი ქვე-ალტერნატიული უბანი, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ტერიტორიებს წარმოადგენენ. თუმცა პერსპექტივაში შესაძლებელია მათ შორის მჭიდრო ეკოტურისტული კავშირის დამყარება და ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზება.

ადგილმდებარეობა და ფართობი: სამივე ქვე-ალტერნატივა ქ. ლაგოდეხის დასახლებული ზონის შემოგარენში მდებარეობს.

- ალტერნატივა 3.ა. - ცენტრალური შესასვლელი და დ. აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე უბანი - კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 606626; Y – 4632974; Z – 560-575. ლოკაცია მდებარეობს ქ. ლაგოდეხის დასახლებული ზონის ჩრდილოეთით, მდ. ლაგოდეხისხევის მარჯვენა სანაპიროზე, აქ არსებული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის (ადმინისტრაციული შენობა, ვიზიტორთა ცენტრი, სასტუმრო) მიმდებარედ. ლოკაციის მიახლოებითი ფართობი 10.9 ჰა;



- ალტერნატივა 3.ბ. - დენდროლოგიური პარკის უბანი - კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 606471; Y – 4631857; Z – 500-515. მდებარეობს მდ. ლაგოდეხისხევის სანაპიროზე. ლოკაციის მიახლოებითი ფართობი 8.6 ჰა;



- ალტერნატივა 3.გ. - ვაშლოვანის ქუჩის მიმდებარე უბანი - კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 605944; Y – 4632618; Z – 510-530. მდებარეობს მდ. შრომისხევის მარცხენა სანაპიროზე. ლოკაციის ფართობი



მნიშვნელოვნად შეზღუდულია და შეადგენს დაახლოებით 3.4 ჰა-ს.

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: განსახილველ არეალში გაბატონებულია ეროზიულ-დენუდაციური, ზოგან აკუმულაციური რელიეფი. მიმდებარე ფერდობებზე რელიეფი საკმაოდ დანაწევრებულია, მაგრამ უშუალოდ საკვლევ უბნებში ჭარბობს თანდათანობით რბილი გადასვლები. ამ არეალში გავრცელებულია ძირითადად პლინსბახური და ტოარსული სართულების ასპიდური ფიქლები და თიხაფიქლები, ალევროლიტების და ქვიშაქვური შუაშრეებით. ქვიშაქვები და ფიქლები მიდრეკილნი არიან გამოფიტვის მიმართ, რაც იწვევს ეროზიულ პროცესებს. უშუალოდ ლოკაციებზე, რომლებიც მდინარეების ლაგოდეხისხევის და შრომისხევის სანაპირო ზოლს წარმოადგენენ, გავრცელებულია კაჭარ-კენჭნარი ღორღის და ხრეშის შემავსებლით. კაჭარ-კენჭნაროვანი მასალა საშუალოდ და კარგადაა დამუშავებული, ლითოლოგიურად წარმოდგენილია ქვიშაქვებით, ვულკანოგენური ქანებით და კირქვებით. მთავარ საშიშიროებას წარმოადგენს მდინარისმიერი გვერდითი ეროზია და ღვარცოფული მოვლენების განვითარების რისკები. ამ მიმართულებით საჭირო იქმება გარკვეული პრევენციული ღონისძიებების გატარება.



ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ქ. ლაგოდეხის ლოკაციებზე ჰაბიტატების ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი ყველაზე შესამჩნევია. ამას განაპირობებს ქალაქის მჭიდროდ დასახლებული ზონის სიახლოვე და ინტენსიური სამეურნეო საქმიანობა, მათ შორის ტყის არამერქნული რესურსების გამოყენება, ძოვება და სხვა. განვითარებულია ტყის და მდინარისპირა ჰაბიტატები, როგორიცაა G1.3 (ჭალის ტყე) და F9.1 (მდინარის პირა ბუჩქნარი). მცენარეული საფარის სახეობრივი შემადგენლობა ასეთია: ალვის ხე *(Populus hybrid)* ტირიფი *(Salix alba)* მურყანი *(Alnus barbata),* მდინარის ფერდობებზე გვხვდება რცხილა *(Carpinus betulus),* ცაცხვი *(Tilia caucasica).* საველე კვლევის შედეგად საპროექტო დერეფანში არ გამოვლენილა საქართველოს წითელი ნუსხის სტატუსის მქონე მცენარე. ასევე არ გამოვლენილა ბერნის კონვენციით დაცული რეზოლუცია №6-ის სახეობები. აღსანიშნავია ინვაზიური სახეობებიც, როგორიცაა ცრუაკაცია *(Robinia pseudoacacia),* პავლონია *(Paulownia tomentosa),* ხემყრალა *(Ailanthus altissima).*

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: აღნიშნულ ლოკაციებზე ძირითადად შეიძლება შეგხვდეს ადამიანის ინტენსიურ საქმიანობას მეტ-ნაკლებად შეგუებული მცირე და საშუალო ზომის ცხოველები (ძირითადად ფრინველები და ქვეწარმავლები). მსხვილი ზომის, მათ შორის ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი მაღალღირებული სახეობების ამ ტერიტორიებზე მოხვედრის ალბათობა ძალზედ დაბალია სხვა ლოკაციებთან შედარებით. თუმცა ადრე ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით მომავალში გასათვალისწინებელია ისეთი მაღალღირებული სახეობების შეხვედრის ალბათობა, როგორიცაა: ხმელთაშუაზღვისპირეთის კუ *(Testudo graeca)* და სავარცხლიანი ტრიტონი *(Triturus karelinii).* ასევე აქ შეიძლება შეგვხდეს სახეობები, რომლებსაც ფართო გავრცელება ახასიათებთ და არ სარგებლობენ დაცვის მაღალი სტატუსით: ვასაკა *(Hyla savignyi),* ჩვეულებრივი ანკარა *(Natrix natrix),* ბოხმეჭა *(Anguis fragilis),* ტბორის ბაყაყი *(Pelophylax ridibundus),* მარდი ხვლიკი *(Lacerta agilis).*



არსებული კომუნიკაციები: განსახილველ ლოკაციებზე კომუნიკაციების განვითარების ყველაზე კარგი შესაძლებლობა არსებობს სხვა ალტერნატიულ ვარიანტებთან შედარებით. ობიექტების ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, გაზმომარაგებისა, ასევე ჩამდინარე წყლების დაერთებისთვის გამოყენებული იქნება ქ. ლაგოდეხის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. ეს საკითხი მნიშვნელოვან ძალისხმევას არ მოითხოვს. ლოკაციები მოქცეული არიან მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: განსახილველი ლოკაციების ცნობადობა საკმაოდ მაღალია ამ არეალში უკვე განვითარებული ინფრასტრუქტურის გამო. 3.ა. და 3.ბ. ქვე-ალტერნატიული ლოკაციებით დაინტერესება არსებობს როგორც ლაშქრობის და სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულ, ასევე შედარებით მაღალი კომფორტის და რეკრეაციული სერვისების მაძიებელ ვიზიტორებში.

4.2.3.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

განსახილველ ალტერნატიულ ლოკაციებს სხვადასხვა უპირატესობები გააჩნია, მათ შორის აღსანიშნავია:

- მაღალი ცნობადობა, სხვადასხვა ინტერესის მქონე ვიზიტორებში;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობა;
- ხელსაყრელი პირობები კონუმიკაციების განვითარების თვალსაზირისთ, მისასვლელი გზების კარგი მდგომარეობა;
- ხელსაყრელი განლაგება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ძირითად ეკოტურისტულ მარშრუტებთან. ასევე პერიოფერიულ ნაწილებში არსებულ და პერსპექტიულ ეკოტურისტულ ლოკაციებთან ადვილი სამანქანო წვდომის შესაძლებლობა;
- ხელსაყრელი რელიეფი;
- წარმოდგენილი არ არის ბიოლოგიური გარემოს მაღალღირებული კომპონენტები.

თუმცა ალტერნატიულ ვარიანტებს გააჩნია საყურადღებო ნაკლოვანებები. მათ შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეს ალტერნატიული ლოკაციები და მიმდებარე ადგილები ამჟამად ტურისტულად ყველაზე დატვირთული ადგილებია. ასევე აღსანიშნავია მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე. მომავალში ტურისტული ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარებამ შესაძლოა საფრთხის წინაშე დააყენოს დაცული ტერიტორიების ეფექტური კონსერვაციის შესაძლებლობა; წინააღმდეგობაში მოვიდეს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პრინციპებთან, რაც სხვა საკითხებთან ერთად ეკოტურისტული პროდუქტებისა და სერვისების დივერსიფიცირებაზე აკეთებს აქცენტს.

აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია, რომ ამ ლოკაციებზე აქცენტი გაკეთდეს უკვე არსებული ეკოტურისტული პროდუქტების გაუმჯობესებასა და შემეცნებითი-საგანმანათლებლო სერვისების განვითარებაზე. აუცილებლობის შემთხვევაში უმჯობესია განხილული იყოს მხოლოდ მცირე ზომის სასტუმრო კოტეჯების მოწყობა. შეძლებისდაგვარად უარი ითქვას მსხვილი ზომის სასტუმრო და საკვები ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ასეთი მიდგომა ერთი მხრივ დაიცავს ეკოტურიზმის სტრატეგიის ძირითად პრინციპებს და მაქსიმალურად შეამცირებს ბუნებრივ კომპონენტებზე ნეგატიური კუმულაციური წნეხის რისკებს (მათ შორის აქ არსებულ ეკოტურისტულ ბილიკებზე), ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს ადგილობრივ მოსახლეობასა და არსებულ კერძო ბიზნესებს შორის ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას.

ლოკაციის განვითარების შემზღუდველ ფაქტორებს შორის ასევე აღსანიშნავია, რომ მის სიახლოვეს არსებობს წყალმომარაგების და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტები. ლოკაციის განვითარების შემთხვევაში ეს საკითხი გასათვალისწინებელია და საჭირო იქნება ოპტიმალური საპროექტო გადაწყვეტები და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების გატარება.

სხვა საკითხებს შორის გასათვალისწინებელია სამივე ქვე-ალტერნატიული ლოკაციის მდინარის სანაპირო ზოლთან მდებარეობა, სადაც შედარებით მაღალია მდინარისმიერი ეროზიის, ღვარცოფული მოვლენების რისკები. ზოგიერთ უბანზე საჭირო იქნება მიზანმიმართული ნაპირსამაგრი და დატბორვის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

4.2.3.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

დღეისათვის ეს ლოკაციები ტურისტულად ყველაზე დატვირთულ ადგილებს წარმოადგენს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფარგლებში. ამიტომ ამ ლოკაციების განვითარების კონცეფცია ტურისტული ნაკადების ეფექტურად მართვისა და უკვე არსებულ ლოკაციებზე მაღალი წნეხის შემცირებისკენ არის მიმართული, რაც შეესაბამება ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის პრინციპებს.

როგორც აღინიშნა განიხილება სამი დამოუკიდებელი უბნის განვითარება, რომელთაც მჭიდრო ფუნქციური კავშირი ექნებათ ერთმანეთთან. კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ძირითადი ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ რუკაზე):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით 3,4 ჰა. შემოთავაზებულია, რომ ასეთი ზონა გამოყოფილი იყოს ორ უბანზე:
  - ლაგოდეხის ცენტრალურ შესასვლელთან, ფართობით 3,1 ჰა;
  - დენდროლოგიური პარკის მიმდებარედ, ფართობით 0,3 ჰა.
- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით 1,2 ჰა. საკმაოდ მაღალი განაშენიანებიდან და ტურისტული დატვირთვიდან გამომდინარე ეს ზონა შერჩეულია მხოლოდ ვაშლოვანის ქუჩის მიმდებარე უბნის ფარგლებში;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით 17,8 ჰა. რეკრეაციული ზონის არეალი მოინიშნა სამივე ქვე-ალტერნატივის ფარგლებში:
  - ლაგოდეხის ცენტრალურ შესასვლელთან, ფართობით 7,4 ჰა;
  - დენდროლოგიური პარკის ფარგლებში, ფართობით 8,2 ჰა;
  - ვაშლოვანის ქუჩის მიმდებარედ, ფართობით 2,2 ჰა.
- სატრანსპორტო ზონა, საერთო მიახლოებითი ფართობით 0,6 ჰა. ეს ზონები გამოყოფილია სამივე ქვეალტერნატიული ვარიანტის ადმინისტრაციული და სამშენებლო ზონების მიმდებარედ:
  - ლაგოდეხის ცენტრალურ შესასვლელთან, ფართობით 0,4 ჰა;
  - დენდროლოგიური პარკის ფარგლებში, ფართობით 0,15 ჰა;
  - ვაშლოვანის ქუჩის მიმდებარედ, ფართობით 0,05 ჰა.

<u>ადმინისტრაციული ზონა</u> - საერთო ტერიტორიის დაახლოებით 15%. ამ ზონის განვითარების კონცეფცია გულისხმობს, რომ მოხდეს ლაგოდეხის უკვე არსებული ადმინისტრაციული ზონის და ვიზიტორთა ცენტრის შენარჩუნება-განახლება, ხოლო ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ინფრასტრუქტურა განვითარდეს დენდროლოგიური პარკის მიმდებარედ. აქედან შესაძლებელი იქნება დამოუკიდებლად, ლაგოდეხის ცენტრალური შესასვლელის გვერდის ავლით, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ცენტრალურ ტურისტულ ბილიკებზე გადაადგილება. ადმინისტრაციული ზონის ესეთი განვითარება ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების ეფექტურ მართვას და შეამცირებს არსებულ ინფრასტრუქტურაზე დატვირთვას,

რაც შესაბამისობაში იქნება ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის პრინციპებთან. ადმინისტრაციულ ზონაში შემოთავაზებულია შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- სამუშაო სივრცე ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის;
- ვიზიტორთა ცენტრი და საინფორმაციო სივრცე. ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის და მუზეუმის მოწყობა. ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის პრინციპების შესაბამისად შემოთავაზებულია აქვე დაინერგოს ლაგოდეხი-ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ერთობლივი, ეკოსაგანმანათლებლო და შემეცნებითი პროგრამა. შესაძლებელია ამ მიმართულებით მოხდეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო კონფერენციების ორგანიზება;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის განკუთვნილი სავაჭრო სივრცეები;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (საზ-კვების ობიექტი, სველი წერტილები, მოსასვენებელი სივრცე და ა.შ.).

<u>სამშენებლო ზონა</u> - ტერიტორიის დაახლოებით 5%. ეს ზონა გამოიყო მხოლოდ ვაშლოვანის ქუჩის მიმდებარე უბანზე. ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- მცირე ზომის სასტუმრო კოტეჯები;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, და ა.შ.);
- და სხვა.

<u>რეკრეაციული ზონა</u> - ლოკაციის 77,5%. ამ ზონაში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:


- თოკების პარკი;
- ხის კენწეროების ბილიკები;
- საკემპინგე სივრცეები;
- საბავშვო შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- ფანჩატურები.


<u>სატრანსპორტო ზონა</u> - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 2,5%-ს და შეირჩა ძირითადად არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდებარედ, ადმინისტრაციულ და სამშენებლო ზონებთან ხელსაყრელ განლაგებაში. სატრანსპორტო ზონის განვითარებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს დენდროლოგიური პარკის ქვე-ალტერნატივაზე, რათა შემცირდეს დატვირთვა ცენტრალურ შესასვლელთან. აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს:

- საპარკინგე სივრცეები;
- საგზაო ინფრასტრუქტურა;
- ეს ზონა ასევე მოიცავს საბაგირო ტრასას და მის მოსაცდელს.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.3.3.1.

ნახაზი 4.2.3.3.1. ლაგოდეხის ლოკაციების ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




N
605733
605833
605933
606033
606133
606233
606333
606433
606533
606633
606733
606833
4633201
4633001
4632801
4632601
4632401
4632201
4632001
4631801
4631601
54.18.51.090
54.01.51.300
54.01.51.482
54.01.51.517
54.01.51.527
54.01.51.354
54.01.51.053
54.01.51.434
54.18.51.042
54.00.083
54.01.53.100
54.01.53.101
54.01.53.109
54.01.53.203
54.01.53.386
54.01.54.431
ლეგენდა
ადმინისტრაციული ზონა
საშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0
0.075
0.15
0.3
km
1:2000

4.2.3.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

განსახილველი ლოკაციები, განსაკუთრებით ქვე-ალტერნატივა 3.ა. უშუალოდ უკავშირდება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ყველაზე მნიშვნელოვან ეკოტურისტულ ბოლიკებს, რომლებიც იწყება ლაგოდეხის ადმინისტრაციული შენობიდან.

ყველაზე გრძელი და რთული ბილიკი არის შავი კლდეების ტბის ბილიკი, სადაც შესაძლებელია საფეხმავლო და საცხენოსნო ტურების მოწყობა. 3 დღიანი ტური ითვალისწინებს ტურისტული თავშესაფრების („მეტეო“ და ,დემიდოვის ბინა“) სერვისის მიღებას ან საკარვე ადგილებით სარგებლობას. ლაშქრობის მოყვარული ტურისტებისთვის მთავარი ღირშესანიშნაობებია ლამაზი პეიზაჟები რცხილნარ და წიფლნარ ტყეებში. ასევე კავკასიონის ქედზე შავი კლდის ტბა და სხვა მცირე ზომის ტბები, სადაც შესაძლებელია კემპინგის მოწყობა. ამ მარშრუტრზე პერსპექტიულია ველურ ბუნებაზე (კერძოდ აღმოსავლეთ კავკასიურ ჯიხვებზე) დაკვირვების სერვისიც და საგანმანათლებლო-შემეცნებითი გასვლების შეთავაზება.

აქვე იწყება როჭოს ჩანჩქერის ბილიკი, რომელიც შედარებით ნაკლები სირთულისაა და შესაძლებელია 1 დღიანი, ძირითადად საფეხმავლო ტურების მოწყობა. მარშრუტის ბოლოს, როჭოს ჩანჩქერთან შესაძლებელია საპიკნიკე ადგილების განვითარება.

კიდევ უფრო ნაკლები სირთულისაა ბუნების შემეცნებითი ბოლიკი, რომელიც იწყება ვიზიტორთა ცენტრიდან. ეს ბილიკი მცირე ასაკის ტურისტებზეა გათვლილი. აქ წარმოდგენილია მოსასვენებელი ადგილები და სხვადასხვა შემეცნებითი სივრცეები.

ახლად განვითარებული ეკოტურისტული ბილიკების (ლაგოდეხი - ლაგოდეხის მონასტერი - რაჭისუბანი-მაწიმი მაწისციხეს ბილიკი და ლაგოდეხი-შრომის საყდარი-ხიზა-გყრგენიანი-ნინოსხევის ჩანჩქერი ან მარტოტი ტბის ბილიკი) საშუალებით განსახილველ ლოკაციებს აქვთ ადვილი წვდომა აღკვეთილის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში არსებულ თუ პერსპექტიულ ეკოტურისტულ სერვისებთან. ეკოტურისტულ სერვისებთან ხელსაყრელია ასევე სამანქანო კავშირი.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან განხილვის შედეგად გამოიკვეთა კიდევ ერთი პერსპექტიული ტურისტული სერვისი - დენდროლოგიური პარკიდან მის ჩრდილო აღმოსავლეთით, მაღალ ნიშნულებზე არსებული ლაგოდეხის მონასტერის (კოორდინატები: X – 606786; Y - 4632378) მიმართულებით შესაძლებელია მცირე ზომის, (დაახლოებით 1,2 კმ სიგრძის) საბაგირო „გონდოლას“ და ე.წ. „ზიპ-ლაინი“-ს მოწყობა. დენდროლოგიური პარკის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ საბაგიროს საშუალებით მოინახულონ ლაგოდეხის მონასტერი. აქ შესაძლებელია მოეწყოს მცირე ზომის დახლები ხელნაკეთი ნივთებისთვის. შემდგომ ისევ საბაგიროს, ან „ზიპ-ლაინი“-ს საშუალებით ვიზიტორები დაბრუნდებიან დენდროლოგიურ პარკში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ ლოკაციებს გააჩნია ძალიან კარგი პერსპექტივა განსხვავებული ინტერესის მქონე ვიზიტორებს შესთავაზონ მრავალფეროვანი სერვისები. შესაძლებელია როგორც ძალიან მარტივი (რამდენიმესაათიანი), ასევე საშუალო და რთული (3 დღემდე) ეკოტურისტული მარშრუტებით სარგებლობა.

4.2.3.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ნაპირდამცავი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება. ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირტითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ ორიენტირებული უნდა იყოს როგორც ბუნებრივ კომპონენტებზე ზემოქმედების პრევენციის, ასევე სოციალური საკითხების მიმართულებით. ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.4 ალტერნატივა 4 – „შრომის ეკოტურისტული ლოკაცია“

4.2.4.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, შრომის თემი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 605441; Y – 4632349; Z – 490-530.

შრომის ეკოტურისტული ლოკაცია მდებარეობს სოფ. შრომის ჩრდილოეთით, მდ. შრომისხევის მარჯვენა სანაპიროზე. ლოკაციის სამხრეთით სოფ. შრომის საკარმიდამო ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო მიწებია. ჩრდილო-დასავლეთით ახლოს გადის ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის საზღვარი.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა - ს5 გადის სამხრეთით, დაახლოებით 2,5 კმ მანძილის დაშორებით. აღნიშნულ გზასთან კავშირი არსებობს სოფლის გზების გავლით. ლოკაციის ფართობი დაახლოებით 18,63ა-ს შეადგენს.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ლოკაციაზე წარმოდგენილია ეროზიული რელიეფი. მიწის ზედაპირი დანაწევრებულია და წარმოქმნილია მცირე ზომის ბორცვები და ჩაღრმავებები მდ. შრომისხევის ეროზიული ზემოქმედების შედეგად. გეოლოგიურად აგებულია მდინარის ალუვიური ნატანით (მცირე

ზომის ლოდები, კაჭარ-კენჭნარი ღორღის და ხრეშის შემავსებლით). საშიში გეოდინამიკური პროცესებიდან უნდა აღინიშნოს მდინარისმიერი ეროზია, ღვარცოფული მოვლენების განვითარების და დატბორვის რისკები. საჭიროებს გარკვეული პრევენციული ღონისძიებების გატარებას და რაიმე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის გადაწყვეტილების შემთხვევაში მათ სათანადო დაგეგმარება-განლაგებას.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ლოკაცია, თავისი ფლორისტული შემადგენლობით მეტად შეესაბამება ჭალის ტყის ჰაბიტატის ტიპს - G1.3. თუმცა ალაგ-ალაგ გვხდება F9.1 მდინარის პირა ბუჩქნარი (F9.1) და მდინარისპირა მცენარეულ საფარს მოკლებული ჰაბიტატები (C3.55 და C3.62). მცენარეული საფარის სახეობრივი შემადგენლობა ასეთია: მურყანი (*Alnus barbata),* რცხილა *(Carpinus betulus),* ცაცხვი *(Tilia caucasica),* ჭალის მუხა *(Quercus longipes),* ჭალის ვერხვი *(Populus hybrida).* ბუჩქნარებიდან: მყვალი *(Ruscus caucasicus).* განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული სახეობებიდან ტყის სიღრმეში შესაძლებელია შეგხვდეს ჩვეულებრივი წაბლი *(Castanea sativa -VU),* უთხოვარი *(Taxus baccata -VU).* ლაფანი *(Pterocarya pterocarpa - VU).* ჰაბიტატების ტრანსფორმაციის ხარისხი საკმაოდ შესამჩნევია.



ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ცხოველთა მნიშვნელოვანი სახეობების კონცენტრაციის ან მათი მუდმივი საბინადრო ადგილები არ დაფიქსირებულა. შეიძლება შეგხვდეს მცირე ზომის ფრინველთა სახეობები: *Caprimulgus europaeus, Dendrocopos medius, Dryocopus martius, Ficedula parva, Lanius collurio* და სხვ. ქვეწარმავლების და ამფიბიების შედარებით მაღალღირებული სახეობებიდან ყურადღება უნდა მიექცეს ჭაობის ევროპული კუს *(Emys orbicularis)* და სავარცხლიანი ტრიტონის *(Triturus karelinii)* შეხვედრის ალბათობას.

არსებული კომუნიკაციები: ცენტრალურ საავტომობილო გზატკეცილს (ს5) უკავშირდება სოფ. შრომაში გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის გზებით. საჭირო კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება) განვითარების შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. ელექტრომომარაგება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქ. ლაგოდეხის, ასევე სოფ. შრომისხევის მხრიდან. წყალმომარაგებისთვის ხელსაყრელია ქ. ლაგოდეხის ქსელის გამოყენება. წყალარინებისთვის პერსპექტიულია მდ. შრომისხევი ან შესაძლებელია განხილული იყოს სეპტიკური ორმოები. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: განსახილველი ალტერნატიული ლოკაციის ცნობადობა არ არის მაღალი. თუმცა ცნობადობის გაზრდა მნიშვნელოვან ძალისხმევას არ მოითხოვს, რადგან მდებარეობს ქ. ლაგოდეხის სიახლოვეს და ხელსაყრელ განლაგებაშია სხვა ეკოტურისტულ ლოკაციებთან. პერსპექტივაში ეს ლოკაცია შესაძლებელია მიმზიდველი გახდეს ლაშქრობის და ექსტრემის მოყვარული, ბუნების წიაღში დასვენების მსურველი ვიზიტორებისთვის.

4.2.4.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

დადებითი ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს მისი ადგილმდებარეობა და სიახლოვე ქ. ლაგოდეხის ცნობად ეკოტურისტულ სერისებთან და ბილიკებთან. ხე-მცენარეული საფარის სიმჭიდროვის სპეციფიკა მცირე ზომის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მუზაიკური პრინციპით განვითარების საშუალებას იძლევა. ხელსაყრელია სხვადასხვა სახის კომუნიკაციების (ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, წყალარინება) განვითარების

გარემო. დადებითად უნდა შეფასდეს ასევე ლოკაციის საერთო ფართობი - მცირე ზომის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის სივრცე არ არის შეზღუდული.

ალტერნატიული ლოკაციის ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს ეროზიული და მეტ-ნაკლებად ღვარცოფული ხასიათის მდინარის - შრომისხევის სიახლოვე. საჭიროა ნაპირდამცავი ღონისძიებების გატარება და ძალისხმევა ინფრასტრუქტურის შერჩევის და მისი უსაფრთხოდ დაგეგმარების მხრივ. არსებობს ადგილობრივ თემებსა და კერძო ბიზნესს შორის ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა.

მეორე მხრივ, ლოკაციის ადგილმდებარეობა ნაკლოვან მხარედაც შეიძლება მივიჩნიოთ. ისევე როგორც წინა ლოკაციების შემთხვევაში აქ მსხვილი ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუშლის ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის კონსერვაციის და ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის პრინციპების დაცვას. ამიტომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე კუმულაციური წნეხის შემცირების მიზნით, რეკომენდირებულია აქცენტი გაკეთდეს მცირე მასშტაბის ეკოტურისტულ სერვისებზე, საკარვე ადგილების და კოტეჯების განვითარებაზე. ღამის გასათევი ადგილების უზრუნველყოფის მხრივ საუკეთესო გამოსავალი შეიძლება იყოს მოკლე ბილიკებით, ასევე საფეხმავლო სახიდე გადასასვლელებით ამ ლოკაციის დაკავშირება ლაგოდეხის 3.ბ-ქვეალტერნატივასთან, სადაც უკვე არსებობს და მომავალშიც განიხილება მსგავსი ინფრასტრუქტურა.

4.2.4.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ხელსაყრელი ადგილმდებარეობიდან, რელიეფური პირობებიდან და ლანდშაფტური მდგომარეობიდან გამომდინარე შრომის ლოკაცია მიმზიდველი ადგილია ტურისტული ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით. კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ძირითადი ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ რუკაზე):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,36 ჰა;
- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 10,0 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 7,7 ჰა.
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,6 ჰა;

ადმინისტრაციული ზონა - ვიზიტორთა ცენტრი/ადმინისტრაცია, შერჩეული ტერიტორიის დაახლოებით 1,9%, რომელიც მდებარეობს ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, დასახლებული პუნქტის მიმდებარედ. აღნიშნულ ზონაში გათვალისწინებულია:

- ტერიტორია, ეკოტურისტული სერვისებისთვის (მაგ: ცხენების გაქირავება და სხვა);
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (საზ-კვების სივრცე, სველი წერტილები).

სამშენებლო ზონა - საერთო ტერიტორიის დაახლოებით 52,6%. ეს ზონა გამოიყო ორ დამუკიდებელ უბნად, ვიზიტორთა ზონიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ზონა შერჩეულია ისე, რომ მასზე ნაკლები გავლენა ჰქონდეს მიმდებარედ გამდინარე წყლის ობიექტის ეროზიულ პროცესებს და ამასთანავე მინიმალურად მოხდეს აქ წარმოდგენილ ხე-მცენარეულ საფარზე ზეგავლენა. თუმცა ეს საკითხები მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი იქნება კონცეფციის განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. შერჩეული ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- მოზაიკურად განლაგებული მცირე ზომის კოტეჯები;
- ახალგაზრდული საგანმანათლებლო საბანაკე სივრცე;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე და ა.შ.).


რეკრეაციული ზონა - შერჩეული ლოკაციის საერთო ფართობის დაახლოებით 40,5 %. ეს ზონა ძირითადად მოიცავს მდინარის სანაპირო ზოლს და ჰიდროლოგიური რისკების გათვალისწინებით ინფრასტრუქტურული განვითარება შეზღუდულია. სათანადო დაგეგმარების შემთხვევაში აქ შეიძლება განვითარდეს:


- საკემპინგე სივრცეები;
- საბავშვო შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- ასევე შესაძლებელია მოეწყოს დეკორატიული და განათებული საფეხმავლო ხიდები მდინარეზე. მსგავსი ინფრასტრუქტურის განვითარების გადაწყვეტილების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს სინათლით დაბინძურების რისკები. უნდა მოხდეს ეკომეგობრული სანათების გამოყენება და სინათლის სხივის გავრცელების შეზღუდვა სახელმწიფო ნაკრძალის საზღვრების ან პროექტირების პროცესში გამოვლენილი სხვა მგრძნობიარე უბნების მიმართულებით.

სატრანსპორტო ზონა - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართობის დაახლოებით 3,16 %-ს. იგი შეირჩა ძირითადად არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. ეს ზონა მიუყვება სამშენებლო ზონის აღმოსავლეთ საზღვარს და უზრუნველყოფს შერჩეული ლოკაციის, თითქმის ყველა უბნამდე ხელსაყრელ გადაადგილებას. აღნიშნული ზონის ფარგლებში უნდა მოხდეს საპარკინგე სივრცეების გამოყოფა და გრუნტის გზების მოსწორება-მოწესრიგება. ასევე არსებობს სამთო ველო-ბილიკების განვითარების პერსპექტივა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.4.3.1.

ნახაზი 4.2.4.3.1. შრომის ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




N
605103
605203
605303
605403
605503
605603
605703
4632544
4632344
4632144
4631944
4631744
54.18.51.036
54.18.51.042
54.01.51.420
54.01.51.080
54.01.51.308
54.01.51.332
54.01.51.189
54.01.51.451
54.03.52.554
54.03.52.374
54.03.52.375
54.03.52.236
54.03.52.351
54.03.52.489
54.03.52.490
54.03.52.604
54.03.52.257
54.03.52.505
54.03.52.504
54.03.52.491
54.03.52.608
54.03.52.612
54.03.52.506
54.03.52.470
54.03.52.469
54.03.52.394
54.03.52.402
54.03.52.610
54.03.52.299
54.03.52.310
54.03.52.621
54.03.52.147
54.03.52.544
54.03.52.602
54.03.52.665
54.01.51.430
54.01.51.615
1:2000
ლეგენდა
ადმინისტრაციული ზონა
სამშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0
0.05
0.1
0.2
km

4.2.4.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

განხილული ლოკაცია ახლოს მდებარეობს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ცენტრალურ შესასვლელთან და ვიზიტორთა ცენტრთან. პერსპექტივაში აქ ეკოტურისტული კოტეჯების განვითარების შემთხვევაში ვიზიტორებისთვის ადვილად იქნება ხელმისაწვდომი ამ არეალში არსებული და დაგეგმილი სერვისები (მათ შორის ცენტრალურ შესასვლელთან დაწყებული 3 სხვადასხვა სირთულის ბილიკი, დენდროლოგიური პარკი და სხვა ზემოთგანხილული ღირშესანიშნაობები). ასევე ლოკაციას შეუფერხებელი კავშირი ექნება ცენტრალურ გზასთან და მარტივად შეიძლება გადაადგილება აღკვეთილის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში, დოკუმენტში შემოთავაზებული ლოკაციების მიმართულებით.

თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, რეკომენდირებულია, რომ ამ ლოკაციის განვითარება მოხდეს არა დამოუკიდებლად, არამედ შეიქმნას მჭიდრო კავშირი ლაგოდეხის ეკოტურისტულ ლოკაციებზე (ალტერნატივა 3) არსებულ და შემოთავაზებულ ღამის გასათევ ინფრასტრუქტურასთან (მოკლე ბილიკებით და გარემოსთან მაქსიმალურად შეხამებით მოწყობილი საფეხმავლო სახიდე გადასასვლელებით შესაძლებელია კავშირის უზრუნველყოფა ლაგოდეხის 3.ბ-ქვეალტერნატივასთან). ამ შემთხვევაში აქ მოწყობილი სერვისები (საპიკნიკე ადგილები, თოკების პარკი და ხის კენწეროების ბილიკი, ასევე მცირე ზომის კაფეტერია) ლაგოდეხის ლოკაციების ერთ-ერთი ალტერნატიულ ეკოტურისტულ სერვისად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

ლოკაციამ ვიზიტორებს (ძირითადად რეკრეაციის, პიკნიკის, ექსტრემის მოყვარული ტურისტები) შეიძლება შესთავაზოს არანაკლებ 1 ან 2 დღიანი სერვისები.

4.2.4.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ნაპირდამცავი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება. ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირტითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის

გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.5 ალტერნატივა 5 - „ხიზას ეკოტურისტული ლოკაცია №1“.

4.2.5.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ნინიგორის თემი, სოფ. ხიზას სამხრეთით. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 602249; Y – 4632649; Z – 410-450.

ლოკაცია მდებარეობს სოფ. ხიზას დასახლებული ზონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მის დასავლეთით წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მიწის ნაკვეთები, ჩრდილოეთით და გრძელდება ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიები. სამხრეთით კი, საკმაოდ დიდ ფართობზე ვრცელდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: 54.04.53.387, 54.04.53.386 და 54.04.53.389). ეს გარემოება პერსპექტივაში ლოკაციის გაფართოების და დამატებითი სასტუმრო ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. საკუთრივ ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარის დაფარულობის კოეფიციენტი დაბალია. ტერიტორიის სიახლოვეს მიდის ადგილობრივი მნიშვნელობის გზა, რომელიც ცენტრალურ საავტომობილო გზატკეცილს (S5) უკავშირდება. ლოკაციის მიახლოებითი ფართობი 15,0 ჰა.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: წარმოდგენილია ვაკე-დაბლობის აკუმულაციური რელიეფის ფორმა. ზედაპირი ბრტყელი და სამხრეთ დასავლეთით დახრილია. საკუთრივ ტერიტორიაზე ასოლუტური ნიშნულების მერყეობა არ არის მკვეთრი, თუმცა მის აღმოსავლეთისკენ სიმაღლებრივი ცვალებადობა გაცილებით გამოხატულია. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ალუვიური და დელუვიური წარმოშობის ქანები. საშიში გეოდინამიკური პროცესები გამოხატული არ არის. თუმცა გამორიცხული არ არის საჭირო იყოს გარკვეული პრევენციული ღონისძიებების გატარება მდ. ნინოსხევის ეროზიული მოქმედება და ღვარცოფული მოვლენების საწინააღმდეგოდ.



ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: სოფლის სიახლოვეს და შესაბამისი ანთროპოგენური გავლენის გამო ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ტყის ნაალაგარზე განვითარებულია მდელოს ჰაბიტატი ალაგ-ალაგ ბუჩქოვანი სახეობებით. ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ პერიფერიულ ნაწილებში წარმოდგენილია ტყის ჰაბიტატები. მცენარეული საფარის სახეობრივი შემადგენლობა ასეთია: წიფელი *(Fagus orientalis),* მურყანი *(Alnus barbata),* რცხილა *(Carpinus betulus),* მდგნალი *(Salix caprea),* ჭანჭყატი *(Euonymus europaeus),* ტირიფი *(Salix alba),* მაყვალი *(Rubus anatolicus)* და სხვა.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ამ ლოკაციაზეც ტყის ჰაბიტატებისთვის დამახასიათებელი შეიძლება შეგხვდეს. შესაძლებელია წითელი ნუსხით დაცული სახეობები მიგრაციის და საკვების მოპოვების დროს შემოვიდნენ ტერიტორიაზე. თუმცა შემაწუხებელი ფაქტორები დიდია და ამიტომ ეს ადგილი მაღალღირებული სახეობებისთვის განსაკუთრებულ და შეუცვლელ საბინადრო ადგილად არ განიხილება.

არსებული კომუნიკაციები: ლოკაციასთან მიდის გრუნტის საავტომობილო გზა. სხვა საჭირო კომუნიკაციების განვითარების მხრივ მნიშვნელოვანი სირთულეები არ არის გამოკვეთილი. წყალმომარაგების მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იყოს მიწისქვეშა წყლები ან მოხდეს ნინოსხევის ხეობაში არსებული წყაროების დაკაპტაჟება. წყალარინების ორი ვარიანტია: გაწმენდის შემდგომ მდ. ნინოსხევში წყალჩაშვება, ან სეპტიკური ორმოების და ბიოტუალეტების გამოყენება. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: ლოკაცია საკმაოდ პოპულარულია, ძირითადად ადგილობრივ მოსახლეობაში. ამ ადგილებს ხშირად სტუმრობენ პიკნიკების მოწყობის და კემპინგის მიზნით.

4.2.5.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის დადებითი ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს მიმზიდველი ლანდშაფტი და ლამაზი ხედები. მისასვლელი გზის არსებობა და სხვა საჭირო კომუნიკაციების განვითარების კარგი შესაძლებლობა. ამავე დროს მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების მაღალღირებული კომპონენტების არარსეობა, რაც შედარებით მსხვილი სასტუმრო ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობას ქმნის გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების გარეშე. რელიეფი და საინჟინრო-გეოლოგიური გარემო დამაკმაყოფილებელია და ამ მხრივ მნიშვნელოვანი გართულებები მოსალოდნელი არ არის. თუმცა გარკვეული პრევენციული ღონისძიებები საჭიროა მდინარისპირა ზოლში.

შედარებით მოზრდილი ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებით დაინტერესებული და ამავე დროს კომფორტის და რეკრეაციის მოყვარული ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობა იქმნება. ამით ერთგვარად შეიძლება ხელი შეეწყოს ეკოტურიზმის განვითრების სტრატეგიის პრინციპების დაცვას, რაც ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირებას და უკვე ცნობად ლოკაციებზე (მაგ. ქ. ლაგოდეხის ლოკაციები) წნეხის შემცირებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ მომიჯნავედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორიები პერსპექტივაში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის გაფართოების შესაძლებლობას იძლევა.

ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ეს ადგილები მოსახლეობის მიერ გამოიყენება განახლებადი ბუნებრივი რესურსებით (საძოვრები, ტყის არამერქნული სახეობები) სარგებლობის და რეკრეაციული მიზნებისთვის. ლოკაციების განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საჭირო იქნება მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია და მათი მოსაზრებების გათვალისწინება. ლოკაციაზე ეკოტურისტული სერვისების პროექტირების საწყის ეტაპზე რეკომენდირებულია მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის საჭიროებების შეფასება. მათ შორის უნდა განისაზღვროს მოსახლეობის განახლებად ბუნებრივი რესურსებზე დამოკიდებულების დონე და ამის მიხედვით დაიგეგმოს ლოკაციის განვითარება.

4.2.5.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაცია ყველაზე ხელსაყრელია შედარებით მსხვილი სასტუმროს და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ასეთ შემთხვევაში მისი ადგილმდებარეობა ხელს შეუწყობს დიდი ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირებას და ამით უზრუნველყოფილი იქნება ეკოტურისტული განვითარების სტრატეგიის პრინციპებთან დაახლოება.

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 3 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ რუკაზე):

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 5,8 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 8,8 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,4 ჰა.

სამშენებლო ზონა - ტერიტორიის დაახლოებით 38,7%. ეს ზონა გამოიყო ტერიტორიის დასავლეთ, ხე-მცენარეებით ნაკლებად დაფარულ ნაწილში. შემოთავაზებულია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა და ეკოტურისტული სერვისები:

- შედარებით დიდი ზომის, რამდენიმენომრიანი საასტუმრო კვების ობიექტით და სხვა შესაბამისი დამხმარე ინფრასტრუქტურით. ასევე ალტერნატივის სახით შესაძლებელია რანჩოს ტიპის სასტუმროს ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამშენებლო ზონის პერიფერიულ ნაწილში ასევე შესაძლებელია განვითარდეს საკოტეჯე ინფრასტრუქტურა, რომელიც ეფექტურ ფუნქციურ ბმაში იქნება სასტუმროსთან
- და სხვა.


რეკრეაციული ზონა - შერჩეული ლოკაციის საერთო ფართობის დაახლოებით 58,9%. ამ ზონის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ადგილები, როგორიც არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. ტერიტორია გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს:


- საკემპინგე სივრცეები;
- საბავშვო შემეცნებითი სივრცეები, სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- საპიკნიკე ტერიტორია ფანჩატურებით და საცეცხლურებით;
- და სხვა.

სატრანსპორტო ზონა - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართობის დაახლოებით 2,4%-ს. შესაძლებელია განვითარდეს სამშენებლო ზონის როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ნაწილში და ამასთანავე კავშირში იყოს სოფ. ხიზას არსებულ სატრანსპორტო ქსელთან. აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს საპარკინგე სივრცეები და შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.5.3.1.

ნახაზი 4.2.5.3.1. ხიზას ლოკაცია №1-ის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




602003
602103
602203
602303
602403
602503
4633010
4632810
4632610
4632410
4632210
N
54.04.53.482
54.04.53.176
54.04.53.316
54.04.53.004
54.04.53.041
54.04.53.224
54.04.53.217
54.04.53.486
54.04.53.484
54.04.53.495
54.04.53.488
54.04.53.489
54.04.53.261
54.04.53.347
54.18.51.042
54.04.53.270
54.04.53.312
54.04.53.334
54.04.53.386
54.04.53.389
1:2000
ლეგენდა
სამშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0
0.045
0.09
0.18
km

4.2.5.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ხიზას ლოკაციებისთვის მთავარ მარშრუტად განიხილება ნინოსხევის ჩანჩქერის ბილიკი (სიახლოვის გათვალისწინებით), რომელიც გურგენიანის საინფორმაციო ცენტრიდან იწყება და მდ. ნინოსხევის გავლით მიემართება ზედა ნიშნულებისკენ. ბილიკზე მთავარი სანახაობებია იშვიათი რელიქტური მცენარეები, ლამაზი ხედები და ჩანჩქერი, სადაც შესაძლებელია საპიკნიკე ადგილების განვითარება. ტური ერთდღიანია.

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზას №1 ლოკაციიდან შესაძლებელია შემდგომში აღწერილ ორ ლოკაციასთან (ხიზას №2 ლოკაცია და გურგენიანის №1) ლოკაცია მჭიდრო ეკოტურისტული კავშირის დამყარება. ამ მიმართულებით მცირე სიგრძის ბილიკის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება საფეხმავლო და საცხენოსნო გადაადგილება. ამის შემდგომ ტურისტებს ექნებათ შესაძლებლობა გადაადგილდნენ ნინოსხევის ჩანჩქერის მიმართულებით.

ხიზას ეკოტურისტულ ლოკაციას ასევე ადვილი საავტომობილო წვდომა აქვს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების სხვა ღირშესანიშნაობებთან. ამიტომ ამ ლოკაციებს გააჩნია ძალიან კარგი პერსპექტივა განსხვავებული ინტერესის მქონე ვიზიტორებს შესთავაზონ არანაკლებ 3-4 დღიანი საინტერესო და განსხვავებული სერვისები.

4.2.5.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

ლოკაციაზე შემოთავაზებული ტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ნაპირდამცავი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება. ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირტითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ ორიენტირებული უნდა იყოს როგორც ბუნებრივ კომპონენტებზე ზემოქმედების პრევენციის, ასევე სოციალური საკითხების მიმართულებით. ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი


გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.6 ალტერნატივა 6 - „ხიზას ეკოტურისტული ლოკაცია №2“.


4.2.6.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ნინიგორის თემი, სოფ. ხიზას ჩრდილოეთით. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 602696; Y – 4634141; Z – 460-530.

ლოკაცია მდებარეობს სოფ. ხიზას დასახლებული ზონის ჩრდილოეთით და წარმოადგენს ლაგოდეხის აღკვეთილის მდ. ნინოსხევისპირა ზოლს, საშუალო სიგანით 250 მ. ლოკაციის დასავლეთ საზღვართან გაედინება მდ. ნინოსხევი, სამხრეთით სოფ. ხიზას სასოფლო-სამეურნეო და საკარმიდამო ნაკვეთებია. დანარჩენ მხარეს ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიების გრძელდება. ტერიტორია მჭიდროდ არის დაფარული ხე-მცენარეული საფარით. მასთან მიდის საავტომობილო გზა სოფ. ხიზას გავლით. ლოკაციის მიახლოებითი ფართობი 20,0 ჰა.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: რელიეფი შედარებით გართულებულია მდ. ნინოსხევის ეროზიული მოქმედების შედეგად (განსაკუთრებით სანაპირო ზოლში), ასევე აღსანიშნავია აბსოლუტური ნიშნულების სხვაობა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის. მონიშნული ლოკაციის გარეთ, აღმოსავლეთ მხარეს აბსოლუტური ნიშნულები მკვეთრად იმატებს. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ალუვიური და დელუვიური წარმოშობის ქანები. საშიში გეოდინამიკური პროცესებიდან გასათვალისწინებელია მდ. ნინოსხევის ადიდება, მდინარისმიერი ეროზიული მოქმედება და ღვარცოფული მოვლენების რისკები. საჭირო იქნება გარკვეული პრევენციული ღონისძიებების გატარება.



ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ლოკაციის მთლიან პერიმეტრზე განვითარებულია ტყის ტიპის ჰაბიტატები. მდინარისგან მოშორებით დომინანტურია წიფელი და შეიძლება მეტად G1.6 ტიპის ჰაბიტატს განეკუთვნებოდეს, მდინარის სანაპირო ზოლის სიახლოვეს (ანუ დასავლეთ ნაწილში) უფრო მეტად ჭალის სახეობები ვრცელდება. ძირითადი სახეობებია: წიფელი *(Fagus orientalis),* მურყანი *(Alnus barbata),* ჭალის მუხა (*Quercus longipes),* ჭალის ვერხვი *(Populus hybrida)* და სხვა. ბუჩქოვანი სახეობებიდან მაყვალი *(Rubus spp),* ასკილი *(Rosa canina).* ბალახოვანი სახეობები: ნემსიწვერა *(Geranium spp),* ისლი *(carex spp),* სურო *(persicaria lapathifolia).* ამ ლოკაციის ტრანსფორმაციის ხარისხი გაცილებით ნაკლებია წინა ლოკაციასთან შედარებით. შესაბამისად ეს ადგილი უფრო მაღალღირებულ ჰაბიტატად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვნად განვითარების ერთ-ერთი შემზღუდველი ფაქტორი უნდა გახდეს.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ლოკაციაზე შეიძლება მოხვდეს როგორც მცირე და საშუალო ზომის, ასევე დიდი ზომის ძუძუმწოვრები. თუმცა ამ უკანასკნელის მუდმივ საბინადრო ადგილად არ განიხილება. მეტად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ტყის მცირე ზომის ფრინველები, როგორიცაა: ჩვეულებრივი ღაჟო *(Lanius collurio),* რუხი ბოლოქანქარა *(Motacilla cinerea),* რუხი ყვავი *(Corvus corone),* რუხი მემატლია *(Muscicapa striata*) და სხვა. ქვეწარმავლებიდან და ამფიბიებიდან დამახასიათებელია სხვადასხვა სახეობის ხვლიკი, ანკარა *(Natrix natrix),* ტბორის ბაყაყი *(Pelophylax ridibundus)* და სხვა. ასევე მაღალია ჭაობის ევროპული კუს *(Emys orbicularis)* და სავარცხლიანი ტრიტონის *(Triturus karelinii)* შეხვედრილობის ალბათობა.

არსებული კომუნიკაციები: ლოკაციასთან მიდის გრუნტის საავტომობილო გზა. სხვა საჭირო კომუნიკაციების განვითარების მხრივ მნიშვნელოვანი სირთულეები არ არის გამოკვეთილი. წყალმომარაგების მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იყოს მიწისქვეშა წყლები ან მოხდეს ნინოსხევის ხეობაში არსებული წყაროების დაკაპტაჟება. წყალარინების ოპტიმალური ვარიანტია სეპტიკური ორმოების და ბიოტუალეტების გამოყენება. ელექტრომომარაგება შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივი ქსელიდან. თუმცა რეკომენდირებულია უპირატესობა მიენიჭოს ინდივიდუალური განახლებადი საშუალებების გამოყენებას (მზის პანელები). ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: შერჩეული ლოკაცია საკმაოდ პოპულარულია, ძირითადად ადგილობრივ მოსახლეობაში. ამ ადგილებს ხშირად სტუმრობენ პიკნიკების მოწყობის და კემპინგის მიზნით.

4.2.6.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის დადებითი ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს მიმზიდველი ლანდშაფტი და ლამაზი ხედები. მისასვლელი გზის არსებობა და სხვა საჭირო კომუნიკაციების განვითარების კარგი შესაძლებლობა. რელიეფი და საინჟინრო-გეოლოგიური გარემო დამაკმაყოფილებელია და ამ მხრივ მნიშვნელოვანი გართულებები მოსალოდნელი არ არის. თუმცა გარკვეული პრევენციული ღონისძიებები საჭიროა მდინარისპირა ზოლში.

ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ეს ადგილები მოსახლეობის მიერ გამოიყენება განახლებადი ბუნებრივი რესურსებით (საძოვრები, ტყის არამერქნული სახეობები) სარგებლობის და რეკრეაციული მიზნებისთვის. ლოკაციების განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საჭირო იქნება მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია და მათი მოსაზრებების გათვალისწინება. ლოკაციაზე ეკოტურისტული სერვისების პროექტირების საწყის ეტაპზე რეკომენდირებულია მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის საჭიროებების შეფასება. მათ შორის უნდა განისაზღვროს მოსახლეობის განახლებად ბუნებრივი რესურსებზე დამოკიდებულების დონე და ამის მიხედვით დაიგეგმოს ლოკაციის განვითარება.

4.2.6.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

შემოთავაზებულია, რომ ლოკაცია განვითარდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ხიზას №1 ლოკაციასთან და გურგენიანის შესასვლელთან ეფექტური კავშირი. კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო მხოლოდ 2 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ რუკაზე):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,2 ჰა;

- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 19,8 ჰა.

ადმინისტრაციული ზონა - ტერიტორიის საერთო ფართობის დაახლოებით 1,0%, რომელიც გამოიყო ლოკაციის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. ადმინისტრაციული ზონიდან შესაძლებელია ბილიკის კეთილმოწყობა ნინოსხევის არსებულ ბილიკთან დასაკავშირებლად ისე, რომ მოხდეს გურგენიანის შესასვლელის გვერდის ავლა. ამის შესაძლებელი იქნება გურგენიანის შესასვლელის განტვირთვა ტურისტული ნაკადებისგან. ტერიტორიაზე განიხილება შემდეგი ობიექტების მოწყობა:


- ვიზიტორთა ცენტრი;
- საინფორმაციო სივრცე;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი სივრცე, და ა.შ.).


რეკრეაციული ზონა - შერჩეული ლოკაციის 99%, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ადგილები, როგორიც არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს:

- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- თოკების პარკი და ხის კენწეროების ბილიკები;
- საბავშვო შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- და სხვა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.6.3.1.

ნახაზი 4.2.6.3.1. ხიზას ლოკაცია №2-ის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




602107
602207
602307
602407
602507
602607
602707
602807
602907
4634691
4634491
4634291
4634091
4633891
4633691
4633491
N
54.04.52.311
54.04.52.312
54:04.52.200
54:04.52.010
54.04.52.149
54.04.52.148
54.04.52.146
54.04.52.255
54.04.52.322
54.04.52.321
54.18.51.042
54:04.53.476
54.04.53.272
54.04.53.171
54.04.53.271
ლეგენდა
რეგრეაციული ზონა
ადმინისტრაციული ზონა
0
0.05
0.1
0.2
km
1:2000

4.2.6.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

მთავარ მარშრუტად განიხილება ნინოსხევის ჩანჩქერის ბილიკი (სიახლოვის გათვალისწინებით), რომელიც გურგენიანის საინფორმაციო ცენტრიდან იწყება და მდ. ნინოსხევის გავლით მიემართება ზედა ნიშნულებისკენ. ბილიკზე მთავარი სანახაობებია იშვიათი რელიქტური მცენარეები, ლამაზი ხედები და ჩანჩქერი, სადაც შესაძლებელია საპიკნიკე ადგილების განვითარება. ტური ერთდღიანია.

შესაძლებელია მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა სამხრეთით, მის სიახლოვეს შემოთავაზებულ კიდევ ერთ ეკოტურისტულ ლოკაციასთან, სადაც შედარებით დიდი ზომის სასტუმროს და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის შექმნა მოიაზრება. შესაძლებელია ამ ლოკაციიდან აღკვეთილის საზღვრების გავლით მოეწყოს მცირე სიგრძის საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკები, როგორიც სოფ. ხიზას სამხრეთით, ასევე გურგენიანის შესასვლელთან შემოთავაზებულ ეკოტურისტული ლოკაციების მიმართულებით.

ხიზას ეკოტურისტულ ლოკაციას ადვილი საავტომობილო წვდომა აქვს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების სხვა ღირშესანიშნაობებთან. ამიტომ ამ ლოკაციას გააჩნია ძალიან კარგი პერსპექტივა განსხვავებული ინტერესის მქონე ვიზიტორებს შესთავაზონ არანაკლებ 3-4 დღიანი საინტერესო და განსხვავებული სერვისები.

4.2.6.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

ლოკაციაზე ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ნაპირდამცავი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება. ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირტითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ ორიენტირებული უნდა იყოს როგორც ბუნებრივ კომპონენტებზე ზემოქმედების პრევენციის, ასევე სოციალური საკითხების მიმართულებით. ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი

გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.7 ალტერნატივა 7 – „გურგენიანის ეკოტურისტული ლოკაცია №1“


4.2.7.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ნინიგორის თემი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 603021; Y – 4636631; Z – 600-650.

გურგენიანის №1 ეკოტურისტული ლოკაცია დღეისათვის უკვე განვითარებულია. იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე მოწყობილია 10 კოტეჯი, ფანჩატურებით, სველი წერტილებით და სხვა დამხმარე ნაგებობებით. მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი რელიეფის და მცერნარეული საფარის დაფარულობის შედარებით დაბალი სიხშირის გათვალისწინებით შესაძლებელია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარება და დამატებითი სერვისების შეთავაზება.

ლოკაცია მდებარეობს ნინოსხევის სანაპირო ზოლში, სოფ. ხიზაბავრას ჩრდილოეთით. სამხრეთით სოფლის სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მიწის ნაკვეთებია. აღმოსავლეთით და დასავლეთით გრძელდება ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორია, ხოლო ჩრდილოეთით ემიჯნება ლაგოდეხის ნაკრძალის საზღვარი.

ცენტრალური საავტომობილო გზა (ს5) დაშორებულია საკმაოდ დიდი მანძლით (12 კმ და მეტი). აღნიშნული გზიდან ლოკაციამდე გადაადგილება შესაძლებელია ნინიგორის თემის სოფლების გავლით. ლოკაციის საერთო ფართობი 22,0 ჰა-ს შეადგენს.



რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ლოკაციაზე წარმოდგენილია ეროზიულ-დენუდაციური, ზოგან აკუმულაციური რელიეფი. მიმდებარედ ასევე გვხდება საშუალო და ციცაბო ფერდობებიანი ზედაპირები. გეოლოგიურად ტერიტორია აგებულია მდ. ნინოსხევის ალუვიური ნატანით. გარდა ეროზიული პროცესებისა, სხვა სახის საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება არ აღინიშნება. წყალუხვობის დროს ასევე გასათვალისწინებელია სელური ნაკადები.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ლოკაციის სამხრეთი ნაწილის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი შესამჩნევია. წარმოდგენილია მდინარისპირა ტყის ჰაბიტატები. დომინანტური სახეობებია: მურყანი *(Alnus barbata),* ვერხვი *(Populus alba),* ალვის ხე *(Populus nigra),* ცრუ აკაცია *(Robinia pseudoacacia).* ზოგან გხვდება ჭალის მუხა *(Quercus longipes)* და ჭალის ვერხვი *(Populus hybrida),* ასევე წაბლი *(Castanea sativa),* ქართული თხილი *(Corylus iberica)* და ა.შ. ქვეტყეში გვხვდება *Corylus avelana, Staphylea pinnata, Rubus caucasicus, Sambucus nigra, Hedera pastuchowii* და სხვ.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ცხოველთა მნიშვნელოვანი სახეობების კონცენტრაციის ან მათი მუდმივი საბინადრო ადგილები არ დაფიქსირებულა. ანთროპოგენური დატვირთვა განაპირობებს დაცული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი მაღალი ღირებულების ცხოველთა სახეობების მოხვედრის დაბალ ალბათობას. ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხელფრთიანების კოლონიების არსებობისთვის ხელსაყრელი ადგილები არ დაფიქსირებულა.

არსებული კომუნიკაციები: ტერიტორიას უკავშირდება კარგ მდგომარეობაში მყოფი საავტომობილო გზა. ხელსაყრელი გარემოებაა შექმნილი სხვა საჭირო კომუნიკაციების (წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება განვითარების მხრივ. შესაძლებელია ალტერნატივების შეთავაზებაც, მაგ. წყალმომარაგება ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების საშუალებით; სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვა ამოსანიჩბი ორმოების გამოყენებით, ან გაწმენდა და გაყვანა მდ. ნინოსხევის მიმართულებით. შესაძლებელია ელექტრომომარაგება როგორც ადგილობრივი ქსელიდან, ასევე პერსპექტიულია მზის პანელების გამოყენებაც. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: განსახილველი ალტერნატიული ლოკაცია ტურისტულად საკმაოდ დატვირთულია, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი საინტერესო - ნინოსხევის ბილიკთან საინტერესო განლაგების გამო.

4.2.7.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის დადებითი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მისი მდებარეობა, საიდანაც იწყება რამდენიმე ტურისტული ბილიკი: ნინოსხევის, მარტოტის ტბის და გურგენიანი - ლაგოდეხის ბილიკები. ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ბუნებრივი გარემოს მაღალღირებული კომპონენტები წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად ნეგატიური ზემოქმედების რისკები არ არის მაღალი. დამაკმაყოფილებელია საჭირო კომუნიკაციების განვითარების ხარისხი.

ნაკლოვანებებიდან აღსანიშნავია, რომ ამ არეალში უკვე არსებობს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა. ლოკაციაზე ეკოტურისტული სერვისების კიდევ უფრო გაფართოება (განსაკუთრებით სასტუმრო და კვების ობიექტების მოწყობა) და ვიზიტორების დამატებითი ნაკადების მოზიდვა ზრდის ამ არეალში არსებულ ბუნებრივ კომპონენტებზე კუმულაციური წნეხის რისკებს. ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის პრინციპებიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია ამ ლოკაციაზე აქცენტი გაკეთდეს სხვადასხვა ეკო-საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობების დანერგვაზე და არსებული სერვისების გაუმჯობესებაზე.

4.2.7.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაციაზე აქცენტი გაკეთდეს სხვადასხვა ეკო-საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობების დანერგვაზე და არსებული სერვისების გაუმჯობესებაზე. კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ რუკაზე ქვემოთ):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,2 ჰა;
- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 6,2 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 15,3 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,33 ჰა;

ადმინისტრაციული ზონა - ლოკაციის საერთო ფართობის დაახლოებით 0,9%. მდებარეობს ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში. ეს ზონა გარკვეულწილად უკვე განვითარებულია. კოცეპტუალურად ამ ზონის ფარგლებში არსებული და პერსპექტიული ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგს:

- ვიზიტორთა ცენტრი;
- რეინჯერების ქოხი;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის განკუთვნილი სავაჭრო სივრცეები;
- ტერიტორია, ეკოტურისტული სერვისებისთვის (მაგ: ცხენების გაქირავება და სხვა).

სამშენებლო ზონა - საერთო ტერიტორიის დაახლოებით 28,2%. ეს ზონა გამოიყო ლოკაციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამ ზონაში მოქცეულია დღეისათვის იჯარით გაცემული ტერიტორიები. ამ ზონის ფარგლებში არსებული და გასავითარებელი ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგს:

- მცირე ზომის კოტეჯები (არსებული). არსებობს დამატებითი კოტეჯების მოწყობის პერსპექტივა;
- ახალგაზრდული საგანმანათლებლო საბანაკე სივრცე;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე და ა.შ.).


რეკრეაციული ზონა - შერჩეული ლოკაციის საერთო ფართობის დაახლოებით 69,5 %. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი გამოყოფილია სარეკრეაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს:


- საპიკნიკე და საკემპინგე სივრცეები;
- თოკების პარკი;
- საბავშვო შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- ფანჩატურები;
- საცეხლურები და სხვა;
- რეკრეაციულ ზონაში მოქცეულ კუნძულზე შესაძლებელია დეკორატიული ხიდების და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, ასევე ტრადიციულად გამოყენებული საბანაო ადგილების კეთილმოწყობა.

სატრანსპორტო ზონა - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართობის დაახლოებით 1,5 %-ს. აღნიშნული ზონის ფარგლებში უნდა მოხდეს საპარკინგე სივრცეების გამოყოფა და გრუნტის გზების მოწესრიგება, მათ შორის საავტომობილო ვაკისის შესაძლებლობისამებრ ნიველირება.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.7.3.1.

ნახაზი 4.2.7.3.1. გურგენიანის ლოკაცია №1-ის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




N
602475
602575
602675
602775
602875
602975
603075
603175
4636919
4636719
4636519
4636319
4636119
4635919
54.18.51.036
54.18.51.042
54.18.51.070
54.04.52.241
54.04.52.119
54.04.52.250
54.04.51.289
54.04.51.429
54.04.51.277
54.04.51.298
54.04.51.472
54.00.01
1:2000
ლეგენდა
ადმინისტრაციული ზონა
სამშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0
0.05
0.1
0.2
km

4.2.7.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ეკოტურისტული ლოკაცია პირდაპირ კავშირშია ნინოსხევის ტურისტულ ბილიკთან, რომელიც ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი გამორჩეული ღირშესანიშნაობაა.

ეს ლოკაცია ასევე ადვილად უკავშირდება ახალ - მარტოტის ტბის ეკოტურისტულ ბილიკს. ეს ბილიკი ნინოსხევისა და ბაისუბნისხევის გამყოფი ქედისკენ ჩრდილო-დასავლეთისკენ მიდის. ქედზე ასული საფეხმავლო ბილიკი ორად იყოფა - ერთი სამხრეთით, სოფელ ნინიგორისკენ ეშვება, მეორე კი საპირისპიროდ, ლატოტის ტბისკენ ადის. თავის მხრივ ეს ბილიკიც, უკვე ტბის მიმდებარედ ორად იყოფა - ცალმხრივი ბილიკის სახით ერთი უშუალოდ ლატოტის ტბასთან მიდის, ხოლო მეორე ბაისუბნის ხევის დასავლეთ ქედს ჩამოუყვება. სამხრეთით ჩამავალი საფეხმავლო ბილიკი, ქედის ჩავლის შემდეგ სოფელ უზუნთალასა და სოფელ ზემო მსხალგორს შორის მდებარე საავტომობილო გზაზე სრულდება.

გარდა ამისა, ლოკაციას კარგი კავშირი შეიძლება ჰქონდეს ხიზას და გურგენიანი №2-ის პერსპექტიულ ეკოტურისტულ ლოკაციებთან. არსებობს პერსპექტივა ამ სამ ლოკაციას შორის შეიქმნას ძალზედ საინტერესო კავშირი (მათ შორის საფეხმავლო და საცხენოსნო), სადაც შესაძლებელი იქნება მრავალფეროვანი ეკოტურისტული სერვისების შეთავაზება, სხვადასხვა აადგილების მონახულება და ეკოტურისტული სერვისებით სარგებლობა მოკლე დროში.

საერთო ჯამში, ლოკაციამ ვიზიტორებს (ძირითადად ლაშქრობის მოყვარული, ეკო-საგანმანათლებლო ტურიზმით დაინტერესებული ტურისტები) შეიძლება შესთავაზოს არანაკლებ 2-3 დღიანი საინტერესო და განსხვავებული ეკოტურისტული სერვისები.

4.2.7.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ლოკაციაზე შემოთავაზებული ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაციისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას არ ითვალისწინებს. მსგავსი საქმიანობები ძირითადად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს ექვემდებარება.

თუმცა ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). აქვე, შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება.

ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირტითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, უსაფრთხოების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სატრანსპორტო მართვის გეგმა. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.8 ალტერნატივა 8 – „გურგენიანის ეკოტურისტული ლოკაცია №2“

4.2.8.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ნინიგორის თემი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 599990; Y – 4634015; Z – 440-500.



ლოკაცია მდებარეობს ლაგოდეხის აღკვეთილის სამხრეთი უბნის დასავლეთ ნაწილში, მდინარეების ნინოსხევისა და ბაისუბნისხევის წყალგამყოფის აღმოსავლეთ ფერდობზე. ლოკაციის აღმოსავლეთით წარმოდგენილია სოფ. გურგენიანის სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მიწის ნაკვეთები. დანარჩენი სამი მხრიდან გრძელდება ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიები. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის საზღვარი დაშორებულია დიდი მანძილით (ჩრდილოეთით, 4,5 კმ და მეტი). პერსპექტიული ტურისტული ლოკაციის საერთო ფართობი 18,1 ჰა-ს შეადგენს.

უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია მდ. ნინოსხევი (დაშორება 3,5 კმ და მეტი, აღმოსავლეთით). ცენტრალური საავტომობილო გზატკეცილი (ს5) გადის სამხრეთით, დაახლოებით 5,0 კმ მანძილის დაშორებით. ცენტრალური გზიდან ლოკაციის მიმართულებით გადაადგილება შესაძლებელია ნინიგორის თემის სოფლების შიდა სასოფლო გზების საშუალებით.

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ტერიტორიის ზედაპირი სწორია და დახრილია აღმოსავლეთის (მდ. ნინოსხევის) მიმართულებით. მკვეთრად გამოხატული დადებითი ან უარყოფითი ფორმები არ აღინიშნება. ლოკაციიდან დასავლეთით, წყალგამყოფის თხემური ნაწილისკენ აბსოლუტური ნიშნულები მკვეთრად იმატებს. წარმოდგენილია მოლასური ფორმაციები (კონგლომერატები, ქვიშაქვა). საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება არ აღინიშნება და მნიშვნელოვანი გართულებები არც მომავალშია მოსალოდნელი.



ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ლოკაციაზე წარმოდგენილია ტყის ტიპის ჰაბიტატი, რომლის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი დაბალია სხვა ლოკაციებთან შედარებით. მცენარეული საფარის ძირითადი სახეობებია: მურყანი *(Alnus barbata),* წიფელი *(Fagus orientalis)*

ვერხვი *(Populus alba),* ცრუ აკაცია *(Robinia pseudoacacia),* ცაცხვი *(Tilia begonifolia),* ჭანჭყატი *(eonymus europaeus)* და სხვა. ქვეტყეში გვხვდება *Corylus avelana, Staphylea pinnata, Rubus caucasicus, Sambucus nigra, Hedera pastuchowii* და სხვ.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიისთვის ძირითადად დამახასიათებელია ტყის მცირე ზომის ფრინველები. შესაძლებელია შემოვიდეს რეგიონისთვის დამახასიათებელი საშუალო და მცირე ზომის ძუძუმწოვრები.

არსებული კომუნიკაციები: სხვა ლოკაციებთან შედარებით ამ უბანზე საკომუნიკაციო ქსელის განვითარების პერსპექტივები გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. როგორც აღინიშნა ტერიტორიამდე მიდის გრუნტის საავტომობილო გზა, თუმცა ეს გზა მეტწილად გადის სოფლების, საკარმიდამო და კერძო ნაკვეთების გასწვრივ. წყალმომარაგების შესაძლებელია გამოყენებული იყოს ადგილობრივი წყაროს წყლები ან მოეწყოს ჭაბურღილი დაცული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ. . ტერიტორიის სიახლოვეს არ გაედინება ზედაპირული წყლის ობიექტი. ამიტომ წყალარინების ოპტიმალურ ვარიანტად განხილული უნდა იყოს სეპტიკური ამოსანიჩბი ორმოების და ბიოტალეტების მოწყობა. ელექტრომომარაგება შესაძლებელია განხორციელდეს ადგილობრივი ქსელიდან, თუმცა პრიორიტეტული უნდა იყოს ინდივიდუალური განახლებადი წყაროების (მზის პანელები) გამოყენება. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: განსახილველი ალტერნატიული ლოკაციის ცნობადობა არ არის მაღალი. პერსპექტივაში ეს ლოკაცია შესაძლებელია მიმზიდველი გახდეს ლაშქრობის მოყვარული და ბუნების წიაღში დასვენების მსურველი ვიზიტორებისთვის.

4.2.8.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის უპირატესობაა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი რელიეფი. მიუხედავად ტყით მჭიდროდ დაფარულობისა, არ აღინიშნება ბიომრავალფეროვნების განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული კომპონენტები. ამასთანავე ლოკაცია ყველაზე დიდი მანძილით არის დაშორებული ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის საზღვრიდან. შესაბამისად, მცირე ზომის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოზაიკური განვითარებით ბუნებრივ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მნიშვნელობა არ იქნება მაღალი.

ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს: კომუნიკაციების განვითარების შედარებით ნაკლები შესაძლებლობა; მიმდებარედ კერძო ნაკვეთების არსებობა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა; ხე-მცენარეული საფარის სიხშირის და შეზღუდული სივრცის გამო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განლაგების და კონსტრუქციული გადაწყვეტების შეზღუდვები.

4.2.8.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაციაზე არსებობს ფართობი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, თუმცა შეზღუდულია საკმაოდ მაღალი ღირებულების ტყის საფარის გათვალისწინებით. შესაბამისად ამ ლოკაციაზე რეკომენდირებულია მხოლოდ მცირე ზომის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება, რომელიც ლოკალურად, მოზაიკური პრინციპით უნდა განვითარდეს, ისე, რომ მაქსიმალურად შენარჩუნდეს ხე-მცენარეული საფარი. კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 3 ზონა:

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 8,8 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი 9,0 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,3 ჰა.

სამშენებლო ზონა - ტერიტორიის დაახლოებით 48,5%. ეს ზონა უმეტესად გამოიყო ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში. ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა და ეკოტურისტული სერვისები:

- მცირე ზომის კოტეჯები;
- ტერიტორიის გამოყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ე.წ. „ქაბინ ქარებისთვის“ (მანქანა სახლები);
- ადგილობრივი მოსახლეობის პროდუქციის გაყიდვის სივრცეები;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, და ა.შ.);
- და სხვა.

რეკრეაციული ზონა - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 50,0%, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ადგილები, როგორიც არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. კონცეპტუალურად გათვალისწინებულია შემდეგი ეკოტურისტული სერვისების განთავსება:


- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- თოკების პარკი და ხის კენწეროების ბილიკები;
- საბავშვო შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- და სხვა.


სატრანსპორტო ზონა - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 1,7 %-ს. აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს:

- საპარკინგე სივრცეები;
- ველობილიკები;

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.8.3.1.

ნახაზი 4.2.8.3.1. გურგენიანის ლოკაცია №2-ის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




599793
599893
599993
600093
600193
600293
600393
4634302
4634102
4633902
4633702
4633502
N
54.04.54.335
54.04.54.540
54.04.54.628
54.18.51.042
54.04.54.472
54.04.54.531
54.04.54.475
54.04.54.714
გვრგვნიანი
54.04.54.263
54.04.54.660
54.04.54.364
54.04.54.667
54.04.54.836
54.04.54.676
54.04.54.841
54.04.54.839
54.04.54.533
54.04.54.689
54.04.54.394
54.04.54.698
54.04.54.701
54.04.54.705
54.04.54.733
54.04.54.387
54.04.54.388
54.04.54.477
54.04.54.395
54.04.54.658
54.04.54.404
54.04.54.478
54.04.54.480
ლეგენდა
სამშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0
0.0475
0.095
0.19
km
1:2000

4.2.8.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ლოკაცია ახლოს მდებარეობს გურგენიანის შესასვლელთან (ლოკაცია 7). პერპექტივაში აქ ეკოტურისტული კოტეჯების განვითარების შემთხვევაში ვიზიტორებისთვის ადვილად იქნება ხელმისაწვდომი ნინოსხევის ჩანჩქერის და მარტოტის ტბის ბილიკები. ლოკაციას საკმაოდ ადვილი საავტომობილო წვდომა ექნება აღკვეთილის აღმოსავლეთით არსებული და პერსპექტიულ ეკოტურისტულ სერვისებთან.

ლოკაციამ ვიზიტორებს (ძირითადად ლაშქრობის და კემპინგის მოყვარული ტურისტები) შეიძლება შესთავაზოს არანაკლებ 2-3 დღიანი საინტერესო ეკოტურისტული სერვისები.

4.2.8.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

ლოკაციის განვითარება შემოთავაზებული კონცეფციით არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას და შესაბამისად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს დაექვემდებარება.

ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება. ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირტითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ-ში საკვანძო საკითხს უნდა წარმოადგენდეს ბიომრავალფეროვნების მართვის და სოციალური საკითხები, შესაბამის შერბილების ღონისძიებებთან ერთად. რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.9 ალტერნატივა 9 – „გურგენიანის ეკოტურისტული ლოკაცია №3“

4.2.9.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ნინიგორის თემი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 601697; Y – 4635390; Z – 505-520.



ლოკაცია მდებარეობს ლაგოდეხის აღკვეთილის სამხრეთი უბნის დასავლეთ ნაწილში, მდინარეების ნინოსხევისა და ბაისუბნისხევის წყალგამყოფის აღმოსავლეთ ფერდობზე. ლოკაციის აღმოსავლეთით და სამხრეთით წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მიწის ნაკვეთები. დანარჩენი მხრიდან გრძელდება ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიები. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის საზღვარი დაშორებულია 1 კმ მანძილით (ჩრდილოეთით). აღსნიშნავია, რომ ეს ტერიტორია მდებარეობს მე-7 და მე-8 ალტერნატიულ ლოკაციებს შორის, თითქმის თანაბარი მანძილის დაშორებით, რაც კარგ პერსპექტივას ქმნის ამ სამ უბანს შორის მჭიდრო ეკოტურისტული კავშირის ჩამოყალიბებისთვის. პერსპექტიული ტურისტული ლოკაციის საერთო ფართობი 5,76 ჰა-ს შეადგენს.

უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია მდ. ნინოსხევი (დაშორება 1,0 კმ და მეტი, აღმოსავლეთით). ცენტრალური საავტომობილო გზატკეცილი (ს5) გადის სამხრეთით, დაახლოებით 5,0 კმ მანძილის დაშორებით. ცენტრალური გზიდან ლოკაციის მიმართულებით გადაადგილება შესაძლებელია ნინიგორის თემის სასოფლო გზების საშუალებით.

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ტერიტორიის ზედაპირი სწორია და დახრილია აღმოსავლეთის და სახმრეთის მიმართულებით. მკვეთრად გამოხატული დადებითი ან უარყოფითი ფორმები არ აღინიშნება. წარმოდგენილია მოლასური ფორმაციები (კონგლომერატები, ქვიშაქვა). საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება არ აღინიშნება და მნიშვნელოვანი გართულებები არც მომავალშია მოსალოდნელი.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ლოკაციაზე წარმოდგენილია ნაწილობრივ ტყის და ნაწილობრივ მდელოს ტიპის ჰაბიტატი, რომლის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის ხარისხი შესამჩნევია საძოვრად და სათიბად გამოყენების გამო. მცენარეული საფარის ძირითადი სახეობებია: მურყანი *(Alnus barbata),* წიფელი *(Fagus orientalis)* ვერხვი *(Populus alba),* ცრუ აკაცია *(Robinia pseudoacacia),* ცაცხვი *(Tilia begonifolia),* ჭანჭყატი *(eonymus europaeus)* და სხვა. ქვეტყეში გვხვდება *Corylus avelana, Staphylea pinnata, Rubus caucasicus, Sambucus nigra, Hedera pastuchowii* და სხვ.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიისთვის ძირითადად დამახასიათებელია ტყის მცირე ზომის ფრინველები. შესაძლებელია შემოვიდეს რეგიონისთვის დამახასიათებელი საშუალო და მცირე ზომის ძუძუმწოვრები.

არსებული კომუნიკაციები: სხვა ლოკაციებთან შედარებით ამ უბანზე საკომუნიკაციო ქსელის განვითარების პერსპექტივები გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. როგორც აღინიშნა ტერიტორიამდე მიდის გრუნტის საავტომობილო გზა, თუმცა ეს გზა მეტწილად გადის სოფლების, საკარმიდამო და კერძო ნაკვეთების გასწვრივ. წყალმომარაგების შესაძლებელია გამოყენებული იყოს ადგილობრივი წყაროს წყლები ან მოეწყოს ჭაბურღილი დაცული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ. ტერიტორიის სიახლოვეს არ გაედინება ზედაპირული

წყლის ობიექტი. ამიტომ წყალარინების ოპტიმალურ ვარიანტად განხილული უნდა იყოს სეპტიკური ამოსანიჩბი ორმოების და ბიოტალეტების მოწყობა. ელექტრომომარაგება შესაძლებელია განხორციელდეს ადგილობრივი ქსელიდან, თუმცა პრიორიტეტული უნდა იყოს ინდივიდუალური განახლებადი წყაროების (მზის პანელები) გამოყენება. ლოკაცია მოქცეულია მობილური ქსელის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში.

ტურისტული ფონი: განსახილველი ალტერნატიული ლოკაციის ცნობადობა არ არის განსაკუთრებით მაღალი. პერსპექტივაში ეს ლოკაცია შესაძლებელია მიმზიდველი გახდეს ლაშქრობის მოყვარული და ბუნების წიაღში დასვენების მსურველი ვიზიტორებისთვის.

4.2.9.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის უპირატესობაა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი რელიეფი. არ აღინიშნება ბიომრავალფეროვნების განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული კომპონენტები. ამასთანავე ლოკაცია საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის საზღვრიდან. შესაბამისად, მცირე ზომის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით ბუნებრივ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მნიშვნელობა არ იქნება მაღალი.

ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს: კომუნიკაციების განვითარების შედარებით ნაკლები შესაძლებლობა; მიმდებარედ კერძო ნაკვეთების არსებობა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა.

4.2.9.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაციაზე არსებობს ფართობი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 3 ზონა:

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 2,4 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი 2,64 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,4 ჰა.

<u>სამშენებლო ზონა</u> - ტერიტორიის დაახლოებით 41,7%. ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს შემდეგი ინფრასტრუქტურა და ეკოტურისტული სერვისები:

- მცირე ზომის კოტეჯები ან რამდენიმე ნომრიანი საასტუმრო;
- ტერიტორიის გამოყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ე.წ. „ქაბინ ქარებისთვის“ (მანქანა სახლები);
- ადგილობრივი მოსახლეობის პროდუქციის გაყიდვის სივრცეები;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე, და ა.შ.);
- და სხვა.


<u>რეკრეაციული ზონა</u> - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 45,8%, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ადგილები, როგორიც არის ტყით დაფარული ტერიტორიები. კონცეპტუალურად გათვალისწინებულია შემდეგი ეკოტურისტული სერვისების განთავსება:


- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- საბავშვო შემეცნებითი სივრცეები , სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური განათლების მიღება;
- და სხვა.

სატრანსპორტო ზონა - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 7,0 %-ს. აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს საპარკინგე სივრცეები.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.9.3.1.

ნახაზი 4.2.9.3.1. გურგენიანის ლოკაცია №3-ის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




601390
601490
601590
601690
601790
4635544
4635344
4635144
4634944
N
ლეგენდა
სამშენებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0
0.035
0.07
0.14
km
54.18.51.042
54.04.51.309
54.04.51.416
54.04.51.292
54.04.51.526
54.04.51.570
54.04.51.451
54.04.51.457
54.04.51.544
54.04.51.158
54.04.51.071
54.04.51.172
54.04.51.057
54.04.51.210
54.04.51.518
54.04.51.273
54.04.51.380
54.04.51.366
54.04.51.548
54.04.51.334
54.04.51.308
54.04.51.282
54.04.51.192
54.04.51.280
1:2000

4.2.9.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ლოკაცია ახლოს მდებარეობს გურგენიანის შესასვლელთან (ლოკაცია 6). პერპექტივაში აქ ეკოტურისტული კოტეჯების განვითარების შემთხვევაში ვიზიტორებისთვის ადვილად იქნება ხელმისაწვდომი ნინოსხევის ჩანჩქერის და მარტოტის ტბის ბილიკები. ლოკაციას საკმაოდ ადვილი საავტომობილო წვდომა ექნება აღკვეთილის აღმოსავლეთით არსებული და პერსპექტიულ ეკოტურისტულ სერვისებთან.

ლოკაციამ ვიზიტორებს (ძირითადად ლაშქრობის და კემპინგის მოყვარული ტურისტები) შეიძლება შესთავაზოს არანაკლებ 2-3 დღიანი საინტერესო ეკოტურისტული სერვისები.

4.2.9.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

ლოკაციის განვითარება შემოთავაზებული კონცეფციით არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას და შესაბამისად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს დაექვემდებარება.

ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება. ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირთითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ-ში საკვანძო საკითხს უნდა წარმოადგენდეს ბიომრავალფეროვნების მართვის და სოციალური საკითხები, შესაბამის შერბილების ღონისძიებებთან ერთად. რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.10 ალტერნატივა 10 – „თელიანის ლოკაცია“

4.2.10.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ლაგოდეხის აღკვეთილის ჩრდილო-დასავლეთ უბანზე, მდინარეების კაბალის და ბაისუბნისხევის წყალგამყოფი ქედის თხემური ნაწილი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 601590; Y – 4642386; Z – 1950-2050.

ლოკაცია მდებარეობს ლაგოდეხის აღკვეთილის ჩრდილო-დასავლეთ უბნის სამხრეთ პერიფერიაზე. ლოკაცია დიდი მაანძილით არის დაშორებული დასახლებული პუნქტებიდან. ჩრდილო-აღმოსავლეთით გრძელდება ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიები, ხოლო სამხრეთით და ჩრდილოეთით ემიჯნება ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის საზღვრები. პერსპექტიული ტურისტული ლოკაციის საერთო ფართობი 36,5 ჰა-ს შეადგენს.

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ტერიტორია წარმოადგენს დინარეების კაბალის და ბაისუბნისხევის წყალგამყოფი ქედის თხემურ ნაწილს, სადაც რელიეფი მეტად დანაოჭებულია და სიმაღლებრივი ცვალებადობა საკმაოდ მკვეთრი. საკუთრივ ლოკაციის საზღვრებში აღინიშნება მოსწორებული ზედაპირები. გეოლოგიურად აგებულია იურული თიხა-ფიქლებით, ქვიშაქვებით, კონგლომერატებით და კირქვებით. ამ არეალში აღინიშნება მეოთხეული ვულკანიზმის ნაშთებიც.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: წარმოდგენილია მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების მონაცვლეობით. მეჩხერ ტყეებში ძირითადი სახეობებია: ნეკერჩხალი *(Acer trautvetteri)*, ლიტვინოვის არყი *(Betula litwinowii),* ასევე აღმოსავლური წიფელი *(Fagus orientalis),* მაღალმთის მუხა *(Quercus macranthera)*. ზოგან შერეულია კავკასიური ცირცელი *(Sorbus caucasigena).* მდელოებს მაღალმთის მუხნარის ყოფილი ადგილსამყოფელი უჭირავთ და მეორადი სახისაა. ეს მდელოები სხვადასხვა ნაირბალახოვანი შერეული თანასაზოგადოებებისაგან არის ფორმირებული.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: შერჩეულ ტერიტორიაზე და მის მომიჯნავე ადგილებში შეიძლება შეგხვდეს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი არაერთი მაღალღირებული სახეობა, როგორც მსხვილი ძუძუმწოვრები, ასევე მთის მტაცებელი ფრინველები. საერთო ჯამში ლოკაცია ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით საკმაოდ მგრძნობიარეა. ლოკაციის შემდგომი განვითარების გადაწყვეტილების შემთხვევაში ამ საკითხის გათვალისწინება და მიზანმიმართული შერბილების ღონისძიებების შემუშავება აუცილებელია. რეკომენდირებულია მომზადდეს ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა.

არსებული კომუნიკაციები: აღნიშნულ ლოკაციაზე კომუნიკაციების განვითარების ხარისხი და პერსპექტივები სხვა განხილულ ალტერნატივებს შორის ნაკლებია. რელიეფური პირობების გთვალისწინებით შეზღუდულია საავტომობილო გადაადგილება. ელექტრომომარაგების მხრივ ოპტიმალურია მზის პანელების გამოყენება. წყალმომარაგება შესაძლებელია განხორციელდეს ადგილობრივი წყაროს წყლებიდან. წყალარინების ოპტიმალურ ვარიანტად განხილული უნდა იყოს სეპტიკური ამოსანიჩბი ორმოების და ბიოტალეტების მოწყობა.

ტურისტული ფონი: განსახილველი ალტერნატიული ლოკაციის ცნობადობა არ არის განსაკუთრებით მაღალი. პერსპექტივაში ეს ლოკაცია შესაძლებელია მიმზიდველი გახდეს ლაშქრობის მოყვარული და ბუნების წიაღში დასვენების მსურველი ვიზიტორებისთვის.

4.2.10.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის მთავარ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს ტერიტორია პრაქტიკულად ერთადერთი ადგილია, რომელიც მდებარეობს ლაგოდეხის აღკვეთილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ახალი ეკოტურისტული ბილიკის (მარტოტის ტბის ბილიკი) მარშრუტზე და ლანდშაფტურ-რელიეფური პირობების გათვალისწინებით მეტ-ნაკლებად ხელსაყრელია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს თვალწარმტაცი ვიზუალურ-ლანდშაფტური ხედები.

ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- ტერიტორია მდებარეობს მაღალ ნიშნულებზე, სხვა ლოკაციებთან შედარებით რთულ კლიმატურ პირობებში. შესაბამისად ტურისტული სეზონის ხანგრძლივობა შეზღუდულია;
- კომუნიკაციების განვითარების დაბალი შესაძლებლობა;
- ადგილობრივი რელიეფი და საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;
- მგრძნობიარე ბიოლოგიური გარემო და ამ მხრივ მიზანმიმართული შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავების საჭიროება.

4.2.10.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 2 ზონა:

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 4,85 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი 31,3 ჰა.


<u>სამშენებლო ზონა</u> - ტერიტორიის დაახლოებით 13,3%. ეს ზონა უმეტესად გამოიყო ტერიტორიის ცენტრალურ შემაღლებულ ნაწილში. ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია მოეწყოს მცირე ზომის კოტეჯები. ასევე მცირე თავლა ცხენების მოსასვენებლად.


<u>რეკრეაციული ზონა</u> - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 86,7%. ეს ზონა შერჩეულია სამშენებლო ზონის შემოგარენში. კონცეპტუალურად გათვალისწინებულია შემდეგი ეკოტურისტული სერვისების განთავსება:

- საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები;
- გადმოსახედები;
- და სხვა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.10.3.1.

ნახაზი 4.2.10.3.1. თეთროზის ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




N
54.18.51.039
54.18.51.035
54.18.51.112
54.18.51.037
ლეგენდა
საძიებლო ზონა
რეკრეაციული ზონა
0 0.075 0.15 0.3
km
1:2000
601366
601466
601566
601666
601766
601866
601966
602066
602166
602266
602366
4643235
4643035
4642835
4642635
4642435
4642235
4642035
4641835
4641635

4.2.10.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ლოკაციასთან დაკავშირებული ეკოტურისტული მარშრუტია მარტოტის ტბის ეკოტურისტული ბილიკი, რომელიც გურგენიანის და შემდგომ უფრო აღმოსავლეთით შერჩეულ ლოკაციებს უკავშირდება. ვიზიტორებს შეეძლებათ ისარგებლონ არაერთი საბანაკე და საკარვე ადგილით. ლაშქრობის მოყვარული ვიზიტორებისთვის ინტერესის მთავარი საგანია მარტოტის ტბა, რომლის მიმდებარე არეალი თვალწარმტაცი ვიზუალურ-ლანდშაფტური ზედებით გამოირჩევა. ლოკაციამ ვიზიტორებს (ძირითადად ლაშქრობის და კემპინგის მოყვარული ტურისტები) შეიძლება შესთავაზოს არანაკლებ 2-3 დღიანი საინტერესო ეკოტურისტული სერვისები.

4.2.10.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

ლოკაციის განვითარება შემოთავაზებული კონცეფციით არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას და შესაბამისად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს დაექვემდებარება.

ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმება. ნარჩენების მართვის ინდივიდუალური გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის ძირთითად გეგმასთან.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ-ში საკვანძო საკითხს უნდა წარმოადგენდეს ბიომრავალფეროვნების მართვის და სოციალური საკითხები, შესაბამის შერბილების ღონისძიებებთან ერთად. რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.3 ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასება

ტურისტული გამტარუნარიანობის გათვალისწინება აუცილებელია შერჩეულ ლოკაციებზე დეტალური პროექტების შემუშავების პროცესში. ეს მნიშვნელოვანია, როგორც ადმინისტრაციისთვის, რათა მან საჭიროებისამებრ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს კონკრეტული რეგულაციები, ასევე ინვესტორისთვის, რათა სწორად განსაზღვროს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების მახასიათებლები. წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში მოხდა ტურისტული გამტარუნარიანობის წინასწარი შეფასება.

ტურისტული გამტარუნარიანობის წინასწარი შეფასებისთვის პირველ რიგში მოხდა არსებული ეკოტურისტული ბილიკების სეგმენტებად დაყოფა, რაც ადგილობრივ ადმინისტრაციასთან კონსულტაციის საფუძველზე მოხდა. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული ბილიკების აღწერა მოცემულია პარაგრაფში 3.1.11. ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასებისთვის გამოიყო ეკოტურისტული ბილიკების შემდეგი სეგმენტები (იხ. ცხრილი 4.3.1.):

ცხრილი 4.3.1. ეკოტურისტული ბილიკების სეგმენტური დაყოფა ტურისტული გამტარუნარიანობის შეფასებისთვის

სეგმენტი №	დასახელება	სტატური (ძველი ან ახალი)	ბილიკის მიახლ. სიგრძე, კმ	მახასიათებელი (წრფივი ან წრიული)	მარშრუტის მიახლ. სიგრძე, კმ	ძირითადი კავშირი შერჩეულ ლოკაციებთან (ალტ. ლოკაციის №№)
1	მაჭის ციხის ბილიკი	ძველი	5	წრფივი	10	1, 2
2	ქ.ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი - ლაგოდეხის მონასტრი - რაჭისუბანი - მაწიმის რეინჯერთა სადგური	ახალი	6	წრფივი	12	1, 2, 3,
3	შავი კლდეების ტბის ბილიკი	ძველი	42	წრიული	42	3
4	როჭოს ჩანჩქერის ბილიკი	ძველი	5	წრფივი	10	3
5	ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი შრომის ნასახლარები - ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი	ახალი	4	წრფივი	8	3, 4
6	ლაგოდეხის საინფორმაციო ცებნტრი - შრომი	ახალი	14	წრფივი	28	3, 4, 5, 6

	მონასტერი - ხიზას მონაკვეთი გურგენიანის რეჯნერთა სადგური					
7	ნინიოსხევის ჩანჩქერის ბილიკი	ძველი	8	წრფივი	16	5, 6, 7, 8, 9
8	მარტოტი ტბის ბილიკი: გურგენიანის რეინჯერთა სადგური მარტოტის ტბა - კაბალჰესი	ახალი	52 (დაცული ტერიტორიის საზღვრებში - 21)	წრიული	52	7, 8, 9, 10

ტურისტული გამტარიანობის გაანგარიშება განხორციელდა მეთოდოლოგიით (Methodology for Estimating Protected Area Carrying Capacity, Cifuentes, 1992), რომელიც ითვალისწინებს სამ დონეს: ფიზიკური გამტარიანობა (ფგ), რეალური გამტარიანობა (რგ) და ეფექტური გამტარიანობა (ეგ). თითოეული დონე წარმოადგენს წინა დონის დაზუსტებულ შეფასებას, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორებს. ამ დონეებს შორის დამოკიდებულება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგნაირად:

$$ფგ > რგ \geq ეგ$$

გამტარუნარიანობის შესაფასებლად გაკეთდა შემდეგი დაშვებები:

- ვიზიტორები გადაადგილდებიან ერთი მიმართულებით ბილიკის გასწვრივ. წრფივი ბილიკების შემთხვევაში ბრუნდებიან უკან იმავე მარშრუტით;
- ვიზიტორს თავისუფლად გადაადგილებისთვის მინიმალური სივრცე სჭირდება და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისთვის ეს არის 3 გრძივი მეტრი.

ფიზიკური გამტარიანობა (ფგ):

ფიზიკური გამტარიანობა (ფგ) არის ვიზიტორთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ფიზიკურად შეიძლება მოთავსდეს განსაზღვრულ სივრცეში, კონკრეტულ დროში და გამოხატულია შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$ფგ = A \times V/a \times Rf$$

სადაც,

- A არის ხელმისაწვდომი ფართობი საზოგადოებრივი გამოყენებისთვის, ბილიკების სიგრძის და საშუალო სიგანის (1 მ) გათვალისწინებით ეს მაჩვენებელი მიახლოებით შეადგენს (იხ. ცხრილი 4.3.2.):

ცხრილი 4.3.2.

სეგმენტი №	დასახელება	ბილიკის მიახლ. სიგრძე, მ	ბილიკის მიახლ. სიგანე, მ	A -ფართობი, მ^2.
1	მაჭის ციხის ბილიკი	5000	1	5000
2	ქ.ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი - ლაგოდეხის მონასტრი - რაჭისუბანი - მაწიმის რეინჯერთა სადგური	6000	1	6000
3	შავი კლდეების ტბის ბილიკი	42000	1	42000
4	როჭოს ჩანჩქერის ბილიკი	5000	1	5000
5	ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი	4000	1	4000

	შრომის ნასახლარები - ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი			
6	ლაგოდეხის საინფორმაციო ცებნტრი - შრომი მონასტერი - ხიზას მონაკვეთი გურგენიანის რეჯნერთა სადგური	14000	1	14000
7	ნინიოსხევის ჩანჩქერის ბილიკი	8000	1	8000
8	მარტოტი ტბის ბილიკი: გურგენიანის რეინჯერთა სადგური მარტოტის ტბა - კაბალჰესი	21000	1	21000
ჯამი				105 000

- V/a არის ვიზიტორი/დაკავებული ფართობი. როგორც აღინიშნა ერთ ვიზიტორის თავისუფლად გადაადგილებისთვის მინიმალური სივრცედ განსაზღვრულია 3 გრძივი მეტრი და ერთი ვიზიტორისთვის საჭირო ფართობი არის 3 მ^2. შესაბამისად V/a = 1 / 3 ≈ 0,34 (წრიული ბილიკებისთვის).

  რაც შეეხება წრფივ ბილიკებს. როგორც აღნიშნა ჩაითვალსა, რომ ვიზიტორები უკან ბრუნდებიან იმავე მარშრუტით, შესაბამისად თავისუფლად გადაადგილებისთვის მინიმალური სივრცედ გამ შემთხვევაში აღებულია 5 მ^2. შესაბამისად V/a = 1 / 5 ≈ 0,2 (წრფივი ბილიკებისთვის).

- Rf არის ბრუნვის ფაქტორი (დღეში დასაშვები ვიზიტების რაოდენობა). Rf გამოითვლება შემდეგნაირად:

  Rf = დაცული გახსნის პერიოდი / თითო ვიზიტის საშუალო დრო

  ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ბილიკების სპეციფიკის გათვალისწინებით Rf კოეფიციენტად აღებულია 1.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ბილიკების სეგმენტების მიხედვით ფიზიკური გამტარუნარიანობა შეადგენს (იხ. ცხრილი 4.3.3.).

ცხრილი 4.3.3.

სეგმენტი №	დასახელება	A - ფართობი, მ^2.	V/a	Rf	**ფგ - ვიზიტორი დღეში**
1	მაჭის ციხის ბილიკი	5000	0,2	1	**1000**
2	ქ.ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი - ლაგოდეხის მონასტრი - რაჭისუბანი - მაწიმის რეინჯერთა სადგური	6000	0,2	1	**1200**
3	შავი კლდეების ტბის ბილიკი	42000	0,34	1	**14280**
4	როჭოს ჩანჩქერის ბილიკი	5000	0,2	1	**1000**
5	ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი შრომის ნასახლარები - ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი	4000	0,2	1	**800**
6	ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი - შრომი მონასტერი - ხიზას მონაკვეთი გურგენიანის რეჯნერთა სადგური	14000	0,2	1	**2800**
7	ნინიოსხევის ჩანჩქერის ბილიკი	8000	0,2	1	**1600**
8	მარტოტი ტბის ბილიკი:	21000	0,34	1	**7140**

	გურგენიანის რეინჯერთა სადგური მარტოტის ტბა - კაბალჰესი				
ჯამი					**29820**

რეალური გამტარიანობა (რგ):

რეალური გამტარიანობა (რგ) არის ვიზიტების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა, მას შემდეგ, რაც მაკორექტირებელი (ანუ შემცირების) ფაქტორები (Cf), რომლებიც გამომდინარეობს დაცული ტერიტორიების კონკრეტული მახასიათებლებიდან, გათვალისწინებული იქნება ფიზიკურ გამტარიანობასთან (ფგ) მიმართებით. ეს მაკორექტირებელი ფაქტორები შეიძლება იყოს ბიოფიზიკური, ეკოლოგიური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა. რგ გაანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

$$\text{რგ} = \text{ფგ} \times ((100 - Cf1) / 100) \times ((100 - Cf2) / 100) \times \ldots\ldots \times ((100 - Cfn) / 100)$$

მაკორექტირებელი ფაქტორები (Cf) მჭიდროდ არის დაკავშირებული დაცული ტერიტორიების სპეციფიკურ პირობებთან და მახასიათებლებთან. ისინი გამოხატულია პროცენტული თვალსაზრისით, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$Cf = M_l / M_t \times 100$$

სადაც,

- M_l არის ცვლადის შემზღუდველი სიდიდე, ხოლო M_t არის ცვლადის მთლიანი სიდიდე.

ჩვენს შემთხვევაში მაკორექტიორებელ ფაქტორებად გათვალისწინებულია:

- არახელსაყრელი ამინდი;
- ხელმისაწვდომობა - რელიეფი და ეროზიული პროცესები;
- ველური ბუნების შეშფოთება;
- სოციალური ფაქტორები (მათ შორის ადგილობრივი მსოახლეობის მიერ სათიბ-საძოვრად გამოყენება, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა და სხვ.)

<u>არახელსაყრელი ამინდის ფაქტორი:</u>

არახელსაყრელი ამინდის მაკორექტირებელი კოეფიციენტი აღებულია ქ. ლაგოდეხის მეტეოპირობების მონაცემების ანალიზის საფუძველზე (წყარო: სნწ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01. 05-08). დადგენილია, რომ წლის განმავლობაში არახელსაყრელი ამინდის გამო ტურისტულ ბილიკებზე გადაადგილების შეზღუდვა დაახლოებით 200 დღის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს. მათ შორის ეს შეზღუდვა უფრო დამახასიათებელია იმ ბილიკებისთვის, რომელიც უფრო გრძელდება კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემური ნაწილისკენ და რთულ კლიმატურ პირობებში გადის. ეს ბილიკებია შავი კლდეების ტბის ბილიკი და მარტოტის ტბის ბილიკი. ამ ბილიკებისთვის არახელსაყრელი ამინდის გამო შეზღუდვა შეიძლება 280 დღეც გაგრძელდეს. შესაბამისად:

- სეგმენტებისთვის 1, 2, 4, 5, 6 და 7 - $Cf_{\text{ამინდი}} = 200 / 365 \times 100 = 55\%$
- სეგმენტებისთვის 3 და 8 - $Cf_{\text{ამინდი}} = 280 / 365 \times 100 = 76{,}7\%$

<u>ხელმისაწვდომობა - რელიეფი და ეროზიული პროცესების ფაქტორი:</u>

ეს ფაქტორი დაკავშირებულია ხელმისაწვდომიბის სირთულის ხარისხთან, ბილიკის დახრილობის და ეროზიის გამო, რომელსაც ვიზიტორები განიცდიან გადაადგილებისას. ამ მხრივ გამოსარჩევია შავი კლდეების ტბის და მარტოტის ტბის ბილიკები. დასავლეთ არეალთან დაკავშირებული ბილიკი - ნინოსხევის ჩანჩქერის ბილიკი საშუალო სირთულისაა,

ხოლო სხვა ბილიკები მარტივია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უხეში შეფასებით განსაზღვრულია ხელმისაწვდომობის კოეფიციენტები, რაც შეადგენს:

- სეგმენტებისთვის 1, 2, 4, 5 და 6 - $Cf_{ხელმისაწვდომობა}$ = 50%
- სეგმენტებისთვის 3 და 8 - $Cf_{ხელმისაწვდომობა}$ = 80%
- და სეგმენტისთვის 7 - $Cf_{ხელმისაწვდომობა}$ = 65%

<u>ველური ბუნების შეშფოთების ფაქტორი:</u>

ველური ბუნების შეშფორების ფაქტორის განსაზღვრისას გათვალისწინებულია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი ფაუნის მგრძნობიარე პერიოდი, რაც უხეში შეფასებით 3 თვეს (აპრილიდან ივნისის პერიოდს) შეადგენს. ვინაიდან შავი კლდეების და მარტოტის ტბის ბილიკები განსაკუთრებით მაღალსენსიტიური ჰაბიტატების (მათ შორის აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის საბინადრო გარემო) სიახლოვეს გადის, ამ შემთხვევაში აღებულია 4 თვე. შესაბამისად:

- სეგმენტებისთვის 1, 2, 4, 5, 6 და 7 - $Cf_{ველური\ ბუნება}$ = 3 / 12 x 100 = 25%
- სეგმენტებისთვის 3 და 8 - $Cf_{ველური\ ბუნება}$ = 4 / 12 x 100 = 33,3%

<u>სოციალური ფაქტორები</u>

როგორც ზემოთ აღინიშნა ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსებით. მათ შორის ტყის არამერქნული პროდუქტებით, სათიბ-საძოვარი ტერიტორიებით და სხვ. ამ მხრივ გამოსარჩევია დაცული ტერიტორიების ის არეალი რომელიც საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენს. უხეში შეფასებით აღებულია, რომ უმეტესი სეგმეტისთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის აქტიური პერიოდი დაახლოებით 2 თვეა, ხოლო შავი კლდეების და მარტოტის ტბის ბილიკებისთვის განსაზღვრულია 3 თვე. შესაბამისად:

- სეგმენტებისთვის 1, 2, 4, 5, 6 და 7 - $Cf_{სოციალური}$ = 2 / 12 x 100 = 16,7%
- სეგმენტებისთვის 3 და 8 - $Cf_{სოციალური}$ = 3/ 12 x 100 = 25%

ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობების გათვალისწინებით რეალური გამტარუნარიანობა (რგ) შეადგენს (იხ. ცხრილი 4.3.4.):

ცხრილი 4.3.4.

სეგმენტი №	დასახელება	ფგ - ვიზიტორი დღეში	Cf ამინდი (%)	Cf ხელმისაწვ. (%)	Cf ბიომრ. (%)	Cf სოციალ. (%)	**რგ - ვიზიტორი დღეში**
1	მაჭის ციხის ბილიკი	1000	55	50	25	16,7	**141**
2	ქ.ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი - ლაგოდეხის მონასტრი - რაჭისუბანი - მაწიმის რეინჯერთა სადგური	1200	55	50	25	16,7	**169**
3	შავი კლდეების ტბის ბილიკი	14280	76,7	80	33,3	25	**333**
4	როჭოს ჩანჩქერის ბილიკი	1000	55	50	25	16,7	**141**
5	ლაგოდეხის საინფორმაციო	800	55	50	25	16,7	**112**

	ცენტრი შრომის ნასახლარები - ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი						
6	ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი - შრომი მონასტერი - ხიზას მონაკვეთი გურგენიანის რეჯნერთა სადგური	2800	55	50	25	16,7	**394**
7	ნინიოსხევის ჩანჩქერის ბილიკი	1600	55	65	25	16,7	**157**
8	მარტოტი ტბის ბილიკი: გურგენიანის რეინჯერთა სადგური მარტოტის ტბა - კაბალჰესი	7140	76,7	80	33,3	25	**166**
ჯამი							**1613**

ეფექტური (დასაშვები) გამტარიანობა (ეგ):

ეფექტური ანუ დასაშვები გამტარუნარიანობა ეს არის ვიზიტორების ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც დაცულ ტერიტორიას შეუძლია მიიღოს ადგილობრივი ადმინისტრაციის მართვის შესაძლებლობების (MC) გათვალისწინებით. ეფექტური გამტარუნარიანობა გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$ეგ = რგ \times MC$$

სადაც,

- MC არის ადგილობრივი ადმინისტრაციის მენეჯმენტის შესაძლებლობა (პერსონალი, აღჭურვილობა, ინფრასტრუქტურა) და განისაზღვრება ოპტიმალური მართვის შესაძლებლობების პროცენტულად, შემდეგი ფორმულით:

$$MC = (100 - Fm) / 100$$

სადაც,

Fm არის მენეჯმენტის კორექტირების ფაქტორი და გამოიხატება ფორმულით:

$$Fm = (Imc - Amc) / Imc \times 100$$

სადაც,

Imc არის იდეალური მართვის უნარი, ხოლო Amc რეალური მართვის უნარი (ხელმისაწვდომია).

პირობითად იდეალური მართვის უნარი შეიძლება შევაფასოთ 100 ქულით. მაშინ, მიახლოებითი შეფასებით რეალური მართვის უნარი (ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის ანალიზის, ადგილობრივი ადმინისტრაციის გამოკითხვის და ადგილზე სიტუაციის შეფასების გათვალისწინებით) შეადგენს:

- სეგმენტებისთვის 1, 7 და 8 - 60 ქულას;
- სეგმენტებისთვის 2, 3, 4, 5, 6 - 70 ქულას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

- სეგმენტებისთვის 1, 7 და 8 - Fm = (100-60) / 100 x 100 = 40%

- სეგმენტებისთვის 2, 3, 4, 5, 6 - Fm = (100-70) / 100 x 100 = 30%

შესაბამისად:

- სეგმენტებისთვის 1, 7 და 8 - MC = (100-40) / 100 = 0,6
- სეგმენტებისთვის 2, 3, 4, 5, 6 - MC = (100-30) / 100 = 0,7

ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობების გათვალისწინებით ეფექტური გამტარუნარიანობა (ეგ) შეადგენს (იხ. ცხრილი 4.3.5.):

ცხრილი 4.3.5.

სეგმენტი №	დასახელება	რგ - ვიზიტორი დღეში	MC	**ეგ - ვიზიტორი დღეში**
1	მაჭის ციხის ბილიკი	141	0.6	**84**
2	ქ.ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი - ლაგოდეხის მონასტრი - რაჭისუბანი - მაწიმის რეინჯერთა სადგური	169	0.7	**118**
3	შავი კლდეების ტბის ბილიკი	333	0.7	**233**
4	როჭოს ჩანჩქერის ბილიკი	141	0.7	**98**
5	ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი შრომის ნასახლარები - ლაგოდეხის საინფორმაციო ცენტრი	112	0.7	**79**
6	ლაგოდეხის საინფორმაციო ცებნტრი - შრომი მონასტერი - ხიზას მონაკვეთი გურგენიანის რეჯნერთა სადგური	394	0.7	**276**
7	ნინიოსხევის ჩანჩქერის ბილიკი	157	0.6	**94**
8	მარტოტი ტბის ბილიკი: გურგენიანის რეინჯერთა სადგური მარტოტის ტბა - კაბალჰესი	166	0.6	**100**
ჯამი				**1082**

დასკვნა:

წინასწარი შეფასებით დადგინდა, რომ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების რეალური ტურისტული ტურისტული გამტარუნარიანობა შეადგენს 1613 ვიზიტორს დღეში, ხოლო ადმინისტრაციის რესურსების გათვალისწინებით ეფექტური გამტარუნარიანობა არის 1082 ვიზიტორი დღეში. როგორც პარაგრაფში 3.2.1.-ია აღნიშნული, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ბოლო წლებში ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა წლიური რაოდენობა 60 000 აღწევდა (2019 წლის მონაცემებით). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუმართა ზუსტი აღრიცხვის პრაქტიკა არ არსებობს და ფაქტიური ვიზიტების რაოდენობა უფრო მეტი შეიძლება იყოს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დადგინდა, რომ დაცული ტერიტორიების გამტარუნარიანობის რესურსი მნიშვნელოვნად მაღალია (დაახლოებით 6-ჯერ) ფაქტიურ მდგომარეობასთან შედარებით. ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ სათანადო რეგულაციის პირობებში შესაძლებელია, რომ დაცულმა ტერიტორიებმა გაცილებით მეტი სტუმარი მიიღოს. ამასთანავე ეფექტური (დასაშვები) გამტარიანობის (ეგ) გაზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს ადგილობრივი ადმინისტრაციის მენეჯმენტის შესაძლებლობების გაუმჯობესების გზით.

ზემოთ წარმოდგენილი გაანგარიშებები წინასწარია და ითვალისწინებს გარკვეულ დაშვებებს. რეკომენდირებულია, რომ შერჩეულ ლოკაციებზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმარების ეტაპზე განხორციელდეს ტურისტული გამტარიანობის დეტალური შეფასება დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე, ანალოგიური მეთოდოლოგიით. მნიშვნელოვანია დაინერგოს ვიზიტორთა უფრო ზუსტი აღირიცხვის მექანიზმი, რის შემდგომაც უფრო რეალისტური გახდება ფაქტიური ვიზიტების დასაშვებ გამტარუნარიანობასთან შედარება და ამის საფუძველზე დაცული ტერიტორიების რესურსების შეფასება. ფაქტიური ვიზიტების მეტ-ნაკლებად ზუსტი აღრიცხვის ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა სიმბოლური გადასახადების დაწესება დაცული ტერიტორიების შესასვლელებთან.

4.4 კონსერვაციის პრინციპების დაცვა და უსაფრთხოება

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფარგლებში დღეისათვის არსებული და წინამდებარე დოკუმენტით შერჩეული ლოკაციების განვითარებისას აუცილებელი პირობაა მდგრადი განვითარების და ბუნებრივი კომპონენტების კონსერვაციის პრინციპების მაქსიმალური დაცვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიით და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მნიშვნელოვანი საკითხები.

ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს მიზნობრივი ტურისტული ჯგუფების იდენტიფიცირება და მათი მოთხოვნების გათვალისწინებით ტურისტული ნაკადების სხვადასხვა ლოკაციებზე მაქსიმალური დივერსიფიცირების ხელშეწყობა. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო პერიოდში, დაცული ტერიტორიებით დაინტერესების მზარდი ტენდენციის პირობებში. ასეთი მიდგომით შესაძლებელი იქნება დღეისათვის ცნობად ლოკაციებზე ტურისტების მაღალი კონცენტრაციის და ამის გამო ბუნებრივი რესუსრების არამდგრადი გამოყენების პრევენცია, ასევე ეკოტურისტული ბილიკების ფარგლებში მაღალღირებულ ბიოლოგიურ კომპონენტებზე შემაწუხებელი ფაქტორის შემცირება.

ზემოაღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით რეკომენდირებულია, რომ დღეისათვის ყველაზე ცნობად, ქ. ლაგოდეხის ეკოტურისტული ლოკაციების (ალტერნატივები 3.ა, 3.ბ., 3.გ,) განვითარებისას აქცენტი გაკეთდეს სათავგადასავლო, საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებზე. ხოლო ღამის გასათევი და კვების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის უპირატესობა მიენიჭოს აღკვეთილის შედარებით პერიფერიულ ნაწილებში შემოთავაზებულ ლოკაციებს (ალტერნატივები 1, 2, 5.). მეტი ძალისხმევა უნდა მოხდეს კერძო ბიზნესის მიერ ამ ლოკაციებით დაინტერესების და პოპულარიზაციის მხრივ.

ამავე დროს ზოგიერთ პერიფერიულ ლოკაციებზეც სასტუმრო ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები შეზღუდულია. ამის მიზეზები შეიძლება იყოს არსებული რელიეფი, ბუნებრივი გარემოს მაღალი მგრძნობელობა თუ სოციალური საკითხები. შემოთავაზებულია რომ, ასეთ ლოკაციებზე აქცენტი გაკეთდეს რეკრეაციული ობიექტების მოწყობაზე (ხის კენწეროების ბილიკი, თოკების პარკი, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები და ა.შ.) და ამავე დროს უზრუნველყოფილი იყოს ადვილი კავშირი ახლომდებარე (არსებულ თუ პერსპექტიულ) ღამის გასათევ და კვების ობიექტებთან.

შერჩეულ პერსპექტიულ ლოკაციებზე ეკოტურისტული სერვისების დაგეგმვა-განვითარების პროცესში აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი კვლევების ჩატარება და შესაბამის სახელმწიფო უწყებებიდან შეთანხმებების/ნებართვების/ლიცენზიების მიღება. (სავარაუდო კვლევების და საჭირო გარემოსდაცვითი/უსაფრთხოების დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია მე-4 თავის შესაბამის პარაგრაფებში).

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტური სპეციფიკის გათვალისწინებით განსაკუთრებით საყურადღებოა საშიში-გეოდინამიკური და ჰიდროლოგიური პროცესების (მათ შორის მეწყრულ-გრავიტაციული, ეროზიული, ღვარცოფული და სატბორვითი პროცესები) ჩასახვა-გააქტიურების რისკები. თითოეული ლოკაციის განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საწყის ეტაპებზევე უნდა გაანალიზდეს არსებული საფონდო მასალა, არსებული რისკების შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანია გარემოს ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენების ანალიზი და ამის შესაბამისად ლოკაციის განვითარების კონცეფციის განსაზღვრა. საკუთრივ პროექტირების და მშენებლობის ნებართვების მიღების პროცესში კი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდება დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, რომლის მთავარი აქცენტი საშიში-გეოდინამიკური პროცესების შეფასება უნდა იყოს.

ყველა შეთავაზებული ლოკაციის განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გარდა ეროვნული კანონმდებლობით მოთხოვნილი კვლევების და სანებართვო დოკუმენტებისა, რეკომენდირებულია მომზადდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით განსაზღვრული სპეციფიური დოკუმენტები. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების შემთხვევაში ესენი უნდა იყოს: გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (საკვანძო მიმართულებებია: ბიომრავალფეროვნება, საშიში გეოდინამიკური პროცესები), უსაფრთხოების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სატრანსპორტო მართვის გეგმა. ასევე რეკომენდირებულია, რომ მსაგვს დოკუმენტებში გათვალისწინებული იყოს კლიმატის ცვლილების საკითხები.

აუცილებელია საჭირო კვლევების და სანებართვო დოკუმენტაციების მიღების, ასევე სხვა დამატებითი (არა ეროვნული კანონმდებლობით მოთხოვნილი) დოკუმენტების და მართვის გეგმების მომზადების ვალდებულება დეტალურად გაწერილი იყოს კერძო ბიზნესთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. კვლევების და სანებართვო პროცედურების შესრულების ხარისხს მონიტორინგს გაუწევს დაცული ტერიტორიების სააგენტო.

როგორც წესი, კერძო ინვესტორს სურს მიიღოს იჯარის რაც შეიძლება ხანგრძლივი პერიოდი, რათა უზრუნველყოს საწყისი ინვესტიციის ამოგება. დაცულ ტერიტორიებზე გრძელვადიანი საქმიანობის რისკი არის ის, რომ ბიზნესი შეიძლება წარუმატებელი აღმოჩნდეს, უარი თქვას ან შეეცადოს შეცვალოს საიჯარო ხელშეკრულების პრინციპები. ამრიგად, ისეთი გარანტიები, როგორიცაა უფლებებისა და პასუხისმგებლობების მონახაზი, მონიტორინგის პროცესები და არადამაკმაყოფილებელი შესრულების შემთხვევები, ასევე დეტალურად უნდა გაიწეროს ხელშეკრულებებში.

ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე ასევე ხელშეკრულებებში აუცილებელია აისახოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. კარგი პრაქტიკაა ინვესტორს გაეწეროს ვალდებულებები ადგილობრივი ინფრასტრუქტურის (მაგ. ადგილობრივი გზები) მოწესრიგების და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის თაობაზე.

5 დასკვნები და რეკომენდაციები

- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს ტურისტული თვალსაზრისით, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ვიზიტორებისათვის. აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვა განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპების, ეროვნული და სერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაცული ტერიტორიების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, რესურსებით ჭარბი სარგებლობის პრევენციის გზით.

- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების საზღვრებში და მის მომიჯნავე დასახლებულ პუნქტებში სატრანსპორტო ინფრასატრუქტურა და კომუნიკაციების ქსელი საკმაოდ განვითარებულია. საჭიროა უშუალოდ ეკოტურიზმთან დაკავშირებული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითრება, ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, რაც მნიშველოვნად შეუწყობს ხელს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას და შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობისა თუ ტურიზმში ჩართული სხვა ოპერატორების სოციო-ეკონომიკური მგომარეობის გაუმჯობესებას.
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოტურიზმის განვითარების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი იქ არსებული თვითმყოფად ბუნებრივი გარემოსა და ლანდშაფტებთან ერთად, ისტორიულ-კულტურული ძეგლები წარმოადგენს, შესაბამისად მნიშვნელოვანია ეკო-ტურიზმის განვითარება მოხდეს შესაბამისი ობიექტების მართვასა და დაცვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან ერთად.
- ეკოტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები ახლოს მდებარეობს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან. სათანადო მარკეტინგის შემთხვევაში მაღალია უცხოელი ვიზიტორების (მათ შორის განსაკუთრებით ეკო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებით) ნაკადების გაზრდის პერსპექტივები;
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები ეკოტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარების შესაძლებლობას იძლევა, როგორიცაა საგანმანათლებლო, სათავგადასავლო, კულტურული, აგრო და გასტრონომიული ტურიზმი და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა ტურისტული სერვისები.
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა ადამიანური რესურსებისა, მათ შორის და საჭირო აღჭურვილობის ნაკლებობა. რეკომენდირებულია ეკოტურიზმის განვითარების პარალელურად დაცული ტერიტორიების თანამშრომლების, მათ შორის გიდების, მიმდებარედ მცხოვრები ტურიზმის სფეროში ჩართული წარმომადგენლების და სხვა ტუროპერატორების კვალიფიკაციის ამაღლება ტურისტული სერვისების განვითარების მიმართულებით.
- ეკოტურიზმის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისას აუცილებელია უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინება და შესაბამისი გეგმების მომზადება, როგორიცაა ტურისტების გადაადგილების მარშრუტებზე უსაფრთხოების წესების შემუშავება, ხანძარსაწინააღმდეგო გეგმების მომზადება და ა.შ).
- ტურისტული ობიექტების მშენებლობის დაგეგმვამდე საჭიროა ტერიტორიაზე დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ბიოლოგიური კვლევების ჩატარება.
- გენერალური გეგმის პროექტის იმპლემენტაციის პროცესში გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება საჭიროა ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვით.

6 გამოყენებული ლიტერატურა

- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა;
- მონოგრაფია „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი“ (დალი ნიკოლაიშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. - [თბ.], 2009 წელი;
- დაპროექტების ნორმები - ,,სამშენებლო კლიმატოლოგია” (პნ 01.05-08). საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/1743, 2008 წელი;
- სამშენებლო ნორმების და წესები – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09). საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წელი.

ვებ-გვერდები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო - www.apa.gov.ge
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია www.gnta.ge